ვალიტრა მედია

# ლელო

საქართველო დივიზი A შია!

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 ივლისი **ორშაბათი** 2011

№ 172 (13 469) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა




# საზოგადოება: გვაუწყე მაუწყებლო!




ხვალ საღამოს ეროვნულ სტადიონზე ჩემპიონთა ლიგის ჰიმნი აჟღერდება და მშობლიურ ქალაქში გამარჯვებისა და მოლდოვური ბარიერის გადალახვის შემდეგ "ზესტაფონი" უკვე დედაქალაქში შეეცდება ავსტრიელთა გატეხვას.

საქართველოს ჩემპიონს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდამდე ორი ნაბიჯი აშორებს, ევროპის ლიგის ჯგუფამდე კი – ერთი. დარწმუნებულები ვართ, რომ დღეს თბილისში "ზესტაფონს" ქომაგობა არ მოაკლდება, მაგრამ რა ქნან იმ გულშემატკივრებმა, ვისაც სტადიონზე წასვლის დრო ან საშუალება არ აქვთ?

სამწუხაროდ, მათ დამაიმედებელს ვერაფერს ვეტყვით – შესაძლოა, ბოლო მომენტში "ზესტაფონი"-"შტურმი" მაინც გადაიცეს რომელიმე ქართული არხით (უფრო "საზოგადოებრივი მაუწყებლით"), მაგრამ არც ის არის გამორიცხული, ტელემაყურებელი მორიგი პრინციპული ევრომატჩის გარეშე დარჩეს.

ვიტოვებთ იმედს, რომ ტელევიზიებიცა და კლუბიც ტრანსლაციის საკითხის დადებითად გადასაწყვეტად არაფერს დაიშურებენ. ვერავინ დაგვაჯერებს, რომ ეს მოუგვარებელი პრობლემაა!

**ლევან ჯანეზაშვილი**

## როდის იტყვიან თბილისში: ვა, პელეც ტო?!

...ვადასტურებთ ბატონ ედსონ არანტეს დო ნასიმენტოს დასწრებას თბილისის ტურნირის გახსნაზე...



4

# არავითარი ვაი ურუგვაი!

კოპას ფინალი კაცურად დასრულდა. და არა იქაური იდიოტური სერიალივით: როდის და ვისთან გაიხდის ის ქალი?



9



პარაგვაელმა მოდელმა ლარისა რიკელმემ კდემა შეინარჩუნა

## გინდოდათ ჩემი ბურთები? შეგეგდოთ ბურთები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი


შტურმისთვის ეროვნული სტადიონი უცხო არ არის

# ზესტაფონი ავსტრიელთა ტელევიზორებში. ჩვენ?

## ჩემპიონთა ლიგა ხალხისთვის: მხოლოდ სტადიონზე. არადა, რამდენს უნდა, მაგრამ ფული, დრო, მანძილი ...

თავდაპირველი ინფორმაციით, 26 ივლისს "ზესტაფონისა" და "შტურმის" მატჩი თბილისის დროით საღამოს 9 საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ საბოლოოდ გაირკვა, რომ საქართველოს ჩემპიონი ავსტრიისას ეროვნულ სტადიონზე 20 საათზე უმასპინძლებს.

საათის შეცვლა სატელევიზიო ტრანსლირებასთანაა დაკავშირებული. საქმე ის არის, რომ შედგა შეთანხმება "ზესტაფონსა" და ერთ-ერთ ავსტრიულ ტელეარხს შორის, რომლისთვისაც მისაღები სწორედ 20 საათი იყო. სავარაუდოდ, ავსტრიელები თბილისში საკუთარ რეჟისორებსა და ოპერატორებს ჩამოიყვანენ და პირდაპირ ტელერეპორტაჟს ორგანიზებას თავად გაუწევენ.

ბუნებრივია, გვიჩნდება კითხვა, იხილავს თუ არა ამ მატჩს ქართველი ტელემაყურებელი. სამწუხაროდ, თამაშის წინა დღეს ამაზე პასუხი ჯერაც არ გვაქვს. 20 საათზე, "საზოგადოებრივ მაუწყებელზე" "მოამბეა", რომლის დაწყების დროსაც, ფაქტობრივად, არასდროს ცვლიან. სწორედ ამ მიზეზით ვერ აჩვენა პირველმა არხმა "ზესტაფონი"-"დაჩია", თუმცა "საზოგადოებრივ მაუწყებელს" მეორე არხიც აქვს და თუ ამ არხზე "დინამო"-"ლანელი" გაუშვეს, რატომ ვერ უნდა მოხერხდეს საქართველოს ჩემპიონის თამაშის ჩვენება?

თუმცა "ზესტაფონი"-"შტურმის" რეპორტაჟი უკვე ავსტრიელთა კუთვნილებაა და თუ რომელიმე ქართული არხი მის ჩვენებას მოისურვებს, სწორედ მათ უნდა მიმართოს. ისე კი, საქართველოში "საზოგადოებრივი მაუწყებლის" გარდა, სხვა ტელეარხებიცაა და საინტერესოა, რომელიმე მათგანი თუ გამოთქვამს ჩემპიონთა ლიგის გადაცემის სურვილს.

რაც შეეხება სტადიონზე მიმსვლელებს, მატჩის ბილეთების დიდი ნაწილი 5 ლარი ღირს და მათ მფლობელებს დასხდომა, დასავლეთ ტრიბუნის გარდა, ნებისმიერ ადგილზე შეეძლებათ. დასავლეთზე მოხვედრა კი შედარებით ძვირია.

კლუბის ხელმძღვანელობამ ზესტაფონელი ქომაგების თბილისში ჩამოსაყვანად და უკან დასაბრუნებლად რამდენიმე ავტობუსი გამოყო და გამორიცხული არც ის არის, გულშემატკივრებს ზესტაფონი-თბილისისა და უკუმიმართულებით სპეციალური უფასო მატარებელიც მოემსახუროს.

რაც შეეხება დღევანდელი დღის განრიგს, საღამოს 7-ის ნახევარზე ეროვნულ სტადიონზე "შტურმის" მთავარი მწვრთნელის - **ფრანკო ფოდას** პრესკონფერენცია დაიწყება, 15 წუთში კი მედიის წინაშე მისი ქართველი კოლეგა **გია გეგუჩაძე** წარდგება. 19 საათზე "შტურმის" ვარჯიშია დანიშნული, 20 საათსა და 15 წუთზე კი – "ზესტაფონისა".

საბედნიეროდ, კიშინიოვში დაშავებული **გიორგი ხიდეშელის** მდგომარეობა არცთუ მძიმე აღმოჩნდა, მაგრამ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ იგი ხვალ ვერ ითამაშებს. დისკვალიფიცირებულია **თემურ ღონღაძე**, დანარჩენები კი თავს კარგად გრძნობენ. ხიდეშელი დაცვის ცენტრში, წესით, **მამუკა კობახიძემ** უნდა შეცვალოს, ხოლო ღონღაძე – **კახა ალადაშვილმა**.

"შტურმის" ოფიციალური ვებგვერდიდან შევიტყვეთ, რომ გუნდს გრაციდან რამდენიმე ათეული გულშემატკივარი მოჰყვება. ავსტრიული დელეგაცია თბილისში დღეს ჩამოფრინდება.

მატჩს ბერძენი **ანასტასიოს კაკოსი** განსჯის.

U19

# მექსიკით ვიწყებთ

დღეს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ჩრდილოეთ ირლანდიაში Milc Cup-ის გათამაშებაში ჩაერთვება - **გიორგი დევდარიანის** გუნდის მეტოქე მექსიკა იქნება. ზეგ ქართველები მასპინძლებს დაუპირისპირდებიან, 29 ივლისს კი პლეი ოფები და ფინალია დანიშნული.

დევდარიანმა ბრიტანეთში ეს ფეხბურთელები წაიყვანა:

მეკარეები: **დავით ლეგაშვილი** („სასკო"), **რობერტ იმერლიშვილი** („ზესტაფონი");

მცველები: **გიორგი კალანდია** („ვიტ ჯორჯია"), **ნიკა სანდოხაძე, არჩილ ტვილდიანი, ოთარ დოლიძე, თედო კაკულია** (ყველა - „დინამო" თბილისი), **მალხაზ გაგოშიძე, ნოდარ კიკნაველიძე, თორნიკე გრიგალაშვილი** (სამივე - „ზესტაფონი");

ნახევარმცველები: **მერაბ გიგაური** („ტორპედო" ქუთაისი), **ალექსანდრე რეხვიაშვილი, ლაშა პარუნაშვილი, გიორგი პაპავა** (სამივე - „დინამო" თბილისი), **ვარლამ კილასონია** („სპარტაკი", ცხინვალი), **ლაშა შინდაგორიძე** („ორპუსი", დაჩია),

თავდამსხმელები: **გიორგი ქვილითაია** („სასკო"), **ბუბა რუხაძე** („დინამო" თბილისი).

საქართველოს ჩემპიონატი. სამზადისი

# ვიტელთა ორიდან ორი

თურქულ შეკრებაზე მყოფმა "ვიტ ჯორჯიამ" უკვე ორი მატჩი ჩაატარა და ორივე მოიგო. **ზურაბ ბერიძის** გუნდმა ჯერ თურქეთის რანგით მეორე ლიგის ბინადარ "ბოლუსფორს" 3:1 სძლია, შემდეგ კი "ქარაბუქსფორის" დუბლები 5:1 გაანადგურა.

პირველ შეხვედრაში **გიორგი ვაშაკიძემ** დუბლი შეასრულა, ერთი გოლი კი **ბექა ზაქრაძის** ანგარიშზეა.

"ვიტ ჯორჯია" "ბოლუსფორთან": **მიქაბერიძე - ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ლანიაშვილი - გურამ გურეშიძე, ვასაძე - კორიფაძე, ჯანელიძე, ზაქრაძე - ჩიმაკაძე.**

მეორე ტაიმში: **ძაძამია - ხუჭუა, გოგიაშვილი, ხუმარაშვილი, ჯავაშვილი - მაისაშვილი, დავლაშელიძე - ვაშაკიძე, გიორგი გურეშიძე, ჯულელი - სიხარულიძე.**

მეორე მატჩში თავი გიორგი **ჯანელიძემ, გურამ გურეშიძემ, გიორგი კორიფაძემ, ბესიკ ჩიმაკაძემ** და **ელგუჯა ლობჯანიძემ** გამოიჩინეს.

"ვიტ ჯორჯია" "ქარაბუქის" დუბლებთან: **მიქაბერიძე - ხურცილავა, ადამაძე, კასრაძე, ლანიაშვილი - ვასაძე, გურამ გურეშიძე - ვაშაკიძე, ჯანელიძე, ზაქრაძე - სიხარულიძე.**

მეორე ტაიმში: **ძაძამია - ხუჭუა, გოგიაშვილი, ხუმარაშვილი, ოთარიშვილი - მაისაშვილი, დავლაშელიძე - კორიფაძე, გიორგი გურეშიძე, ჯულელი (ჯავაშვილი) - ჩიმაკაძე (ლობჯანიძე).**

დავითვალოთ ქულები

# საქართველო ევროპაში მეორეა

## გრანდების გამოჩენამდე

### უეფასთვის ზესტაფონი და დინამო ერთია

ევროტურნირებზე ნებისმიერი კლუბის სატურნირო ბედს, მეტოქის სიძლიერესა თუ ასპარეზობის დაწყების ვადებს მისი ქვეყნის წარმომადგენელთა საევროთასო წარსული განაპირობებს. კარგად იცით, რომ უეფას საკუთარი საკლუბო რეიტინგი აქვს, სადაც მის წევრ თითოეულ ქვეყანას ის ადგილი უკავია, რომელიც მისი კლუბების მიერ წინა წლებში დაგროვებულმა ქულებმა მოუტანა.

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, იანგარიშება ბოლო ხუთი სეზონის განმავლობაში მოპოვებული ქულები. ასე რომ, დიდი ხანია, ჩვენს აქტივში აღარ არის 2004 წელს **გია გეგუჩაძის** მიერ გაწვრთნილი თბილისის "დინამოს" უეფას თასის ჯგუფში მოხვედრით მიღებული დივიდენდები. ის სეზონი დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე უხვმოსავლიანი იყო.

შევეცდებით, ციფრებით არ გადაგღალოთ და მარტივად ავხსნათ ის სისტემა, რომლითაც კლუბებისა და ქვეყნებისთვის რეიტინგის მინიჭება ხდება. ევროთასებზე გამარჯვებისა და ფრისთვის გუნდები ქულებს იღებენ. რაც უფრო შორეულ ეტაპზე მიაღწევს კლუბი წარმატებას, მით მეტია გამარჯვებისა თუ საყაიმო შედეგის ფასი.

ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპებზე ქულათა მარაგს დიდად ვერ გაიმდიდრებ, აი, ჩვენმა კლუბებმა თუ ამჟამინდელი ბარიერიც გადალახეს და პლეი ოფში შეაბიჯეს, იქ ქართული ყულაბის გაცილებით უხვად შევსების საშუალება მიეცემათ.

საკვალიფიკაციო რაუნდებში გამარჯვება 1 ქულად ფასობს, ფრე კი — ნახევრად. ამრიგად, სადღეისო მონაცემებით, საქართველოს ყველაზე მეტი — 3-3 ქულა — თბილისის "დინამომ" და რუსთავის "მეტალურგმა" მოუტანეს. შეგახსენებთ, დედაქალაქელებმა მოლდოვურ "მილსამის" ორჯერ მოუგეს, უელსურ "ლანელის" კი – ერთხელ. რუსთაველებმა კი ამ 3 ქულას თავი სომხური "ბანანცისა" და ყაზახური "ირტიშის" ძლევითა და იმავე გუნდებთან ნათამაშები ფრეებით მოუყარეს თავი.

თითო ქულაა "ზესტაფონისა" და "გაგრას" ანგარიშზე. იმედია, მოლდოვური "დაჩია" საქართველოს ჩემპიონთა მიერ ჩემპიონთა ლიგაზე ძლეული უკანასკნელი მეტოქე არ აღმოჩნდება, "გაგრა" კი, ევროპის ლიგიდან ნაადრევი გავარდნის მიუხედავად, მაინც უნდა შევაქოთ, რადგან კვიპროსული "ანორთოსისის" დამარცხებით საქართველოს ქულა მანაც მოუპოვა.


ვისლასთან თბილისში მოგებით დინამო უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავიდა

ამა თუ იმ ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ დაგროვებული ქულები მათ რაოდენობაზე იყოფა. შესაბამისად, ქართული კლუბების მიერ მოპოვებული ჯამური 8 ქულა 4-ზე უნდა გავყოთ და მივიღებთ 2-ს. სასიამოვნოა, რომ ამ სეზონის მონაცემებით მოპოვებული ქულებით მხოლოდ უნგრეთი გვისწრებს, რომელსაც 2.125 ქულა აქვს, თუმცაღა მისი სამი კლუბი ევროტურნირებს უკვე გამოეთიშა. ასე რომ, მშვენიერი შანსი გვაქვს იმისა, რომ წლევანდელ რეიტინგში უნგრეთსაც გავუსწროთ, ხუთი წლის შედეგებით გამოყვანილ რეიტინგში კი პოზიციები საგრძნობლად გავიმყაროთ. აქვე გეტყვით, რომ მომავალ სეზონში ევროთასებზე საქართველო კვლავაც ოთხი კლუბით იქნება წარმოდგენილი, მაგრამ წლევანდელი წარმატება უკეთესი სატურნირო გზის გარანტიასაც გვაძლევს.

ზემოთ ნახსენებ 2004-05 წლების სეზონში საქართველომ 2.666 ქულა აიღო, რისი გაუმჯობესების შანსიც საკმაოდ სერიოზული გვაქვს.

ბოლოს იმასაც გავუსვათ ხაზი, რომ ამა თუ იმ ეტაპზე კლუბის განთესვა-არგანთესვა მხოლოდ ქვეყნის კი არა, საკუთრივ მისი რეიტინგის მიხედვითაც ხდება. ვნახოთ, რა მდგომარეობა აქვთ ამ მხრივ ქართულ კლუბებს.

აღსანიშნავია, რომ 23 ივლისის მდგომარეობით "ზესტაფონსაც" და "დინამოსაც" იდენტური მაჩვენებელი აქვთ – 4.558 და ევროპაში 217-ე ადგილზე არიან. ქართული კლუბებიდან საუკეთესო პოზიცია სწორედ მათ უკავიათ.

რაც შეეხება დანარჩენებს:

**236. მეტალურგი 4.058 ქულა**
**278. ვიტ ჯორჯია 3.058 ქულა**
**327. გაგრა 2.058 ქულა**

საუკეთესო ათეული კი ასეთია: 1. მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი), 2. ბარსელონა (ესპანეთი), 3. ჩელსი (ინგლისი), 4. ბაიერნი (გერმანია), 5. არსენალი (ინგლისი), 6. რეალი (ესპანეთი), 7. პორტუ (პორტუგალია), 8. ინტერი (იტალია), 9. ლივერპული (ინგლისი), 10. შახტარი (უკრაინა).

გვერდი მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი




# ნაშ კაპიტან-იდან დღემდე

## გურამ კაშია ვიტესში ხელცარიელი არ თამაშობს

ახალი სეზონისთვის სამზადისისას არნემის "ვიტესი" მოედანზე კაპიტნის სამკლავურით საქართველოს ნაკრების მცველ **გურამ კაშიას** გაჰყავს. თავიდაპირველად ვიფიქრეთ, რომ ეს გუნდის კაპიტნის ტრავმისა ან უთამაშებლობის გამო ხდებოდა, მაგრამ მერე შევიტყვეთ, რომ კაშია გუნდის კაპიტანად აირჩიეს და ახალ სეზონში "ვიტესს" მოედანზე იგი გაუძღვება.

მოსკოვის "სპარტაკისა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კონსტანტინე ბესკოვი** ამბობდა, ქართველებს ლიდერის ხასიათი აქვთო და ამიტომაც დანიშნა რუსებითა და უკრაინელებით სავსე საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტნად **ალექსანდრე ჩივაძე**, რომელიც **მურთაზ ხურცილავას** შემდეგ მეორე ქართველი კაპიტანი იყო. მათ ამ რანგში საბჭოთა ნაკრები მოედანზე 7 წელზე მეტ ხანს გაჰყავდათ.

როგორც ჩანს, დროს არაფერი შეუცვლია. ქართველებისთვის უცხოურ გუნდთა კაპიტნობა ბოლო წლებშიც არ ყოფილა უცხო – **ალეკო რეხვიაშვილი** რიგის "სკონტოს" კაპიტნობდა, **გოჩა ჯამარაული** - დონეცკის "მეტალურგს", **შოთა არველაძე** - "ალკმაარს", **ლაშა ჯაკობია** - "მეტალურგს", **ლევან კობიაშვილი** – "ფრაიბურგსა" და "შალკეს" მიუძღვოდა, ახლა კი "ჰერტას" სამკლავურით თამაშობს; **ალექსანდრე იაშვილს** "ფრაიბურგსა" და "კარლსრუეში" ერგო ეს პატივი. "კრასნოდარში" გადასვლისთანავე მიანიჭეს ეს „წოდება" **ალეკო ამისულაშვილს**, **ოთარ მარცვალაძესა** და **ლაშა სალუქვაძეს** ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" უკაპიტნიათ; არაერთი ჩვენებური ყოფილა ვიცე-კაპიტანიც, მაგალითად, კაპიტნის სამკლავური მოურგია "მილანის" ვიცე-კაპიტან **კახა კალაძეს**.

მიეცი ნიჭსა გზა ფართო?

# დავიწყებულნი...

საქართველო უცნაური ქვეყანაა, გამუდმებით ნიჭიერი ფეხბურთელებისა და მწვრთნელების დეფიციტს მივტირით, მაგრამ გასაოგნებელი გულგრილობით იკარგება ბევრი ნიჭიერი მწვრთნელი და ფეხბურთელი.

ფაქტია, რომ კადრებს ვერ ვუფრთხილდებით. ყველაზე ნათელ მაგალითად **გელა სანაიას** ამბავი გამოდგება – მან კიევის მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში შვიდი კურსიდან უმეტესი ნაწილი გაიარა და გამოცდები წარმატებით ჩააბარა, დეკემბერში მწვრთნელობის A კატეგორიის სერტიფიკატსაც აიღებს, მაგრამ კაცი შეწუხებულია, ტყუილად ხომ არ ვწვალობო?



გელა სანაია

სანაიამ მცირე ხანს იმუშავა თბილისის "ლოკომოტივსა" და "სამტრედიაში" და ამის მიუხედავად, ყველა აღნიშნავდა, რომ ძალიან ნიჭიერი სპეციალისტი გვეზრდება, ფეხბურთი არ უთამაშია, მაგრამ ვისაც უთამაშია, ბევრ მათგანზე უკეთ იცის ეს თამაშიო. მის გუნდებს მართლაც ეტყობოდა მწვრთნელის ხელი, თუმცა რად გინდა – ცხრა თვეა, კაცი უმუშევარია და მისი ბედით სერიოზულად არავინ დაინტერესებულა.

მართალია, ქუთაისის "ტორპედოში" მიიწვიეს და სხვა გუნდებიც დაელაპარაკნენ, მაგრამ შეთანხმებამდე საქმე არ მისულა.

უმუშევრად დარჩა "დაუგავას" მთავარი მწვრთნელი **თამაზ პერტია**, რომელიც გასულ სეზონში ლატვიის საუკეთესო ახალგაზრდა მწვრთნელად დაასახელეს.

საქართველოს ნაკრების ყოფილი "ყველგანმავალი" **კახა გოგიჩაიშვილი** 35-ე სკოლის უფულო გუნდს პირველ ლიგაში საკმაოდ კარგ ფეხბურთს ათამაშებდა. მართალია, შედეგებით თავს ვერ მოიწონებდა, მაგრამ სკოლის დანიშნულებასა და აღმზრდელის მოვალეობას კარგად გაუძლვა და ამ გუნდიდან 9 მოთამაშე საქართველოს უმაღლესი ლიგისა და უცხოეთის გუნდებში მიმოიფანტა. ეს ამბავი ჟურნალისტებმა ვიცით და დავიჯეროთ, საფეხბურთო წრეებისთვის უცნობია? ის კი მხოლოდ ბავშვებში მუშაობს.

**თემურ მახარაძე**, რომლის ხელშიც არც ერთ გუნდს რეგრესი არ განუცდია, ერთი წელია, სახლში ზის და ფიქრობს – რა კრიტერიუმებით აფასებენ საქართველოში მწვრთნელს? არადა, ასეთი დამსახურებული თავკაცი ყველამ დაივიწყა.

თბილისის "ლოკომოტივის" ყოფილი კაპიტანი **ნიკა გუშარაშვილი** ამჟამად უგუნდოდაა. ახლახან ის უმაღლესი ლიგის გუნდში მიიწვიეს, მაგრამ 26 წლის გამოცდილ მოთამაშეს რა გასინჯვა უნდა, როდესაც ყველამ იცის მისი შესაძლებლობები.

სამი წლის წინ თბილისის "დინამოში" ნიჭიერი მცველი **გურამ მინდორაშვილი** გამოჩნდა. სამწუხაროდ, ტრავმის შემდეგ აღარ უთამაშია, ცხადია, ფორმაში ვერ შევიდა და დღეს 21 წლის ბიჭი ყველას დაავიწყდა.

**ვალერი ბოლქვაძე**, რომელიც დასრულებულ სეზონში ცხინვალის "სპარტაკში" გამოდიოდა, დაშავდა და ახლა გუნდს ეძებს. ვარჯიშისა და ფორმის აღდგენის საშუალება "ზოოვეტში" მისცეს და ამ უილბლოთა კატეგორიაში მას ყველაზე მეტად გაუმართლა – ბოლო ინფორმაციით, მას "გაგრა" იწვევს.

ცხადია, ბევრად მეტი მოთამაშე დაგვავიწყდა ან ვერ გავიხსენეთ. ვინ იცის, კიდევ რამდენი ნიჭიერია თვალსაწიერიდან დაკარგული და ვერ ვიყენებთ...

ქომაგი: ახალი ტალღა



# ახალი ჯვაროსნები ახალი ლაშქრობისთვის

ორიოდე დღის წინ ვწერდით, რომ დაფუძნდა ქართული ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბი „ჯვაროსანი", რომელიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ითანამშრომლებს. "ჯვაროსნებმა" მიზნად დაისახეს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების აქტიური მხარდაჭერა, ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაცია, გულშემატკივრების სტადიონზე მიზიდვა, სოციალური პროექტების განხორციელება, გუნდების ფანკლუბთა დახმარება.

ცხადია, ეს მოსაწონი ამბავია და მოვიწონეთ კიდეც, მაგრამ კითხვაც დავსვით - რამდენჯერაც ფედერაციის პრეზიდენტი შეიცვლება, იმდენი გულშემატკივართა კლუბი უნდა დაარსდეს, ან რა განასხვავებს ახალს ძველისგან, უკვე არსებულისგან?

წერილს "ჯვაროსნების" ერთ-ერთი დამფუძნებელი **გოჩა თანდარაშვილი** გამოეხმაურა, ცნობილი შოუმენი, რომელიც ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია: "კარგად მესმის, რომ ასეთი კითხვა საზოგადოებაში არსებობს და ამიტომაც მსურს ვთქვა — "ჯვაროსანის" დაარსებაში ფედერაციის პრეზიდენტის შეცვლა არაფერ შუაშია, რადგან ფანკლუბი ფედერაციაში არ ჩამოყალიბებულა და დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომელიც მხოლოდ ითანამშრომლებს ფედერაციასთან, ეს კი საქმისთვისაა უკეთესი. პარტნიორული ურთიერთობა გვექნება, მაგრამ მათ ჯიბეზე ჩამოკიდებული არ ვიქნებით. ზვიად სიჭინავას ვუთხარით, რასაც ვაპირებდით და რაღაცეებში დახმარებას დაგვპირდა. ნახა, რომ არც ფულის სათხოვნელად მივსულვართ, არც გასართობად და საქმის კეთება გვინდა. ნაკრების თამაშზე გულშემატკივარი ყოველთვის მივა, ჩვენი მთავარი მიზანი ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციაა..

ახალი ფანკლუბი კი იმიტომ ყალიბდება, რომ ძველი, სამწუხაროდ, აღარ არსებობს. შესაბამისად, ძალების გაერთიანებაც არ გამოდის და, სიმართლე გითხრათ, რაც იყო, ნორმალურად არც არასდროს არსებულა. ერთი ის იყო, რომ გვაძლევდნენ ბილეთებს და ხალხის მოყვანას გვთხოვდნენ. ამიტომ ახლა ცალკე გავაკეთეთ მე და ჩემმა მეგობრებმა, სხვაზე რომ არ ვიყოთ დამოკიდებული. თანაც, ეს არ არის მხოლოდ ნაკრების ფანკლუბი, აქცენტი ეროვნულ ჩემპიონატზე გვექნება – გვინდა, ხალხი შეძლებისდაგვარად მოვიზიდოთ, გუნდების ფანკლუბთა ჩამოყალიბებას შევუწყოთ ხელი".

მისი თქმით, პირველი აქცია 26 ივლისისთვის დაიგეგმა: "ჩემპიონთა ლიგის მესამე ეტაპის მატჩი 'ზესტაფონსა" და "შტურმს" შორის თბილისში გაიმართება. უეფამ ფედერაციას "ზესტაფონის" დახმარება სთხოვა, ფედერაციამ კი ხალხის მობილიზებისთვის ჩვენ მოგვმართა. ცოდოა გუნდი, უაზრობის გამო დაიჩაგრა და თბილისელმა ქომაგებმა უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ამ კლუბის ბედი ზესტაფონელებზე არანაკლებ გვაღელვებს.

ხალხმრავალ ადგილებსა და ღონისძიებებზე - კუს ტბაზე, თბილისის ზღვაზე, ლაგუნა ვერეზე, „არტგენზე" - ფლაერების და საინფორმაციო ფურცლების დარიგებას ვაპირებთ; თამაშის დღეს ქუჩებში მსვლელობას მოვაწყობთ, ვეცდებით, ხალხი რეგიონებიდანაც შევკრიბოთ. ქართული სპორტის ქომაგები დაგვიკავშირდნენ, მოგეხმარებითო. ერთად წავალთ ვარჯიშზეც, მატჩზეც და დავეხმარებით "ზესტაფონის" ფანებს. დარწმუნებული ვარ, ერთობლივი ძალებით 26 ივლისს ეროვნულ სტადიონზე 'ზესტაფონის" მეთორმეტე მოთამაშე ვიქნებით."

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# გამორჩეული ისევ იაშვილია

## ბუნდესლიგური დებიუტი წითელი ბარათით



ალექსანდრე იაშვილმა ორ თამაშში ორი გოლი გაიტანა

| ფეხბურთელი | ას | კლუბი | მეტოქე | ანგ. | შენიშვნა | სეზ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია. II ბუნდესლიგა. II ტური | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | 33 | კარლსრუე | მიუნხენი | 1:2 (გ) | 90 წთ, 1 გოლი | 2 თ, 2 გ. |
| საფრანგეთი. ლიგა 1. ლიგის თასი | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 21 | ლე მანი | არლი | 1:0 (შ) | 90 წთ. | 0 თ |
| ამირან სანაია | 21 | ბასტია | ისტრი | 2:3 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| რუსეთი. პრემიერლიგა. XVII ტური | | | | | | |
| საბა კვირკველია | 19 | რუბინი | ტერეკი | 1:0 (გ) | 90 წთ. | 1 თ |
| ჯანო ანანიძე | 19 | სპარტაკი | ვოლგა | 2:0 (გ) | 87 წთ (შეცვალეს) | 7 თ, 1 გ |
| ნუკრი რევიშვილი | 24 | ანჟი | ზენიტი | 0:1 (შ) | 90 წთ | 15 თ |
| ოთარ მარცვალაძე | 27 | კრასნოდარი | ნალჩიკი | 2:2 (გ) | უფლება არა აქვს | 13 თ, 5 გ |
| ალეკო ამისულაშვილი | 28 | კრასნოდარი | ნალჩიკი | 2:2 (გ) | 90 წთ | 13 თ |
| ლევან გვაზავა | 31 | ტერეკი | რუბინი | 0:1 (შ) | 63 წთ (შეცვალეს) | 11 თ |
| გოგიტა გოგუა | 27 | ვოლგა | სპარტაკი | 0:2 (შ) | ტრანსფერზეა | 12 თ |
| გია გრიგალავა | 21 | ვოლგა | სპარტაკი | 0:2 (შ) | 90 წთ | 15 თ |
| ლაშა სალუქვაძე | 29 | ვოლგა | სპარტაკი | 0:2 (შ) | 90 წთ | 15 თ, 1 გ |
| გოჩა ხოჯავა | 26 | ვოლგა | სპარტაკი | 0:2 (შ) | 76 წთ (შეცვალეს) | 7 თ, 2 გ |
| მათე ვაწაძე | 22 | ვოლგა | სპარტაკი | 0:2 (შ) | 76 წთ (შეცვალ.), გფ | 11 თ, 1 გ |
| დავით სირაძე | 29 | ნალჩიკი | კრასნოდ. | 2:2 (შ) | 70 წთ (შეცვალეს) | 12 თ, 1 გ |
| უკრაინა. პრემიერლიგა. III ტური | | | | | | |
| უჩა ლობჟანიძე | 24 | კრივბასი | ილიჩივ | 3:1 (გ) | 90 წთ, 1 პასი | 2 თ |
| ჯაბა კანკავა | 25 | კრივბასი | ილიჩივეცი | 3:1 (გ) | 90 წთ, ყვ. ბარათი | 3 თ |
| ალექსან. კობახიძე | 24 | არსენალი | ჩერნომ. | 3:0 (გ) | 68 წთ (შეცვალეს) | 3 თ |
| ვასილ გიგიაძე | 34 | ტავრია | მეტალისტი | 0:0 (შ) | სათადარ. | 1 თ |
| ბექა გოცირიძე | 22 | დნიპრო | ვოლინი | 1:2 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 19 | ილიჩივეცი | კრივბასი | 1:3 (შ) | 37 წთ (შეცვლაზე) | 1 თ |
| ჯაბა ლიპარტია | 23 | ზარია | ოლექსან. | 2:0 (შ) | 92 წთ (შეცვალეს) | 3 თ, 1 გ |
| დავით თარგამაძე | 21 | ალექსანდრია | ზარია | 0:2 (გ) | 90 წთ | 3 თ, 1 გ |
| ალექსანდრე გურული | 25 | კარპატი | შახტარი | 1:2 (გ) | არ უთამაშია | 1 თ |
| დანია. სასლიგა. II ტური | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 23 | ორჰუსი | ოლბორგი | 1:2 (გ) | ტრავმა | 0 თ |
| გიორგი დიასამიძე | 19 | ორჰუსი | ოლბორგი | 1:2 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| დავით სხირტლაძე | 18 | ორჰუსი | ოლბორგი | 1:2 (გ) | არ უთამაშია | 0 თ |
| ავსტრია. ბუნდესლიგა. II ტური | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | 24 | შტურმი | მატერსბურ | 2:2 (შ) | 69 წთ. გააძევ. | 1 თ |
| რუმინეთი. ლიგა 1. I ტური | | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | 25 | გაზ მეთანი | ბრაშოვი | დღეს | | 0 თ |
| ბელარუსი. უმაღლესი ლიგა. XVIII ტური | | | | | | |
| ზაზა ჭელიძე | 24 | ბრესტი | დნეპრი | 1:1 (გ) | 1 წთ (შეცვლაზე) | 14 თ, 1 გ |
| უჩა გოგოლაძე | 21 | ბრესტი | დნეპრი | 1:1 (გ) | არ უთამაშია | 2 თ |
| უნგრეთი. ნბ-1. II ტური | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | 23 | ლომბარდი | სიოფოკი | 2:0 (შ) | 90 წთ | 2 თ |
| ლაშა თოთაძე | 22 | ლომბარდი | სიოფოკი | 2:0 (შ) | 90 წთ | 2 თ |
| რატი ალექსიძე | 32 | ეტო | უიპეშტი | 1:0 (შ) | 23 წთ (შეცვლაზე) | 2 თ |
| იაპონია. ჯეილიგა. XVIII ტური | | | | | | |
| დავით მუჯირი | 33 | ჰიროშიმა | ნაგოია | 2:3 (გ) | 59 წთ (შეცვალეს) | 18 თ, 3 გ |
| ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XV ტური | | | | | | |
| ირაკლი სირბილაძე | 28 | იარო | ჰიკ | 1:0 | 90 წთ | 1 თ, 1 გ |

განახლდა რუსეთის ჩემპიონატი და ჩვენც განვაახლეთ ქართული ლეგიონის ცხრილიც. ამ უქმეებზე ოთხი ქართული გოლი გავიდა: **ალექსანდრე იაშვილმა** მეორე ბუნდესლიგაში გამოიჩინა თავი, **ირაკლი სირბილაძემ** ფინეთის უმაღლეს ლიგაში მისთვის სადებიუტო მატჩში გაიტანა, **მამუკა ლონლაძემ** - ლატვიაში და **გიორგი კრასოვსკიმ** - სომხეთში. რუსეთში **ჯანო ანანიძე** და „სპარტაკი" ქართველთა „ვოლგას" ესტუმრნენ და იოლად აჯობეს, უკრაინულ პრემიერლიგაში კი ქართულ გოლთა სერია მე-3 ტურში შეწყდა, გოლი არა, მაგრამ საგოლე პასი მიითვალა „კრივბასში" იჯარით მოთამაშე **უჩა ლობჟანიძემ**.

ჩვენებურმა ორი ტურია, დაიწყო მეორე ბუნდესლიგა და „კარლსრუეს" ქართველი კაპიტნის ანგარიშზე 2 გოლი და 1 საგოლე პასია. შაბათს იაშვილის გუნდი „ალიანსარენას" ეწვია და „მიუნხენთან" 1:2 დამარცხდა. 37-ე წუთზე მან პენალტის ნიშნულიდან გაათანაბრა ანგარიში, თუმცა „კარლსრუემ" ქულის მომტანი ფრე ვერ შეინარჩუნა. ეული თავდამსხმელის უკან მოთამაშე იაშვილი ბურთს 95-ჯერ შეეხო, კარისკენ 2-ჯერ დაარტყა. „შპორტალმა" ამჯერად ქართველი ვეტერანის გარჯა 3-იანით შეაფასა, რაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო ორივე გუნდში.

სხვა ჩვენებურ მეგოლეებზეც ვთქვათ - ლატვიური ვირსლიგის მე-18 ტურში **თამაზ პერტიას** ყოფილმა გუნდმა „დაუგავამ" აუტსაიდერ „ოლიმპსს" 2:0 მოუგო. ანგარიში მამუკა ლონლაძემ გახსნა, რომლისთვისაც ეს მე-10 გოლია ჩემპიონატში. ამ მაჩვენებლით ქართველი ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულ ბრაზილიელ **ნათან ჟუნიორს** (სკონტო) წამოეწია. სომხეთის ჩემპიონატის მატჩში „ულისის" ქართველმა ლეგიონერმა გიორგი კრასოვსკიმ მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა კაპანში ადგილობრივი „განძასარის" წინააღმდეგ.

ავსტრიულ ბუნდესლიგაში **გიორგი ფოფხაძის** დებიუტი უიღბლო გამოდგა. ის ჩემპიონ „შტურმის" ძირითადში იყო, თუმცა „მატერსბურგთან" შეხვედრის 69-ე წუთზე წითელი ბარათი მიიღო. მატჩი 2:2 დასრულდა.

ბევრს აინტერესებს, რატომ არ თამაშობს ჩემპიონატში „კრასნოდარის" ახალწვეული **ოთარ მარცვალაძე** - პასუხი მარტივია, უფლება არ აქვს, კლუბშეცვლილ ფეხბურთელს მხოლოდ 1-ელი აგვისტოდან შეუძლია მოედანზე გასვლა. ასე რომ, მარცვალაძეს კიდევ ერთი ტურის გამოტოვება მოუწევს. გუშინდელი მატჩებიდან კი ჯანო ანანიძის „სპარტაკისა" და „ვოლგას" დაპირისპირებას გამოვყოფთ. ჯანომ თითქმის მთელი მატჩი ითამაშა (რომელიც მოსკოველმა სტუმრებმა 2:0 მოიგეს) ქართველთა გუნდის წინააღმდეგ. თუმცა „ქართველთა გუნდი" „ვოლგაზე" ისე თამამად აღარ ითქმის - მას შემდეგ, რაც **გოგიტა გოგუა** ტრანსფერზე დააყენეს, ნიჟნი ნოვგოროდში სამი ჩვენებურიღა დარჩა, სამივემ ითამაშა, მაგრამ „სპარტაკს" ვერა დააკლეს.

მართალია, „ანჟიმ" შინ 0:1 წააგო, მაგრამ „ჩემპიონატმა" ყველაზე კარგი შეფასება მაინც **ნუკრი რევიშვილს** დაუწერა - 7 ბალი: სანკტპეტერბურგელებმა 18-ჯერ დაარტყეს მასპინძელთა კარისკენ და, სულ მცირე, 6-ჯერ ნუკრიმ „ანჟი" გოლისგან იხსნა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლაშა სალუქვაძე (მარცხნივ)



ირაკლი სირბილაძე

# სირბილაძის საუკეთესოები

## გოლიანი დებიუტი და თამაში

წარმატებული გამოდგა 28 წლის ქართველი თავდამსხმელის, **ირაკლი სირბილაძის** დებიუტი ფინეთის უმაღლეს, ვეიკაუსლიგაში. ირაკლი ახლახან გადავიდა პიეტარსაარის "იაროში", პირველი მატჩი კი შაბათს ჩაატარა, თანაც, სერიოზულ მეტოქესთან – მე-17 ტურში "იარომ" ფინეთის ჩემპიონ ჰელსინკის ჰიკ-ს უმასპინძლა.

ირაკლის გუნდმა 1:0 გაიმარჯვა, ერთადერთი გოლი კი სირბილაძემ გაიტანა – 63-ე წუთზე საჯარიმოში კარგად გაიხსნა, თანაგუნდელმაც მშვენივრად უპასა და შორეულ დაბალ კუთხეში შეაგდო.

*"ახალ გუნდში კპვ-დან გამანათხოვრეს, "იარო" უმაღლეს ლიგაშია და, ცხადია, აქ მეტი მოთხოვნებია. მიხარია, რომ პირველივე ოფიციალური თამაშში თავი გამოვიჩინე და, რაც მთავარია, გუნდმა ჩემი გოლით მოიგო.*

*"იაროში" თამაშობდა გიორგი ხიდეშელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემს გადასვლას შეეწირა - კპვ-მ სეზონის ბოლომდე გამცვალა "იაროს" სამ ფეხბურთელში, რომელთაგან ერთი ხიდეშელი იყო. არადა, კარგი იქნებოდა, ერთად გვეთამაშა.*

*ცხადია, ამ ტრანსფერმა გამახარა, რადგან კპვ პირველი ლიგის აუტსაიდერია, "იარო" ვეიკაუსლიგაში მე-10 ადგილზე იყო, ბოლო ტურში გამარჯვებით კი მერვეზე გადავინაცვლეთ.*

*ჰიკ-ი ფინეთის ფეხბურთის ბოლო წლების ლიდერია, ახლა ჩემპიონთა ლიგის მესამე ეტაპზეა გასული, ჩემპიონატს წლეულსაც ლიდერობს და, როგორც ვიცი, ცამეტი ტური არ წაეგო. მიხარია, ასეთი გუნდი ჩემი გოლით რომ დავამარცხეთ. უფრო დიდი ანგარიშითაც გავიმარჯვებდით, არბიტრს ობიექტურად რომ ემსაჯა — ერთ ეპიზოდში მცველმა საჯარიმოში წამაქცია და პენალტი უნდა დაენიშნა, მაგრამ თამაში განაგრძო. ასეთი რამ მეორე ტაიმშიც განმეორდა, საჯარიმოში ხელით მომქაჩეს და წესის დარღვევაზე კვლავ თვალი დახუჭა. იმანაც უფრო გამახარა, რომ მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც დამასახელეს"* – გვითხრა სირბილაძემ.

"იაროს' ქართველი ახალწვეული ამბობს, რომ კლუბთან შეგუება არ გასჭირვებია: *"ახალ გუნდს იოლად შევეწყვე, ბიჭებს უკვე შევეჩვიე, ამ გოლის შემდეგ კი გულშემატკივართა ყურადღებას ვგრძნობ".*

შეგახსენებთ, რომ სირბილაძის ყოფილ კლუბში, პირველი ლიგის კპვ-ში ამჟამად **გიორგი ხიდეშელი, ნიკა** და **ერეკლე კილაძეები** თამაშობენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ოთხთა ტურნირი



A QUIEN CORRESPONDA

Dejamos constancia por la presente que el señor Nikoloz Patarkalishvili es la única persona autorizada por nuestra empresa para llevar a cabo las negociaciones sobre las condiciones financieras para la organización de un torneo internacional Sub-20 a celebrarse en Georgia, tentativamente a partir del 23 de noviembre 2011, con la participación de las selecciones nacionales de Argentina, Brasil, Uruguay y Georgia.

Asimismo, confirmamos la presencia del señor Edson Arantes do Nascimento (Pelé) para la inauguración de dicho torneo.

Las fechas definitivas del torneo, la presencia de Pelé y de las selecciones antes mencionadas deberán ser negociadas con nuestra empresa antes del 26 de agosto próximo, luego de lo cual las partes quedan liberadas de todo compromiso.

Alberto Pisani
Apoderado

# იქნებ, ქართული ფეხბურთის 105 წლისთავის ზეიმიც დაემატოს

როგორც „ლელოს" მკითხველმა იცის, წლეულს ნოემბრის ბოლო დეკადაში თბილისში იგეგმება ამხანაგური, საქველმოქმედო საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში არგენტინის, ბრაზილის, ურუგვაის და საქართველოს 20- წლამდელთა ნაკრები გუნდების მონაწილეობით. ტურნირის ორგანიზატორია საქართველოს კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და საქმიანი ურთიერთობების საერთაშორისო ფონდი (თავმჯდომარე **ნიკო პატარქალიშვილი**). ცხადია, ამ ინფორმაციამ დიდი ინტერესი გამოიწვია და ჩვენც თვალყურს ვადევნებთ მოვლენათა განვითარებას. გუშინ ნიკო პატარქალიშვილისგან შევიტყვეთ, რომ არგენტინიდან მიიღო რწმუნების დასტური, რომლის თარგმანს აქვე გთავაზობთ: „ვადასტურებთ, რომ ბ-ნი ნიკოლოზ პატარქალიშვილი არის ჩვენი კომპანიის ერთადერთი უფლებამოსილი პირი, რომელსაც შეუძლია აწარმოოს საქმიანი მოლაპარაკებები საქართველოში 2011 წლის 23 ნოემბრიდან ჩასატარებელი 20-წლამდელ ნაკრებ გუნდებს შორის საერთაშორისო ტურნირის ორგანიზებასთან დაკავშირებით არგენტინის, ბრაზილიის, ურუგვაისა და საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

აგრეთვე ვადასტურებთ ბატონ ედსონ არანტეს დო ნასიმენტოს (პელე) დასწრებას ტურნირის გახსნაზე.

ტურნირის თარიღებზე, პელესა და აღნიშნული ნაკრები გუნდების მონაწილეობის შესახებ მოლაპარაკებები უნდა განხორციელდეს ა/წ 26 აგვისტომდე, რის შემდეგაც მხარეები თავისუფლდებიან ყველა ვალდებულებისგან."

შეგახსენებთ, რომ თბილისში ტურნირის დღეებში 1965 წელს მოსკოვში სსრ კავშირ-ბრაზილიის ნაკრებების მატჩის შემდეგ ქართველი ფეხბურთელების - **მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, გიორგი სიჭინავას** და **ანზორ კავაზაშვილის** პელესთან გადაღებული ცნობილი სურათის მიხედვით შექმნილი ხუთფიგურიანი კომპოზიციის გახსნა იგეგმება.

გუშინ „ლელოს" რედაქციაში გაიმართა საინიციატივო ჯგუფის შეხვედრა. გაიხილეს „ქართული ფეხბურთის 105 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნის პროექტი". ზემოხსენებული ორი ისტორიული მოვლენის ერთდროულად აღნიშვნის შესახებ საინიციატივო ჯგუფი თხოვნით მიმართავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას.

**თენგიზ თომაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სეზონის წინ


ხოსეპ გვარდიოლა

# ბარსელონამ მძიმედ დაიწყო

## რეალმა კვლავ მოიგო

ესპანურმა გუნდებმა დაიწყეს პირველი საკონტროლო შეხვედრების გამართვა, რათა ახალ სეზონს მაქსიმალურად მომზადებულნი შეხვდნენ. ამასთან, „ბარსელონასა" და „რეალს" სხვა საზრუნავიც აქვთ - ჩემპიონატის დაწყებამდე ისინი ორმატჩიან დუელში ესპანეთის სუპერთასის მფლობელის ვინაობას გაარკვევენ. მოკლედ, ახალი სეზონი ეგრევე „კლასიკოთი" გვეწყება.

შაბათს პირველი საკონტროლო შეხვედრა ითამაშა **პეპ გვარდიოლას** გუნდმა. „ბარსა" ხორვატიას ესტუმრა და „ჰაიდუკის" 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მატჩში ამ გუნდს იმ სტადიონზე გაეჯიბრა, სადაც არცთუ დიდი ხნის წინათ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ითამაშა. გადაჭედილი „პოლიუდი" „ბარსელონას" მძიმე დებიუტის მომსწრე გახდა - 0:0 ასე დასრულდა ეს შეხვედრა და თუკი რომელიმე გუნდი მოგებას იმსახურებდა, ის „ჰაიდუკი" იყო. ხორვატების ანგარიშზე პირველ ტაიმში ქარს გატანებული ორი 100%-იანი შანსია (**ვალდესმა ტომასოვს** ერთი-ერთზე გასვლა მოუგო). თავის მხრივ, კატალონიელთა ყველაზე საუკეთესო საგოლე შანსი **დავიდ ვილიას** დარტყმა იყო, ბურთი ხორვატთა კარის ძელს მოხვდა.

გვარდიოლამ ამ თამაშზე პირველი და სარეზერვო გუნდების ნაზავი დააყენა. შესვენებაზე პეპმა ცვლილებებს მიმართა, სწორედ ამ დროს გამოჩნდა **ანდრეს ინიესტა**, მაგრამ თამაშის ტემპი დაეცა და „ბარსამ" ვერ შეძლო სათამაშო უპირატესობის გამოყენება.

„ბარსელონა" გერმანიაში მიდის, სადაც სამშაბათიდან „აუდის თასი" იწყება. მონაწილე კლუბთა სია შთამბეჭდავია, კატალონიელების გარდა თასისთვის „ბაიერნი", „მილანი" და „ინტერნასიონალი" იბრძოლებენ. ამის შემდეგ „ბარსა" ამერიკულ ტურნეს იწყებს.

**„ბარსელონა" (I ტაიმი):** ვალდესი, დალმაუ, არმანდო, ფონტასი, ლობატო, ჯონათან დოს სანტოსი, ტ. ალკანტარა, კეიტა, კარმონა, ვილია, აფელაი.

**(II ტაიმი):** პინტო, ბალიუ, აბიდალი, როსელი, მაქსველი, ბუსკეტსი, რიველროლა, ინიესტა, კუენსა, სორიანო, ხეფრენი.

თუკი „ბარსელონას" ამერიკულ ტურნემდე ჯერ კიდევ დროა, „რეალმა" ამერიკული ტურნე დაასრულა. ამ კონტინენტზე ჟოზე მოურინიოს გუნდმა სამი შეხვედრა გამართა და ყველა მოიგო. ბოლო მატჩში „რეალმა" „ფილადელფია უნიონს" 2:1 აჯობა. მადრიდელთაგან გოლებით თავი **ხოსე კალეხონმა** და **მესუთ იოზილმა** გამოიჩინეს. „ლინკოლნ ცენტრში" მატჩის სანახავად 57 ათას ადამიანზე მეტი მივიდა. „რეალმა" გულშემატკივრებს იმედები არ გაუცრუა და მალევე შეუდგა საქმეს - მეორე წუთზე **ჩაბი ალონსომ** 30-მეტრიანი პასი გადააწოდა ახალწვეულ კალეხონს და მანაც ამერიკულ ტურნეზე თავისი მეორე გოლი გაიტანა. მე-10 წუთზე „ფილადელფიას" მცველთა შეცდომით **ქარიმ ბენზემამ** ისარგებლა, მოჰპარა მათ ბურთი და იოზილს გადააწოდა, გერმანელმაც **მონდრაგონის** კარში ძლიერად და ზუსტად დაარტყა. 78-ე წუთზე შეცვლაზე შესული **მეხიასის** კარში ამერიკელთა ერთადერთი გოლი **ფარფანმა** გაიტანა.

**„რეალი" (I ტაიმი):** კასილიასი, არბელოა, ვარანი, რიკარდო კარვალიო, კასადო, ჩაბი ალონსო, გრანერო, იოზილი, ხესე, ბენზემა, კალეხონი.

**(II ტაიმი):** ხესუსი (68. მეხიასი), ნაჩო, ხოსელუ, ალბიოლი, მარსელო, პეპე, კაკა, კოენტრაო, რონალდო, ბენზემა, კალეხონი.

ამხანაგური მატჩი ითამაშა მესამეადგილოსანმა „ვალენსიამაც". კლაგენბურგში დაბანაკებულმა „ღამურებმა" 1:0 მოუგეს „ლესტერ სიტის" და „კარნტენის თასს" დაეუფლნენ. ერთადერთი გოლი 22-ე წუთზე **ჟონასმა** გაიტანა **არიც ადურისის** პასით. ამ შეხვედრაში **დანიელ პარეხოს** დებიუტი შედგა, მან პირველად მოირგო „ღამურების" თეთრი მაისური.

**„ვალენსია" (I ტაიმი):** გუაიტა, ბრუნო, რიკარდო კოშტა, მატიო, პარდო, ბერნატი, მადურო, ალბელდა, ფეგული, ადურისი, ჟონასი.

**(II ტაიმი):** ალვეში, ალბა, რამი, დეალბერტი, მიგელი, თოფალი, პარეხო, პიატი, პორტუ, პ. ერნანდესი, სოლდადო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● ამბები

### აგუერო ატლეტიკოს ვარჯიშზე არ გამოცხადდა

დაპირისპირებამ აშკარა ხასიათი მიიღო - გუშინ **სერხიო აგუერო** არ გამოცხადდა მადრიდის „ატლეტიკოს" ვარჯიშზე, კლუბში, რომლის წევრადაც ჯერ კიდევ ითვლება 23 წლის ფორვარდი. „კუნმა" პირობა შეასრულა - ის „ატლეტიკოში" არ დაბრუნდა. ჯერი კლუბზეა. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ სერხიო ძალიან ახლოსაა „მანჩესტერ სიტიში" გადასვლასთან.

### დეპორმა ლუქსი გაიფორმა

პრიმერადივიზიონიდან დაქვეითებულმა „დეპორტივომ" არგენტინელი მეკარე **ხერმან ლუქსი** შეიძინა. 28 წლის ლუქსი გალისიაში „მალიორკადან" გადაბარგდა, სადაც „პოროტოს" (ლუქსის მეტსახელია) იშვიათად უწევდა თამაში. ლუქსმა 1-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ეს „დეპორის" მეოთხე შენაძენია **აიოსეს, ხესუს ვასკესისა** და **სალომაოს** შემდეგ.

### მესი არ ისვენებს

**ლიონელ მესიმ** გადაწყვიტა შვებულება გაწყვიტოს და 28 ივლისს ჩილეში ჩაფრინდეს, რათა **მარსელო სალასის** გაცილების მატჩში მიიღოს მონაწილეობა. 31 ივლისს მესი უკვე მექსიკაში იქნება, სადაც „მესის მეგობართა" და „დანარჩენი მსოფლიოს ნაკრების" ამხანაგურ მატჩში ითამაშებს. მესი ასევე გეგმავს მეგობრის, **ანხელ დი მარიას** ქორწილში მისვლას. მოკლედ, არგენტინელი ფაქტობრივად შვებულების გარეშე რჩება.

ამ დღეებში „ბარსამ" სარეზერვო გუნდიდან ერთი ტალანტი დაკარგა - **ორიოლ რომეუ** „ჩელსიში" გადავიდა. 19 წლის ნახევარმცველს **მასკერანოსა** და **ბუსკეტსის** კონკურენციის დაძლევა არ შეუძლია, ინგლისურ კლუბში კი პირველ გუნდში თამაშის მეტი შანსი აქვს. მის სანაცვლოდ „ჩელსიმ" 5 მილიონი ევრო გადაიხადა. რომეუ წავიდა, მაგრამ 20 წლის ცენტრალურმა მცველმა **მარკ ბარტრამ** 2014 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი კლუბთან. ახალ სეზონში ის ჯერ „ბარსელონა B-ში" ითამაშებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● მოსალოდნელი ტრანსფერი

# აკვილანი ფიორენტინას უახლოვდება

იტალიის ნაკრების ნახევარმცველის, **ალბერტო აკვილანის** საფეხბურთო აგენტი რამდენიმე დღის წინ ამბობდა, რომ მისი კლიენტი „ლივერპულში" დაბრუნდებოდა და დარჩებოდა და რომ მისი გადასვლა „ფიორენტინაში" გამორიცხული იყო. **ფრანკო ზავალიას** ბოლო განცხადება კი ისეთი კატეგორიული აღარ არის. *„აკვილანი კვლავინდებურად „ლივერპულის" ფეხბურთელია. თუმცა ჩვენ უნდა დაველაპარაკოთ კლუბის მესვეურებს და მათ მიზნებს გავეცნოთ. ამის შემდეგ შევაფასებთ სიტუაციას და დასკვნებსაც გამოვიტანთ. ამ ეტაპზე კი „ლივერპულისა" და „ფიორენტინას" მოლაპარაკების შესახებ არაფერი ვიცი,"* - განაცხადა ფრანკომ „გაძეტა დელო სპორტთან" საუბრისას.


ალბერტო აკვილანი

იტალიური გაზეთი ასევე იტყობინება, რომ დღეს ტოსკანური კლუბის პრეზიდენტი **პანტალეო კორვინო** და **ფრანკო ზავალია** შეხვედრას გამართავენ, სადაც აკვილანისა და „ვიოლას" 5-წლიანი კონტრაქტის შესახებ იმსჯელებენ. შეგახსენებთ, რომ 27 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა გასული სეზონი არენდით ტურინის „იუვენტუსში" გაატარა.

**ლაშა წიკლაური**

● ინტერი

# ტევესი არენდით?

## ახალი კონტრაქტი ლუსიოს

როგორც იტალიური გამოცემა „კორიერე დელო სპორტი" იტყობინება, მილანის „ინტერი" „მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელის, **კარლოს ტევესის** ერთი სეზონით არენდით აყვანას გეგმავს. წინასწარი მონაცემებით, უკვე 31 ივლისს იტალიური კლუბის წარმომადგენლები ინგლისური გუნდის თავკაცებს შეხვდებიან და მოსალოდნელ გარიგებაზე დაილაპარაკებენ. თუ კლუბების მესვეურები მორიგდებიან, არგენტინელი იმავე სქემით მოხვდება ახალ გუნდში, როგორც **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** აღმოჩნდა „ბარსელონადან" „მილანში".


კარლოს ტევესი შეიძლება ინტერში აღმოჩნდეს

თავდაპირველად კარლიტოს **სამუელ ეტოოში** გაცვლის ვარიანტი განიხილებოდა, თუმცა მანჩესტერელებმა ამ გარიგებაზე უარი თქვეს და კამერუნელი ფორვარდის ნაცვლად, ტევესში 45 მილიონი ევრო მოითხოვეს.

ამასობაში, „ინტერის" ბრაზილიელი მცველის, **ლუსიოს** საფეხბურთო აგენტმა განაცხადა, რომ მისმა კლიენტმა ახალი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 33 წლის მცველის ხელშეკრულება 2012 წლის ზაფხულში იწურებოდა, ხოლო გაგრძელების შემდეგ, ბრაზილიელს 2014 წლის ზაფხულამდე შეუძლია, მშვიდად იყოს.

*„შემდეგი ორი სეზონის განმავლობაში ლუსიოს ხელფასი იგივე დარჩება, ხოლო კონტრაქტის ბოლო წელს ანაზღაურება გაიზრდება"*, - თქვა მენეჯერმა **სანდრო ბაკერმა**. სავსებით რეალურია, რომ ლუსიომ, რომელიც 2014 წელს უკვე 36 წლის იქნება, „ინტერშივე" დაასრულოს კარიერა.

**ლაშა წიკლაური**

● მილანი

# ზეედორფი: ლიგის მოგება შეგვიძლია!

„მილანის" ვეტერანმა ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა **კლარენს ზეედორფმა** მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე „როსონერის" შანსებზე ისაუბრა. ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა ჩემპიონთა თასი უკვე სამჯერ აღმართა - „აიაქსის", „რეალისა" და თავად „მილანის" შემადგენლობაში. მიუხედავად ამ შთამბეჭდავი მიღწევისა, ზეედორფს კვლავ სურს იმ სიხარულის განმეორება, რასაც ჩემპიონთა ლიგის მოგება ჰქვია.

*„მილანს" სავსებით შეუძლია ჩემპიონთა ლიგის მოგება,* - აცხადებს ზეედორფი და იქვე დასძენს, *- უბრალოდ, ჩვენ უფრო მეტად უნდა დავიჯეროთ ჩვენი შესაძლებლობების და ღრუბლებში არ უნდა ვიფრინოთ. შესაძლებელია, ინდივიდუალურად ჩვენი ფეხბურთელები „ბარსელონას" მოთამაშეებს ვერ შეედრებიან, თუმცა ჩვენ გვაქვს საკმარისი პოტენციალი იმისა, რომ თუნდაც ყველაზე რთულად მისაღწევი მიზნები დავისახოთ. ის, რომ „მილანი" უძლიერესი გუნდია, ჯერ კიდევ გასულ სეზონში დავამტკიცეთ. ახლა კი, როცა ჩვენ კლუბს კიდევ რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელი შემოუერთდა, ამის თქმა, უფრო თამამად შემიძლია."*

რაც შეეხება პირად მიზნებს: *„ყოველთვის ვცდილობ, სეზონის განმავლობაში 10 გოლი მაინც გავიტანო, მაგრამ ასეთი შედეგის მიღწევა მაშინ, როცა სიღრმიდან თამაშობ, არც ისე ადვილია. მიუხედავად ყველაფრისა, ჩემთვის გუნდის საერთო შედეგი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პირადად ჩემი ჩანაფიქრების შესრულება".*


კლარენს ზეედორფის აზრით, მილანს ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია

**ლაშა წიკლაური**

# უცხოური ფეხბურთი

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ნიურნბერგი-რასინგი | 1:0 |
| ორლანდო-ტოტენჰემი | 0:3 |
| კიოლნი-არსენალი | 1:2 |
| ლევერკუზენი-გენკი | 4:1 |
| ბორუსია (მ)-სანდერლენდი | 0:0 |
| შტუტგარტი-ნოტინგემი | 1:2 |
| ალდერშოტი-სტოკი | 1:0 |
| დაგენჰემი-ლეიტონი | 0:0 |
| დარლინგტონი-მიდლსბრო | 4:2 |
| ჰერეფორდი-ბირმინგემი | 0:0 |
| ჰალი-ლივერპული | 3:0 |
| კეტერინგი-ქოვენთრი | 0:1 |
| ნორთჰემპტონი-რედინგი | 0:3 |
| ნოტსი-ვულვზი | 1:1 |
| ოლდჰემი-ბლეკპული | 2:1 |
| ალკმაარი-ქაისერი | 3:0 |
| ტოპ ოსი-ვიტესი | 1:5 |
| სერკლი-ლევანტე | 1:1 |
| გრასჰოპერი-ცსკა (ს) | 3:0 |
| მარსელი-უდინეზე | 1:2 |
| სოსიედადი-აიაჩო | 4:0 |
| სოშო-ოსერი | 2:0 |
| სპარტა (რ)-ტურნჰაუტი | 2:0 |
| ლილი-სტ. ეტიენი | 0:1 |
| რენი-ლორიანი | 2:1 |
| ვალენსია-ლესტერი | 1:0 |
| ექსელსიორი-ვესტერლო | 3:1 |
| ეინდჰოვენი-ნიიმეგენი | 0:1 |
| ჰერაკლესი-ანკარაგუჩუ | 2:2 |
| როდა-ბრიუგე | 2:2 |
| ჰერენვეენი-მალიორკა | 0:2 |
| ტულუზა-მონპელიე | 2:2 |
| საუთჰემპტონი-ბილბაო | 0:2 |
| ბორდო-ბეტისი | 2:0 |
| დი სი იუნაიტედი-ევერტონი | 1:3 |
| ჰაიდუკი-ბარსელონა | 0:0 |
| ოდენსე-ბრაიტონი | 2:1 |
| გრონინგენი-ჰამბურგი | 0:4 |
| უტრეხტი-ერგოტელისი | 0:0 |
| აიაქსი-ინდეპენდიენტე | 5:1 |
| ტაილანდი-ჩელსი | 0:4 |
| გენტი-ხეტაფე | 1:1 |
| ჰანოვერი-ლიონი | 0:0 |
| გალატასარაი-ინტერი | 0:0 |
| ჰოფენჰაიმი-რასინგი | 3:2 |
| ბრედფორდი-ბოლტონი | 1:4 |
| ჰანოვერი-ლიონი | 0:0 |
| ლინკოლნი-სკანთორპი | 1:1 |
| ლუცერნი-ფრაიბურგი | 1:2 |
| ვოლფსბურგი-ვილიარეალი | 2:2 |
| ალ აინი-უიგანი | 0:0 |
| ლოკერენი-გენჩლერი | 1:0 |
| ლიერსი-ლევანტე | 2:6 |
| ვარეგემი-ოლიმპიაკოსი | 1:1 |
| პორტუ-პენიაროლი | 3:0 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა

II ტური

| | |
|---|---|
| ბოხუმი-ფრანკფურტი | 1:0 |
| ინგოლშტადტი-აუე | 0:0 |
| დუისბურგი-კოტბუსი | 1:2 |
| მიუნხენი-კარლსრუე | 2:1 |
| უნიონი-ფიურტი | 0:4 |
| ალემანია-ბრაუნშვაიგი | 0:2 |
| დინამო-ჰანზა | 1:1 |
| პადერბორნი-ფორტუნა | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბრაუნშვაიგი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. კოტბუსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 3. ფორტუნა | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 4. პადერბორნი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 5. აუე | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 6. ფიურტი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-3 | 3 |
| 7. სტ. პაული | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 8. აინტრახტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-2 | 3 |
| 9. კარლსრუე | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 10. მიუნხენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-4 | 3 |
| 11. ბოხუმი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 12. ჰანზა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 12. დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 14. ფრანკფურტი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 15. ინგოლშტადტი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |
| 16. უნიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-5 | 1 |
| 17. დუისბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 3-5 | 0 |
| 18. ალემანია | 2 | 0 | 0 | 2 | 0-3 | 0 |

### III ბუნდესლიგა

I ტური

ჰაიდენჰაიმი-ოფენბახი 2:1; არმინია-შტუტგარტი II; ბურგჰაუზენი-ობერჰაუზენი 3:2; დარმშტადტი-ოსნაბრიუკი 0:1; მიუნსტერი-უნტერჰახინგი 1:1; რეგენსბურგი-ბაბელსბერგი 1:1; ერფურტი-კარლ ცაისი 3:0; ზაარბრიუკენი-ხემნიცი 1:1; ზანდჰაუზენი-აალენი 2:0; ვეენი-ვერდერი II 2:1.

## გერმანია

### სუპერთასი

| | |
|---|---|
| დორტმუნდი-შალკე | 0:0 პენ. 4:3 |

## საფრანგეთი

### ლიგის თასი

| | |
|---|---|
| სედანი-მონაკო | 4:1 |

## იაპონია

VI ტური

| | |
|---|---|
| ურავა-კოფუ | 2:0 |
| ნიიგატა-კავასაკი | 1:0 |
| სერეზო-შიმიძუ | 4:0 |
| გამბა-ივატა | 2:2 |
| კაშივა-კაშიმა | 2:1 |
| ნაგოია-ჰიროშიმა | 3:2 |
| ვეგალტა-ომიია | 0:1 |
| იოკოჰამა-კობე | 1:0 |
| ფუკუოკა-იამაგატა | 0:2 |

## შოტლანდია

I ტური

| | |
|---|---|
| რეინჯერსი-ჰართსი | 1:1 |
| აბერდინი-სტ. ჯონსტონი | 0:0 |
| მოზერველი-ინვერნესი | 3:0 |
| ჰიბერნიანი-სელტიკი | 0:2 |
| დანდი იუნ-კილმარნოკი | 1:1 |
| დანფერმლაინი-სტ. მირენი | დღეს |

## შოტლანდია

### Challenge Cup

| | |
|---|---|
| დევერონვეილი-სტირლინგი | 1:3 |
| ეირდრი-ლივინგსტონი | 0:5 |
| ალბიონი-ანენი | 0:2 |
| არბროა-დანდი | 1:2 დ.დ. |
| ეირი-ქუინი | 2:0 დ.დ. |
| ბრეჩინი-ფალკირკი | 1:2 |
| კლაიდი-ბერუიკი | 2:2 პენ. 3:4 |
| ფორფარი-ბაკი | 1:1 პენ. 5:4 |
| მონროუზი-ისტ ფაიფი | 1:6 |
| პარტიკი-სტენჰაუზმური | 2:1 |
| პიტერჰედი-ალოა | 2:2 პენ. 5:4 |
| ქუინზ პარკი-ჰემილტონი | 0:2 |
| რეითი-კოუდენბითი | 2:1 |
| როსი-ელჯინი | 1:2 |
| სტრანრარი-მორტონი | 0:8 |
| დამბარტონი-ისტ სტირლინგი | 3:2 |

## ავსტრია

II ტური

| | |
|---|---|
| ადმირა-კაპფენბერგი | 1:1 |
| შტურმი-მატერსბურგი | 2:2 |
| ვინერი-რაპიდი | 0:2 |
| ვაკერი-ზალცბურგი | 0:1 |
| აუსტრია-რიდი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რაპიდი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. ზალცბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 3. ტიროლი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. აუსტრია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 4. ვინერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 6. შტურმი | 2 | 0 | 2 | 0 | 3-3 | 2 |
| 7. კაპფენბერგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 7. მატერსბურგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 9. რიდი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 10. ადმირა | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |

## დანია

II ტური

| | |
|---|---|
| სილკებორგი-ბრონდბიუ | 0:1 |
| კოპენჰაგენი-ოდენსე | 2:2 |
| ნორდსილანდი-ჰორსენსი | 1:1 |
| ოლბორგი-აგფ ორჰუსი | 2:1 |
| ლუნგბიუ-სონდერიისკი | 0:1 |
| კიოგე-მიდტიულანდი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰორსენსი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 2. კოპენჰაგენი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 2. ოდენსე | 2 | 1 | 1 | 0 | 4-2 | 4 |
| 4. ოლბორგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 5. ბრონდბიუ | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 6. აგფ ორჰუსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 7. სილკებორგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 8. სონდერიისკი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 9. ნორდსილანდ | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |
| 10. მიდტიულანდ | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 11. ლუნგბიუ | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |
| 12. კიოგე | 1 | 0 | 0 | 1 | 0-3 | 0 |

## ფინეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ვაასა-ინტერი | 3:3 |
| იარო-ჰიკ | 1:1 |
| ჰონკა-ჰაკა | 1:1 |
| მარიეჰამნი-კუოპიო | 2:2 |
| იუვიასკიულა-ტურკუ | 1:1 |
| მიუპა-როვანიემი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰიკ | 17 | 14 | 0 | 3 | 46-13 | 42 |
| 2. ინტერი | 16 | 10 | 3 | 3 | 44-25 | 33 |
| 3. იუვიასკიულა | 16 | 9 | 4 | 3 | 28-20 | 31 |
| 4. ტურკუ | 17 | 7 | 5 | 5 | 23-24 | 26 |
| 5. მარიეჰამნი | 16 | 6 | 4 | 6 | 21-19 | 22 |
| 6. ჰონკა | 16 | 5 | 6 | 5 | 20-21 | 21 |
| 7. ჰაკა | 17 | 5 | 4 | 8 | 18-33 | 19 |
| 8. იარო | 16 | 4 | 4 | 8 | 24-29 | 16 |
| 9. კუოპიო | 16 | 3 | 7 | 6 | 19-26 | 16 |
| 10. მიუპა | 16 | 4 | 3 | 9 | 17-25 | 15 |
| 11. ვაასა | 16 | 2 | 7 | 7 | 13-24 | 13 |
| 12. როვანიემი | 15 | 2 | 5 | 8 | 19-33 | 11 |

### II დივიზიონი

XIV ტური

ჰამეენლინა-პოპა 1:3; იიპო-კემი 2:0; ესპოო-ოსპ 1:2; ლაჰტი-პკ35 დღეს; კოტკე-პე-ვიიკინგიტი დღეს.

## ისლანდია

XII ტური

| | |
|---|---|
| ტორი-ვიკინგური | 6:1 |
| ფრამი-ვესტმანაეიარი | 0:2 |
| გრინდავიკი-ფილკირი | 1:4 |
| სტიარნანი-კეფლავიკი | 2:3 |
| რეიკიავიკი-ბრეიდაბლიკი | 4:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეიკიავიკი | 11 | 8 | 3 | 0 | 25-7 | 27 |
| 2. ვალური | 11 | 7 | 2 | 2 | 16-6 | 23 |
| 3. ვესტმანაიეარ | 11 | 7 | 1 | 3 | 16-9 | 22 |
| 4. სტიარნანი | 12 | 5 | 3 | 4 | 22-20 | 18 |
| 5. ფილკირი | 12 | 5 | 3 | 4 | 20-21 | 18 |
| 6. კეფლავიკი | 12 | 5 | 2 | 5 | 17-17 | 17 |
| 7. ჰაფნარი | 11 | 4 | 4 | 3 | 23-16 | 16 |
| 8. ბრეიდაბლიკ | 12 | 4 | 3 | 5 | 20-24 | 15 |
| 9. ტორი | 12 | 4 | 2 | 6 | 17-23 | 14 |
| 10. გრინდავიკი | 12 | 3 | 2 | 7 | 15-26 | 11 |
| 11. ვიკინგური | 12 | 1 | 4 | 7 | 9-21 | 7 |
| 12. ფრამი | 12 | 1 | 3 | 8 | 7-17 | 6 |

## საბერძნეთი

### პლეი ოფი

| | |
|---|---|
| დიაგორასი-ლევადია | 0:1 |
| დოქსა-ოფი | 3:3 |

## ირლანდია

XXIV ტური

| | |
|---|---|
| დერი-დანდალკი | 0:0 |
| დროგედა-გალვეი | 1:0 |
| სლიგო-სტ. პატრიკსი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სლიგო | 24 | 14 | 5 | 5 | 42-10 | 47 |
| 2. დერი | 24 | 12 | 9 | 3 | 44-16 | 45 |
| 3. შემროკი | 23 | 13 | 6 | 4 | 36-13 | 45 |
| 4. სტ. პატსი | 23 | 12 | 7 | 4 | 37-21 | 43 |
| 5. ბოჰემიანსი | 22 | 11 | 5 | 6 | 23-15 | 38 |
| 6. დანდალკი | 24 | 10 | 7 | 7 | 40-28 | 37 |
| 7. ბრეი | 23 | 10 | 4 | 9 | 26-29 | 34 |
| 8. უნივერსიტი | 23 | 5 | 3 | 15 | 22-51 | 18 |
| 9. დროგედა | 24 | 4 | 2 | 18 | 15-45 | 14 |
| 10. გალვეი | 24 | 1 | 2 | 21 | 12-69 | 5 |

### II დივიზიონი

XXI ტური

ლიმერიკი-მონეგანი 0:2; მერვუ-უოტერფორდი 1:1; შელბურნი-სოლტჰილი 4:1; უექსფორდი-ფინ ჰარპსი 0:2; ლონგფორდი-კორკი 1:3.

## შვედეთი

XVIII ტური

| | |
|---|---|
| ჰელსინგბორგი-მალმიო | 2:2 |
| მიალბიუ-გეფლე | 5:1 |
| სირიანსკა-ტრელებორგი | 4:1 |
| აიკ-კალმარი | 2:1 |
| ჰაკენი-გაის | 2:0 |
| ერებრო-ნორჩოპინგი | 2:0 |
| ელფსბორგი-იურგორდენი | დღეს |
| გიოტებორგი-ჰალმსტადი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰელსინგბორგ | 18 | 11 | 6 | 1 | 33-14 | 39 |
| 2. ელფსბორგი | 17 | 11 | 2 | 4 | 31-16 | 35 |
| 3. აიკ | 18 | 11 | 2 | 5 | 30-17 | 35 |
| 4. გაის | 18 | 9 | 2 | 7 | 28-21 | 29 |
| 5. კალმარი | 18 | 9 | 2 | 7 | 23-21 | 29 |
| 6. ჰაკენი | 17 | 8 | 4 | 5 | 34-18 | 28 |
| 7. გეფლე | 18 | 7 | 6 | 5 | 18-22 | 27 |
| 8. მალმიო | 17 | 7 | 5 | 5 | 18-20 | 26 |
| 9. გიოტებორგი | 17 | 7 | 3 | 7 | 21-22 | 24 |
| 10. ერებრუ | 18 | 7 | 2 | 9 | 23-27 | 23 |
| 11. იურგორდენ | 17 | 6 | 3 | 8 | 20-21 | 21 |
| 12. ტრელებორგ | 18 | 6 | 2 | 10 | 29-42 | 20 |
| 13. ნორჩოპინგი | 18 | 5 | 4 | 9 | 18-28 | 19 |
| 14. სირიანსკა | 18 | 5 | 3 | 10 | 19-25 | 18 |
| 15. მიალბიუ | 18 | 5 | 2 | 11 | 17-28 | 17 |
| 16. ჰალმსტადი | 17 | 1 | 4 | 12 | 11-31 | 7 |

### II დივიზიონი

XVII ტური

ატვიდაბერგი-ვასტერასი 4:0; დეგერფორსი-კვიდინგი 3:0; ვარნამო-ლანდსკრონა 3:1; იონჩოპინგი-ბრომაპოიკარნა 4:2; სუნდსვალი-ოსტერი 2:1; ანგელჰოლმი-ბრაგე 1:1; ფალკენბერგი-ლიუნგსკილე 2:0; ჰამარბიუ-ასირისკა დღეს.

## შვეიცარია

II ტური

| | |
|---|---|
| სიონი-იანგ ბოიზი | 1:2 |
| ციურიხი-სერვეტი | 2:3 |
| ბაზელი-ქსამაქსი | 2:0 |
| თუნი-გრასჰოპერსი | 3:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. თუნი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ბაზელი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. იანგ ბოიზი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 4. ლუცერნი | 1 | 1 | 0 | 0 | 3-0 | 3 |
| 5. სერვეტი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 6. სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 7. გრასჰოპერსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| 8. ციურიხი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |
| 9. ლოზანა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 10. ქსამაქსი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-5 | 0 |

### ჩელენჯლიგა

I ტური

კრინსი-ბილი 2:4; ლუგანო-ბრიული 3:1; ნიონე-ეტუალ კარუჟი 1:1; ვილი-კიასო 1:1; ბელინცონა-დელემონი 1:2; ვინტერტური-არაუ 1:2; სტ. გალენი-ვადუცი 4:2; ვოლენი-ლოკარნო დღეს.

## ბელარუსი

II ტური

| | |
|---|---|
| გომელი-ვიტებსკი | 2:2 |
| ნაფტანი-ტორპედო | 0:2 |
| დნეპრი-დინამო (ბრ) | 1:1 |
| ნემანი-დინამო (მნ) | 0:2 |
| მინსკი-ბელშინა | დღეს |

## ხორვატია

I ტური

| | |
|---|---|
| ჰაიდუკი-შიბენიკი | 2:1 |
| კარლოვაცი-ისტრა | 2:1 |
| ლუჩკო-ზადარი | 1:1 |
| ოსიეკი-რიეკა | 1:1 |
| სლავენი-ზაგრები | 1:0 |
| დინამო-ინტერი | 2:0 |
| სიბალია-სპლიტი | 2:1 |
| ვარტექსი-ლოკომოტივა | 0:2 |

## ევრო 2011

### UNDER 19

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-ირლანდია | 2:1 |
| რუმინეთი-საბერძნეთი | 0:1 |
| თურქეთი-ბელგია | 1:1 |
| სერბეთი-ესპანეთი | 0:4 |

## ესტონეთი

XXI ტური

| | |
|---|---|
| კურესაარე-კალიუ | 0:2 |
| აიაქსი-ვილიანდი | 0:4 |
| კალევი-ტამეკა | 5:1 |
| პაიდე-ფლორა | 1:4 |
| ლევადია-ტრანსი | 1:1 |

## უნგრეთი

II ტური

| | |
|---|---|
| ზალაეგერსეგი-დებრეცენი | 0:2 |
| ვაშაში-პეჩი | 1:2 |
| პალადაში-ჰონვედი | 2:4 |
| ლომბარდ პაპა-შიოფოკი | 2:0 |
| დიოში-უიპეშტი | 1:0 |
| ფეჰერვარი-პაქში | 4:0 |
| ფერენცვაროში-დიოშდიორი | 1:1 |
| კეჩკემეტი-კაპოშვარი | 4:0 |

## ლატვია

XI ტური

| | |
|---|---|
| დაუგავა-ოლიმპსი | 2:0 |
| იურმალა-იეგლავა | 1:1 |
| მეტალურგსი-ფკ იურმალა | 1:1 |
| გულბენე-სკონტო | 1:1 |

## ლიტვა

XIII ტური

| | |
|---|---|
| კლაიპედა-კაუნასი | 1:2 |
| მაჟეიკიაი-ატლანტასი | 2:0 |
| კრუოია-დაინავა | 0:1 |
| შიაულიაი-სუდუვა | 1:0 |

## მოლდოვა

I ტური

| | |
|---|---|
| მილსამი-აკადემია | 3:2 |
| ოლიმპია-ტირასპოლი | 1:0 |
| სფინტული-კოსტულენი | 2:1 |
| შერიფი-ცსკა | 2:0 |
| დაჩია-ნისტრუ | 1:0 |
| ისკრა-ზიმბრუ | დღეს |

## რუმინეთი

I ტური

| | |
|---|---|
| რაპიდი-ვასლუი | 3:0 |
| დინამო-ტარგუ | 1:0 |
| მიოვენი-უნივერსიტატეა | 0:1 |
| ვოინტა-სტიაუა | 1:1 |
| ჩახლაული-პანდური | 1:1 |
| კლუჟი-ასტრა | 2:0 |
| ბრაშოვი-გაზ მეთანი | დღეს |
| კონკორდია-სპორტული | დღეს |
| პეტროლული-ოცელული | დღეს |

## რუსეთი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ტერეკი-რუბინი | 0:1 |
| ყუბანი-ტომი | 1:3 |
| ვოლგა-სპარტაკი | 0:2 |
| ლოკომოტივი-ამქარი | 4:0 |
| ნალჩიკი-კრასნოდარი | 2:2 |
| როსტოვი-დინამო | 0:2 |
| ანჟი-ზენიტი | 0:1 |
| ცსკა-კრილია | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 16 | 11 | 4 | 1 | 33-10 | 37 |
| 2. ზენიტი | 17 | 9 | 6 | 2 | 27-12 | 33 |
| 3. დინამო | 17 | 9 | 5 | 3 | 27-18 | 32 |
| 4. რუბინი | 17 | 8 | 6 | 3 | 24-13 | 30 |
| 5. სპარტაკი | 17 | 8 | 3 | 6 | 19-19 | 27 |
| 6. ანჟი | 17 | 7 | 6 | 4 | 17-14 | 27 |
| 7. ლოკომოტივ | 17 | 7 | 4 | 6 | 28-22 | 25 |
| 8. ყუბანი | 17 | 7 | 3 | 7 | 18-17 | 24 |
| 9. კრასნოდარი | 17 | 5 | 7 | 5 | 20-23 | 22 |
| 10. ტერეკი | 17 | 5 | 4 | 8 | 13-18 | 19 |
| 11. ამქარი | 17 | 5 | 4 | 8 | 12-23 | 19 |
| 12. ტომი | 17 | 4 | 7 | 6 | 18-27 | 19 |
| 13. ვოლგა | 17 | 5 | 1 | 11 | 17-21 | 16 |
| 14. როსტოვი | 17 | 3 | 4 | 10 | 19-30 | 13 |
| 15. ნალჩიკი | 17 | 2 | 7 | 8 | 15-24 | 13 |
| 16. კრილია | 16 | 2 | 5 | 9 | 8-24 | 11 |

## უკრაინა

III ტური

| | |
|---|---|
| ზორია-ოლექსანდრია | 2:0 |
| დინამო-ობოლონი | 4:0 |
| ილიჩივეცი-კრივბასი | 1:3 |
| ტავრია-მეტალისტი | 0:0 |
| ჩერნომორეცი-არსენალი | 0:3 |
| ვორსკლა-მეტალურგი | 4:2 |
| შახტარი-კარპატი | 2:1 |
| დნიპრო-ვოლინი | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 3 | 3 | 0 | 0 | 8-1 | 9 |
| 2. დინამო | 3 | 2 | 1 | 0 | 8-2 | 7 |
| 3. ვორსკლა | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 4. კრივბასი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 5. არსენალი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-3 | 5 |
| 6. ტავრია | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 7. მეტალისტი | 3 | 1 | 2 | 0 | 4-3 | 5 |
| 8. დნიპრო | 3 | 1 | 1 | 1 | 6-5 | 4 |
| 9. ვოლინი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 10. ილიჩივეცი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 11. ზორია | 3 | 1 | 0 | 2 | 5-6 | 3 |
| 12. მეტალურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 12. ოლექსანდრია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 14. კარპატი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-4 | 1 |
| 15. ჩერნომორეცი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 16. ობოლონი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-9 | 0 |

## კოპა ამერიკა

### მე-3 ადგილისთვის

| | |
|---|---|
| პერუ-ვენესუელა | 4:1 |

### ფინალი

| | |
|---|---|
| ურუგვაი-პარაგვაი | 3:0 |

## სლოვაკეთი

II ტური

| | |
|---|---|
| ტრენჩინი-რუჟემბეროკი | 1:1 |
| დ. სტრედა-ბისტრიცა | 1:3 |
| ნიტრა-მორავცე | 0:1 |
| სლოვანი-ჟილინა? | 3:2 |
| კოშიცე-ტრნავა | 1:1 |
| ტატრანი-ჟილინა | 0:0 |

## სლოვენია

II ტური

| | |
|---|---|
| რუდარი-ტრიგლავი | 5:0 |
| ნაფტა-მარიბორი | 1:2 |
| გორიცა-მურა | 1:1 |
| დომჟალე-ცელიე | 1:0 |
| კოპერი-ოლიმპია | 1:1 |

## ბრაზილია

III ტური

| | |
|---|---|
| ამერიკა-ფიგეირენსე | 0:0 |
| ატ. პარანაენსე-ბოტაფოგო | 2:1 |
| სან პაულუ-ატ. გოიანენსე | 2:2 |
| ფლამენგო-სეარა | 1:1 |
| ატ. მინეირო-ვასკო | 1:2 |
| ბაია-კურიტიბა | 0:0 |
| კორინთიანსი-კრუზეირო | 0:1 |
| ფლუმინენსე-პალმეირასი | 1:0 |

## ეკვადორი

I ტური

| | |
|---|---|
| ლიგა დე ლოხა-ნასიონალი | 0:3 |
| დეპ. კიტო-მანტა | 4:0 |
| ესპოლი-ბარსელონა | 2:2 |
| ემელეკი-იმბაბურა | 5:0 |
| ოლმედო-ლიგა დე კიტო | 2:0 |
| ინდეპენდიენტე-დეპ. კუენკა | 0:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ტური

| | |
|---|---|
| ტეკოსი-ტოლუკა | 1:2 |
| პაჩუკა-სანტოსი | 1:4 |
| ტიგრესი-კრუს ასული | 1:1 |
| ტიხუანა-მორელია | 1:2 |
| ატლასი-პუებლა | 0:1 |
| ატლანტა-გვადალახარა | 0:2 |
| პუმასი-სან ლუისი | 2:0 |
| ამერიკა-კერეტარო | გვ. დასრულდა |
| ხაგუარესი-მონტერეი | გვ. დასრულდა |

## აშშ

| | |
|---|---|
| ნიუ იორკი-დალასი | 2:2 |
| კოლამბუსი-პორტლენდი | 1:0 |
| კანზასი-ტორონტო | 4:2 |
| კოლორადო-ნიუ ინგლენდი | 2:2 |
| სოლტ ლეიკი-სან ხოსე | 4:0 |
| ჩივასი-ჰიუსტონი | 3:0 |

## მსოფლიო თასი 2014

### შესარჩევი. აზია

| | |
|---|---|
| ჩინეთი-ლაოსი | 7:2 |
| ტაილანდი-პალესტინა | 1:0 |
| სინგაპური-მალაიზია | 5:3 |
| თურქმენეთი-ინდონეზია | 1:1 |
| უზბეკეთი-ყირგიზეთი | 4:0 |
| ლიბანი-ბანგლადეში | 4:0 |
| ირანი-მალდივი | 4:0 |
| ომანი-მიანმარი | 2:0 |
| იორდანია-ნეპალი | 9:0 |
| საემიროები-ინდოეთი | 3:0 |
| სირია-ტაჯიკეთი | 2:1 |
| ერაყი-იემენი | 2:0 |
| კატარი-ვიეტნამი | 3:0 |
| ქუვეითი-ფილიპინები | 3:0 |
| ს. არაბეთი-ჰონგ კონგი | 2:0 |

## ამბები



გაბრიელ ჰაინცე

## ჰაინცეს სერიოზული გეგმები

### არგენტინელს მოსწონს ის, რომ ჯალოროსის შეფებს დიდი ამბიციები აქვთ

„რომას" ახალწვეული **გაბრიელ ჰაინცე** ტრანსფერით ძალიან კმაყოფილია და „ჯალოროსისთან" ერთად სერიოზულ მიზნებს ისახავს. არგენტინელი მცველი „რომაში" გუშინ თავისუფალი აგენტის სტატუსით, უფასოდ გადავიდა. როგორც იცით, მას „მარსელთან" კონტრაქტის ვადა ამოეწურა.

„ითამაშო ისეთი გუნდის მაისურით, როგორიც „რომაა", ძალიან დიდი პატივია. ამ კლუბის ხელმძღვანელებს დიდი გეგმები აქვთ დასახული, სწორედ ამიტომ დავთანხმდი კარიერის „რომაში" გაგრძელებაზე. ეს სწორედ ის შემთხვევა იყო, როცა საკუთარი თავისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ორჭოფობა არ შემიმჩნევია. მომწონს ისიც, რომ „რომას" ხელმძღვანელობა გამოცდილ ფეხბურთელებთან ერთად, ახალგაზრდების ნდობასაც აპირებს. ვფიქრობ, რომ მე და სხვა ძველი ფეხბურთელები კარგ მაგალითს მივცემთ კრკიჩსა და ლამელას," – აცხადებს 33 წლის არგენტინელი მცველი.

„მე შემიძლია ვითამაშო როგორც ცენტრალური, ასევე ფლანგის მცველის პოზიციაზე. რაც შეეხება ახალ გუნდთან შეჩვევას, ვფიქრობ, რომ ამ მხრივ პრობლემა არ უნდა შემექმნას, რადგან სულ თუ არაფერი, „რომაში" უკვე თამაშობს ჩემი თანამემამულე, არგენტინის ნაკრებში ჩემი პარტნიორი ნიკოლას ბურდისო," - ესეც ჰაინცეს სიტყვებია.

## ჟულიო სერჟიო ლეჩესკენ

ივარაუდებოდა, რომ „რომას" ბრაზილიელი მეკარე **ჟულიო სერჟიო** კარიერას „სამპდორიაში" გააგრძელებდა, თუმცა ცოტა ხნის წინ მან „ლეჩესგან" ახალი წინადადება მიიღო. „გულახდილად გეტყვით, რომ „სამპდორიასგან" არანაირი კონკრეტული შემოთავაზება არ მიგვიღია, ხოლო რაც შეეხება „ლეჩეს", ტრანსფერის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მომავალ კვირაში გახდება ცნობილი", - აცხადებს ჟულიოს საფეხბურთო აგენტი **ალესანდრო ლუჩი**.

იმ შემთხვევაში, თუ ჟულიო სერჟიო „ლეჩეში" გადავა, ის **ანტონიო როზატის** შეცვლის, რომელიც თავის მხრივ „ნაპოლის" საკუთრება გახდა. შეგახსენებთ, რომ „რომა" მეორე მეკარემ **ალეშანდერ დონიმაც** დატოვა და „ლივერპულში" გადაბარგდა.

## ვარგასი ლაციოსაც სურს

პერუელი ფეხბურთელით არა მარტო „იუვენტუსი" და „ასტონ ვილა", არამედ რომის „ლაციოც" დაინტერესებული. ყოველ შემთხვევაში, ასეთ ინფორმაციას ავრცელებენ ჩვენი კოლეგები იტალიაში. ამასთან, **ხუან მანუელ ვარგასი** ირწმუნება, რომ ფლორენციის დატოვებას არ აპირებს. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტები მაინც წერენ, რომ „ვიოლა" 27 წლის ფეხბურთელს 18 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეელევა.

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გერმანიის სუპერთასი

# შალკეს ახალი ნოიერი ჰყავს!

## გელზენკირხენელებმა სუპერთასი პენალტების სერიით მოიგეს. ფერმანმა ორი თერთმეტმეტრიანი მოიგერია და მატჩის გმირი გახდა

**ბორუსია (დ)–შალკე 0:0 (პენ. 3:4)**

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, ფელიპე სანტანა, ჰუმელსი, ლიოვე (77. ლაიტნერი) – გიუნდოგანი, კელი (75. ს. ბენდერი) – გიოტცე (75. პერიშიჩი), კაგავა, გროსკროიტცი – ლევანდოვსკი.

**შალკე (4-2-3-1):** ფერმანი – ჰიოგერი, ჰიოვედესი, პაპადოპულოსი, ფუხსი – მატიპი, ჰოლტბი – ბაუმიოჰანი (89. ედუ), რაული, დრაქსლერი (46. ხურადო) – ჰუნტელაარი (69. მორავეკი).

**პენალტების სერია:** 1:0 გიუნდოგანი, 1:1 ჰოლტბი, 2:1 ჰუმელსი, 2:2 ედუ, 2:2 გროსკროიტცი (მეკარე), 2:3 ჰიოვედესი, 3:3 ლაიტნერი, 3:4 ხურადო, 3:4 პერიშიჩი (მეკარე).

**გაფრთხილება:** გროსკროიტცი – ბაუმიოჰანი

**მაყურებელი:** 61 673

რა სამწუხაროა, რომ გერმანიის ჩემპიონატის დაწყებას კიდევ 11 დღე უნდა ველოდოთ! სუპერთასზე მოსისხლე მტრების, „შალკესა" და „დორტმუნდის" დაპირისპირებამ ბუნდესლიგის ბატალიების ცქერა ისე მოგვანდომა, რომ კიდევ 11 დღის მოთმენა ძალიან გაჭირდება. შაბათს, გერმანიის სუპერთასის ეგიდით გამართულ რურის დიდ დერბიში თითქმის ყველაფერი შესანიშნავი იყო – საუცხოო განწყობა, დაუნდობელი ორთაბრძოლები, ინტრიგა და დრამატიზმიც. ერთი ეგაა, რომ გოლები მხოლოდ პენალტების სერიაში გავიდა.

საფეხბურთო ლატარეა გელზენკირხენელებმა 4:3 მოიგეს. ეს იმიტომ, რომ „შალკეს" ახალმა მეკარემ, 22 წლის **რალფ ფერმანმა** ორი თერთმეტმეტრიანი მოიგერია – აულო დღენიადაგ „შალკეს" მაგინებელ **კევინ გროსკროიტცს** და გერმანიის ჩემპიონის ძვირადღირებულ ახალწვეულ **ივან პერიშიჩს**. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მტერზე გამარჯვება მხოლოდ ფერმანის დამსახურებაა, რისთვისაც მას „შალკეს" ფანებმა უკვე მიანიჭეს გმირის წოდება.

*„მე მგონი, შალკელობა კარგად დავიწყე. მიხარია, რომ გულშემატკივრები ჩემს გვარს სკანდირებდნენ. ნოიერის წასვლით „შალკეში" უდიდესი ხვრელი გაჩნდა, მანუელი ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა. ჩემი მოვალეობა ისაა, რომ ეს სიცარიელე ნელ-ნელა ამოვავსო. ვფიქრობ, დასაწყისისთვის ყველაფერი კარგადაა,"* - თქვა მოგვიანებით მატჩის გმირმა, რომელსაც, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა უკვე გაბედეს და „ახალი ნოიერი" უწოდეს.

### პერიშიჩი არ ვარგა

გერმანიის თასის მფლობელი გერმანიის ჩემპიონის წინააღმდეგ და თანაც „შალკე"-„დორტმუნდი" – ამაზე დიდი ინტრიგა წარმოუდგენელია! რაკი სუპერთასი გერმანიის საფეხბურთო ლიგის მიერ ორგანიზებული გათამაშებაა, წესით, მატჩის წინ სტადიონზე ორივე კლუბის ჰიმნი უნდა დაეკრათ, მაგრამ ბოლო წუთს ორგანიზატორებმა ჰიმნების დაკვრაზე უარი თქვეს, რადგან შეხვედრა „შალკეს" „ფელტინს არენაზე" იმართებოდა და „ბორუსიას" ჰიმნით „HEJA BVB" გელზენკირხენული პუბლიკის პროვოცირებას თავი აარიდეს.

დორტმუნდელთა თავკაცმა **იურგენ კლოპმა** 5.5 მილიონად შეძენილი პერიშიჩი თავიდან სათადარიგოთა სკამზე დატოვა და მოედანზე მხოლოდ მეორე ტაიმშილა შეუძლვა (**მარიო გიოტცეს** ნაცვლად), მაგრამ აუცილებლად ინანებდა – ბოლო პენალტი ხომ სწორედ ხორვატმა გააფუჭა. ზოგადად კი, დორტმუნდელები პერიშიჩის გარეშე უფრო უკეთ თამაშობდნენ, ვიდრე მეორე ტაიმში მასთან ერთად. ჩემპიონებს უკვე მე-6 წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა, როცა კუთხურს **სებასტიან კელი** გამოეხმაურა და ხუთი მეტრიდან თავური დარტყმით შეეძლო გატანა, მაგრამ ბურთი ძელს მოარტყა.



რალფ ფერმანის ორმა მოგერიებულმა პენალტმა შალკეს სუპერთასი მოუტანა



თუ გახსოვთ, გასულ სეზონში „შალკემ" „დორტმუნდთან" საკუთარ მოედანზე 1:3 წააგო და იმ მატჩში გელზენკირხენელები ძალიან ცუდად გამოიყურებოდნენ. უნდა ითქვას, რომ „შალკემ" ამჯერად გაცილებით უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა. თავად განსაჯეთ: „ხუმარებს" გოლის გატანა არაერთხელ შეეძლოთ. მარტო ცენტრალურ მცველ **ბენედიქტ ჰიოვედესს** ორჯერ მართებდა **რომან ვაიდენფელერის** დამწუხრება – მე-10 და მე-16 წუთებზე თავით კარს ოდნავ აცილა. აღსანიშნავია ისიც, რომ „შალკეს" დამრიგებელმა **რალფ რანგნიკმა** სასტარტოში სამი ახალწვეული, „მაინციდან" დაბრუნებული **ლუის ჰოლტბი**, ამავე კლუბიდან ნაყიდი **კრისტიან ფუხსი** და აახენიდან გადმოყვანილი **მარკო ჰიოგერი** ათამაშა.

„აინტრახტიდან" ნოიერის შემცვლელის რანგში ნაყიდ ფერმანს კი მარტო პენალტების სერიაში არ უვაჟკაცია – 23-ე წუთზე გროსკროიტცის თავური დარტყმა მოიგერია, 27-ეზე კი **ილქაი გიუნდოგანსაც** არ გაატანინა. საუკეთესო სეივი კი ახალგაზრდა კიპერმა 43-ე წუთზე გააკეთა, როცა „ბორუსიას" თავდამსხმელ **რობერტ ლევანდოვსკის** აულო. ამაზე უკეთეს სეივებს ნოიერიც არ აკეთებს ხოლმე!

### კაგავა უკვე კარგ ფორმაშია

ზოგადად, „დორტმუნდი" „შალკეს" თამაშით სჯობდა. ეს განსაკუთრებით **შინჯი კაგავას** დამსახურებაა, რომელიც 7-თვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ დაბრუნდა და უკვე ძალიან კარგ ფორმაშია. დორტმუნდელებმა პირველი ტაიმი რომ ვერ მოიგეს, ეს მთლიანად ფერმანის დამსახურებაა. **რაული** მოედანზე საერთოდ არ ჩანდა, რასაც ჩვენი გერმანელი კოლეგები რანგნიკს აბრალებენ – თავდასხმიდან ნახევარდაცვაში რომ გადასწია, იმიტომ. ვეტერანი ესპანელი გამთამაშებლის პოზიციაზე აშკარად ვერ გრძნობს თავს კარგად. ფერმანმა კი მეორე ტაიმშიც განაგრძო სეივების კეთება – მაგალითად, მე-60 წუთზე გიოტცეს აულო. შალკელთაგან კი, „კაიზერსლაუტერნიდან" დაბრუნებულ **იან მორავეკს** შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ამჯერად „ბორუსიას" მეკარე ვაიდენფელერმა იყოჩაღა.

პენალტების სერიის შემდეგ დორტმუნდელები გაბრაზებულები იყვნენ. გიუნდოგანმა თქვა, დღეს „შალკეს" გამარჯვება არ დაუმსახურებიაო. „ბორუსიას" თავკაცმა იურგენ კლოპმა კი პერიშიჩი და გროსკროიტცი, რომლებმაც პენალტები ვერ გაიტანეს, არ გააკრიტიკა და მანაც „შალკეს" გაჰკრა კბილი – მერჩივნა ეს მატჩი კარგად გვეთამაშა და წაგვეგო, როგორც მოხდა, ვიდრე ცუდად გვეთამაშა და მოგვეგოო...

**გოტფრიდ ლენცი**

● ამბები

### რა ეშველება მომო სისოკოს?

რომელ გუნდში შეხვდება ახალ სეზონს ტურინის „იუვენტუსის" ნახევარმცველი **მომო სისოკო**, ჯერ კიდევ უცნობია, თუმცა აქედანვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს კლუბი „ჰამბურგი" არ იქნება.

მართალია, მაღელი საყრდენი გერმანულ ვარიანტზე უარს არ იტყოდა, მაგრამ როგორც გაირკვა, მისი გადაბირება თავად „ჰამბურგს" აღარ უნდა, რადგან სატრანსფერო აქტივობები ამოწურა და ფულიც აღარ ჰყოფნის. შეგახსენებთ, რომ ჩრდილოგერმანულმა კლუბმა უკვე შეიძინა პერ შელბრედი, მაიკლ მანსიენი, ჯეფრი ბრუმა, ჯაკოპო სალა და გექჰან ტიორე.

როგორც იტალიელი ჟურნალისტები იტყობინებიან, „ჰამბურგი" მართლაც იყო დაინტერესებული სისოკოს ტრანსფერით, თუმცა ბოლო ინფორმაციით, გუნდის სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** გადაჭრით განაცხადა, რომ მეტი ახალწვეული კლუბში აღარ იქნებოდა.

სისოკოს ყიდვა კიდევ ერთ გერმანულ კლუბს, „ლევერკუზენსაც" სურდა და „იუვენტუსს" შეეძლო, სისოკოს „ბაიერში" გაშვებით არტურო ვიდალის სატრანსფერო თანხის ნაწილი გაექვითა, მაგრამ ტურინელებმა ასეთ გარიგებას ვიდალში პირდაპირ თანხის გადახდა ამჯობინეს. შეგახსენეთ რომ ცოტა ხნის წინ თავად სისოკო ამბობდა, რომ მისით მადრიდის „რეალი" და მარსელის პსჟ იყვნენ დაინტერესებულები. გამორიცხული არც ისაა, რომ მომო „იუვეში" დარჩეს, რადგან ვიდალის ყიდვის შემდეგ, „ბებერმა ქალბატონმა" ბრაზილიელი საყრდენი ნახევარმცველი და სისოკოს კონკურენტი ფელიპე მელო თურქულ „გალათასარაიში" გაანათხოვრა.

**ლაშა წიკლაური**

### რიბერი დაშავდა და გადარჩა

გუშინ დილას „ბაიერნის" ქომაგებისთვის ძალიან ცუდი ინფორმაცია გავრცელდა – რეკორდმაისტერის ფრანგმა გარემარბმა **ფრანკ რიბერიმ** ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და მზადების გაგრძელება ველარ მოახერხა. მიუნხენური კლუბის ფანები სალამომდე ნერვიულობდნენ, ნაშუადღევს კი, „ბაიერნის" მთავარმა ექიმმა დოქტორმა **ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტმა** 28 წლის ნახევარმცველს ისეთი დიაგნოზი დაუსვა, რომ „ზებენერშტრასეზე" ყველამ შვებით ამოისუნთქა. რიბერი ვარჯიშს სავარაუდოდ კვირის ბოლოს განაახლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ რეკორდმაისტერს არც გერმანიის თასის პირველ ეტაპზე (პირველ აგვისტოს, „ბრაუნშვაიგთან" მატჩში) დააკლდება.

### დანტე გლადბახში რჩება

მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ხელმძღვანელებმა ბევრი იწვალეს, თუ ცოტა, იმდენი მოახერხეს, რომ დაცვის ბურჯი **დანტე** „გლადბახში" რჩება. ფეხბურთელმა გუშინ დაადასტურა, რომ მიონხენგლადბახიდან აბარგებას აღარ აპირებს. არადა, წინა დღეებში დანტე, რომელსაც კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული, ხშირად ამბობდა, შესაძლოა, „ბორუსია" დავტოვოო.

შეგახსენებთ, რომ 27 წლის მცველი „გლადბახში" 2008 წელს ლიეჟის „სტანდარდიდან" გადავიდა და დღეისათვის მიონხენგლადბახელთა ერთ-ერთი ლიდერია.

### ტოტენჰემს რობენი აინტერესებს

ჰოლანდიური პრესის ცნობით, „ტოტენჰემს" „ბაიერნიდან" **არიენ რობენის** შეძენა უნდა. ჩვენი ჰოლანდიელი კოლეგები, კერძოდ კი, გაზეთი Voetbal International წერს, რომ რობენის შეძენა თვით **ჰარი რედნაპმა** მოინდომა და კლუბის მესვეურებს „ბაიერნთან" მოლაპარაკების დაწყება სთხოვა. შეგახსენებთ, რომ „ტოტენჰემში" არიენის თანამემამულე **რაფაელ ვან დერ ვაარტი** თამაშობს. წესით, რობენი „ტოტენჰემში" გადასვლაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაფიქრდეს, თუ „ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდს ვერ გადალახავს და ჯგუფურ ეტაპზე ვერ მოხვდება.

**გოტფრიდ ლენცი**

● ვოლფსბურგი

# დიეგოს ეშველა? ატლეტიკო მზადაა!

## შეიფარებენ ბრაზილიელს მადრიდში?

**ფელიქს მაგათის** მძიმე ვარჯიშებმა შედეგი გამოიღო – „ვოლფსბურგის" ბრაზილიელი გამთამაშებელი **დიეგო** ფორმაში ჩადგა. თუმცა „დესპოტ ფელიქს"-ის მაინც არ სჭირდება – „მგლების" თავკაცი ბრაზილიელი გამთამაშებლის შესახებ აზრის შეცვლას არ აპირებს და პირდაპირ ამბობს, დიეგო კარგად იმიტომ მოვამზადე, რომ მაქსიმალურად კარგად გაიყიდოსო. დიდი შანსია, გაურკვევლობას ბოლო ამ დღეებში მოეღოს: როგორც ესპანური გამოცემა „ასი" იტყობინება, დიეგოთი მადრიდის „ატლეტიკო" დაინტერესდა. მეტიც: ესპანური მედიის ცნობით, მადრიდელებმა ვოლფსბურგელებთან მოლაპარაკებები დაიწყეს. გერმანული „კიკერის" ინფორმაციით კი, „ატლეტიკომ" „ვოლფსბურგს" უკვე კონკრეტული წინადადებით მიმართა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ბრაზილიელს სხვა მთხოვნელებიც გამოუჩნდნენ.



დიეგო შეიძლება ატლეტიკომ შეიფაროს

გუშინ „ვოლფსბურგში" სეზონის ოფიციალური გახსნა იყო, რომელზეც მაგათმა თქვა, რომ დიეგოს შესახებ ახალი და კონკრეტული არაფერია. ესპანელი ჟურნალისტები კი ირწმუნებიან, რომ „ატლეტიკოში" გადასვლის შემთხვევაში, ბრაზილიელი ხელფასის შემცირებას უნდა დათანხმდეს – მადრიდელები მას წელიწადში მხოლოდ 2.5 მილიონ ევროს სთავაზობენ, „ვოლფსბურგში" კი 4 მილიონს იღებდა.

შეგახსენებთ, რომ დიეგო „მგლებმა" ერთი წლის წინ, „იუვენტუსიდან" 15 მილიონ ევროდ შეიძინეს. გასული სეზონის ბოლო ტურის წინ კი, 26 წლის ბრაზილიელს მაგათთან უთანხმოება მოუვიდა, რის შემდეგაც ფელიქსმა თქვა, რომ დიეგოს „ვოლფსბურგში" აღარასოდეს ათამაშებდა.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

ლივერპული

# უჰ!

## ლივერპული ჰალმა შეარცხვინა



გაოგნებული კენი დალგლიში

**კენი დალგლიშმა** გულწრფელად თქვა, რომ შეშფოთებულია იმით, რაც „ჰალ სიტისა" და მისი „ლივერპულის" შეხვედრისას ნახა. „ჰალ სიტი" ინგლისური „ჩემპიონშიპის" მე-11 გუნდი გახლავთ და მან მრისხანე მერსისაიდელებს ამხანაგურ შეხვედრაში 3:0 მოუგო. „ლივერპულმა" გვარიანად არეულ-შერეული შემადგენლობით ითამაშა, თუმცა ახალწვეულებს, 27 წლის **სტიუარტ დაუნინგსა** და 21 წლის **ჯორდან ჰენდერსონს** მაინც უკეთესად თამაში მართებდათ.

დაუნინგი და ჰენდერსონი კიდევ ერთ ახალშენაძენთან, 25 წლის **ჩარლი ადამთან** ერთად იმ 11 კაცში იყვნენ, რომლებიც დალგლიშმა მოედანზე მეორე ტაიმში შეუშვა. დალგლიშმა სასტარტოში არც **ენდი ქეროლის**, **დირკ კუიტისა** და **ჯეი სპირინგის** დაყენება იჩქარა, **ჯო კოულსა** და **ალბერტო აკვილანის** კი ჯერ ვერ გაურკვევიათ, სად უნდა ითამაშონ მომდევნო სეზონში.

„ჰალი" 34 წუთში 2:0-ს იგებდა. დიდებული გოლები გაიტანეს **რობერტ ბრეიდიმ** და **რობერტ კორენმა**. „წითლების" უსუსური დაცვა **ჯეი სიმპსონმა** შესვენების შემდეგ, მე-60 წუთზე დასაჯა. მატჩის შემდეგ დალგლიშმა თქვა:

*„ეს სეზონისწინა შეხვედრა გახლდათ. ამხანაგურები იმიტომ არსებობს, რომ მოთამაშეებს შეცდომებზე მიუთითო. ისინი სწორედ ასეთი შეხვედრების დროს უნდა შევიდნენ კარგ ფორმაში. დღეს აშკარად დავინახე, რომ ჩემი გუნდი ისეთ შეცდომებს უშვებს, რომელთაც სასწრაფო გამოსწორება სჭირდება. რად უნდა ლაპარაკი, რომ წაგებამ გული გვატკინა. დამარცხება მწარეა, რა მნიშვნელობა აქვს ამხანაგურია შეხვედრა თუ ოფიციალური, თუმცა ის, რომ სეზონი ჯერ არ დაწყებულა, მაინც გვამშვიდებს.*

*გუშინ, საგანგებოდ, დიდი დატვირთვით ვივარჯიშეთ. თითოეული ფეხბურთელი ცრა-ათი კილომეტრი ვარბენინე, ეს კი ის მანძილია, რომელსაც ისინი თამაშების დროს დარბიან. ამრიგად, გამოვიდა, რომ ბიჭებმა ორ დღეში თამაშ-ნახევარი ჩაატარეს. გარდა ამისა, ჰალისკენ ამ დილით გამოვემგზავრეთ (მანძილი ლივერპულსა და ჰალს შორის 179 კილომეტრია), მაგრამ 3:0-ის წაგებას მაინც არ ველოდი".*

არსენალი

# ჟერვინიოს დებიუტი და ნასრის სიხარული

**სამწუხარო** დებიუტი ჰქონდა 24 წლის კოტ დ'ივუარელ **ჟერვინიოს** „არსენალში" — თხუთმეტ წუთში ორი გოლი გაიტანა, მერე კი ფეხნატკენმა მოედანი დატოვა. ეს ამბავი გერმანიაში მოხდა, სადაც „მეთოფეებს" „კიოლნმა" უმასპინძლა. შეგახსენებთ, რომ ჟერვინიო „არსენალმა" ფრანგული „ლილისგან" დაახლოებით 12 მილიონ ევროდ იყიდა.

პირველი გოლი კოტ დ'ივუარელმა მე-7 წუთზე შეაგდო, როდესაც **ჯეკ უილშირის** პასს შეჰყვა, ბურთს ფეხი აჰკრა და გერმანული გუნდის მეკარეს თავზე გადაუგდო. მეორე, მარჯვნიდან შესული **თეო უოლკოტის** გარღვევას მოაყოლა — კარის ხაზის პარალელურ, გამჭოლ ჩაწოდებას მიუჩინა ბადეში ადგილი. თუმცა, 29-ე წუთზე ჟერვინიო შეცვალეს, ფეხს იტკიებდა. მან, სავარაუდოდ, მეორე გოლის დროს, მეკარე **მიხაელ რენზინგთან** შეჯახების გამო იტკინა ფეხი. შემდეგ, გერმანელმა გოლკიპერმა ზემოხსენებულ უილშირს და **აარონ რემსის** აჯობა. თუმცა, ტაიმის მიწურულს „მეთოფეთა" 19 წლის ფინელმა მცველმა, **კარლ იენკინსონმა** საკუთარი მეკარის, **ვოიცეხ შჩესნის** კარში საჯარიმოს კიდიდან დიდებული სანახავი გოლი გაიტანა — პარაშუტით პირდაპირ „ცხრიანში" დაუმიზნა.

შესვენებისას **არსენ ვენგერმა** ათი ფეხბურთელი შეცვალა. ერთადერთი, ვინც ფრანგმა მწვრთნელმა სასტარტო შემადგენლობიდან მოედანზე დატოვა **კიერან გიბზი** გახლდათ. მეორე ტაიმის ეპიზოდებიდან შეგვიძლია **ანდრეი არშავინის** ორი მცდელობა, **ვიტო მანონეს** მიერ **ლუკაშ პოდოლსკის** დარტყმულის მოგერიება და **იოან ჯურუს** ის „გაფრენა" გავიხსენოთ, როდესაც მან **მატო ჯაჯალოს** მიერ გაშვებულ ბურთს გზა გადაუღობა. ისე კი, უნდა ითქვას, რომ ამ ეპიზოდების გარდა რამდენიმე სხვა მომენტიც იყო — „კიოლნისა" და „არსენალის" შეხვედრა ძალიან თვალსასეირო სანახავი გამოდგა.

ჩრდილოლონდონელთა 24 წლის შემტევი ნახევარმცველი **სამირ ნასრი** კი ყაბულსაა ეს სეზონიც „ემირეიტ სთედიუმზე" გაატაროს, გაისად ამ დროს კი თავისუფალი აგენტის სტატუსით სხვა გუნდში წავიდეს. სხვა სიტყვებით, ნასრი კატეგორიულია — „არსენალთან" ახალი ხელშეკრულების გაფორმებას არ აპირებს.

მოგეხსენებათ, ნასრის 20 მილიონ ფუნტად გადაბირებას „მანჩესტერ სიტი" ცდილობდა. „მეთოფეებს" მისი ისტლენდზე გაშვება არ უნდოდათ და ფეხბურთელის მოთაფვლა კვირაში 115 ათასი ევროთი სცადეს, მაგრამ მან იუარა. ინგლისურმა ტაბლოიდებმა შეიტყვეს, რომ ნასრიმ კიოლნში თანაგუნდელებს გაანდო, მომავალი სეზონი ჩემთვის „არსენალში" ბოლო იქნებაო.

ჟურნალისტებმა ვენგერსაც ჰკითხეს, გადაწყდა თუ არა ფრანგი ვარსკვლავის ამბავი საბოლოოდ. „მეთოფეთა" მწვრთნელმა უპასუხა:

*„ბოლომდე არ გადაწყვეტილა, მაგრამ მინდა, რომ ის ჩვენთან დარჩეს. მან ჩემი დამოკიდებულება ძალიან კარგად იცის და იმედი მაქვს, რომ უახლოეს ერთ-ორ კვირაში ყველაფერს მოვაგვარებთ".*



მანჩესტერ სიტი

# ჰარტის გული და ფული

„მანჩესტერ სიტის" 24 წლის მეკარე **ჯო ჰარტს** გასული წელიწადი დიდებული ჰქონდა და აი, დაგვირგვინებაც: ისტლენდელებმა ახალი ხუთწლიანი კონტრაქტი მოუმზადეს. როდესაც „სიტი" ამერიკული ტურნედან ინგლისში დაბრუნდება, ჰარტს გაუფორმებენ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ხელფასი გაუსამმაგდება და კვირაში 90 ათას ფუნტს გაუტოლდება. ამიერიდან, ისტლენდელთა მეკარე იმდენსვე მიიღებს, რამდენსაც კლუბის ყველაზე დიდხელფასიანი ინგლისელი ფეხბურთელები, **ჯეიმს მილნერი** და **გარეთ ბერი**. შეგახსენებთ, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრების თავკაცმა **ფაბიო კაპელომ** ჰარტი არ ათამაშა, თუმცა მას მერე ის მთავარი გოლკიპერი გახდა როგორც კლუბში, ასევე ეროვნულ გუნდში. ჰარტმა ისეთ სახელოვან მეკარეს აჯობა, როგორიც ირლანდიელი **შეი გივენი** გახლდათ. გივენმა ახალგაზრდა ინგლისელის კონკურენციას ვერ გაუძლო და „სიტის" დატოვებაც კი მოუხდა.

გასულ სეზონში პრემიერლიგის არც ერთ მეკარეს არ შეუნახავს კარი მშრალად იმდენჯერ, რამდენჯერაც ეს ჯო ჰარტმა მოახერხა. რაც შეეხება „მანჩესტერ სიტის" მეკარეებს, ბუნებრივია, **ჯო კორიგანის** (1976) შემდეგ ის პირველია, ვინც რაიმე ჯილდო, ამ შემთხვევაში ფეხბურთის ასოციაციის თასი მოიგო.

ჰარტმა გასულ სეზონში იმდენად კარგად ითამაშა, რომ მისი ხელფასი „სიტის" უცხოელი ლიდერების, **იაია ტურესა** და **კარლოს ტევესის** კვირაში 250 ათასთან შედარებით უსამართლობად ჩანდა. ისტლენდელები ჯერ კიდევ გაზაფხულზე ამბობდნენ, რომ ჯო ჰარტს ახალ ხელშეკრულებას გაუფორმებდნენ და ამას, თითქოსდა, სეზონის დამთავრებამდე აპირებდნენ, მაგრამ რაღაცამ ხელი შეუშალათ. სამაგიეროდ, ზაფხულში გამოსწორდა ყველაფერი და მისი ყიდვის მსურველებს, „არსენალს", „ტოტენჰემ ჰოთსპურს", „მანჩესტერ იუნაიტედს" (**დავიდ დე ხეას** შეძენამდე) და „ლივერპულს" ხელი მოეცარათ.

ჯო ჰარტი „მანჩესტერ სიტიში" 2006 წელს მშობლიური შრუსბერიდან გადავიდა. მაშინ ისტლენდელებს სათავეში **სტიუარტ პირსი** ედგათ. მეკარე პირსის შემდგომ მწვრთნელ **სვენ გორან ერიქსონსაც** ძალიან მოეწონა.

ნაკრებში პირველი შეხვედრა „სიტის" მეკარემ 2010 წლის სექტემბერში, ბულგარეთის წინააღმდეგ ჩაატარა და შემადგენლობაში დამკვიდრდა.



ჯო ჰარტი

ვესტ ჰემი

# დალმავალი კატი

## ელერდაისი არმიას კრებს

29 წლის **მეტ ტეილორმა** „ბოლტონი" დატოვა და „ვესტ ჰემში" გადავიდა, მაგრამ დაიბარა, ერთ წელიწადში ისევ პრემიერლიგაში მნახავთო. ტეილორმა ზუსტად იგივე გააკეთა, რაც „ნიუკასლის" კაპიტანმა **კევინ ნოლანმა** და „სტოკის" მცველმა, **აბდულა ფაიემ**, რომელთაც თავიანთი პრემიერლიგის კლუბები დატოვეს და ჩემპიონშიპში ჩავარდნილ „ჩაქუჩებს" შეუერთდნენ.

ტეილორმა „ვესტ ჰემის" ოფიციალურ საიტს ინტერვიუ მისცა, სადაც განაცხადა:

*„შანსი მეძლევა, ფეხბურთი ფანტასტიკურ კლუბში ვითამაშო. „ვესტ ჰემი" უდიდესი წარსულისა და მემკვიდრეობის მქონე კლუბია. „აპტონ პარკზე" გადასვლა ჩემთვის დიდი გამოწვევაა, რომელსაც ვიღებ და იმედი მაქვს, რომ აქ რაიმე განსაკუთრებულს მივაღწევ. „ვესტ ჰემში" თამაში რომ მიხსენეს, წუთით არ მიყოყმანია. ვგრძნობ, რომ გუნდს პრემიერლიგაში დაბრუნებაში უნდა დავეხმარო. „ჩაქუჩები" უმაღლეს დონეს რაც შეიძლება მალე უნდა დაუბრუნდნენ".*

ტეილორის „აპტონ პარკზე" გადაყვანის საქმეში უდიდესი როლი „ბოლტონის" ყოფილმა თავკაცმა **სემ ელერდაისმა** ითამაშა, რომელიც დღეს „ვესტ ჰემს" უდგას სათავეში.




გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოპა ამერიკა 2011

ფინალი. ბუენოს აირესი

## ურუგვაის და ფორლანის ბენეფისი





| ურუგვაი | 3 : 0 | პარაგვაი |
|---|---|---|

**ურუგვაი:** მუსლერა, მ. პერეირა, ლუგანო, კოატესი, კასერესი (89. გოდინი), გონსალესი, პერესი (70. ეგურენი), არევალო რიოსი, ა. პერეირა (64. კავანი), სუარესი, ფორლანი.

**პარაგვაი:** ვილარი, პირისი, და სილვა, ვერონი, მარეკოსი, კასერესი (65. ესტიგარიბია), ორტიგოსა, რივეროსი, ვერა (65. პერესი), ვალდესი, სებალოსი (77. ბარიოსი).

**გოლები:** 1:0 სუარესი (12), 2:0 ფორლანი (42), 3:0 ფორლანი (90)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:**
**ლუის სუარესი (ურუგვაი)**

**ლარისა რიკელმეს** ფანებს ღრმა მწუხარებით გაუწყებთ - გუშინ, საქართველოს დროით შუაღამე რომ დადგა, პარაგვაელი ლამაზმანი იძულებული გახდა ჩათბუნებულიყო, რათა ბუენოსაირესულ ყინვაში არ გაციებულიყო - ის მიხვდა, რომ პირობის შესრულება აღარ დასჭირდებოდა, საჯაროდ „დაანონსებული" გაშიშვლება გადაიდო - კოპას ფინალში **ლუის სუარესმა** და **დიეგო ფორლანმა** (დუბლი) გოლებით პლანეტის მილიონობით მამაკაცს დასწყვიტეს გულები...

მორჩა, ურუგვაი კვლავ უფრო ტიტულოვანია, ვიდრე მისი მუდმივი მოქიშპე არგენტინა - ორ-ორ გზის მსოფლიოს ჩემპიონებს აქამდე კოპა 14-ჯერ ჰქონდათ მოგებული და აი, ურუგვაიმ მე-15 ტიტული ირგო, თან ეს არგენტინაში, „მონუმენტალზე" შეძლო!

პარაგვაელთა თავკაცმა **ხერარდო მარტინომ** (რომელიც დისკვალიფიკაციის გამო ტრიბუნიდან ადევნებდა ფინალს) საკმაოდ მოულოდნელი შემადგენლობა დააყენა ფინალში. განსაკუთრებით თვალს **ლუკას ბარიოსის** არყოფნა ხვდებოდა, რომელიც **პაბლო სებალოსმა** შეცვალა (ბარიოსი უკვე მეორე ტაიმში შევიდა სათამაშოდ). ოსკარ ტაბარესს ექსპერიმენტებისათვის არ მიუმართავს, არც **ედინსონ კავანი** იყო ძირითადში, „ნაპოლის" ახლადგამოჯანმრთელებული ურუგვაელი ლეგიონერი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა.

თამაში დაიწყო ურუგვაის ნაკრების უპირატესობით, რაც სულ მალე გოლშიც აისახა - შეცდომებისა და რიკოშეტების სერიის შემდეგ **დიეგო პერესმა** შეტევის მარჯვენა ფრთაზე ლუის სუარესი მოძებნა, რომელიც ერთ მეტოქეს გასცდა და კარგადაც დაარტყა, ბურთი გზად მცველს მოხვდა ისე გავიდა **ხუსტო ვილარის** კარში. ამის შემდეგ მოედანზე სიტუაცია დაიძაბა და ბრაზილიელ მსაჯს 15 წუთში 4 ყვითელი ბარათის ჩვენებამ მოუწია.

42-ე წუთზე **ეგიდიო არევალო რიოსმა** მეტოქის მცველების შეცდომით ისარგებლა, მარცხნივ დიეგო ფორლანმა მოძებნა, რომლის დარტყმულიც იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ვილარმა გადახტომა ვერ მოასწრო - 2:0. ამის მერე ტაიმიც მალე მორჩა.

ბუნებრივია, მეორე ტაიმში პარაგვაი ცდილობდა მატჩის ხსნას, აღვნიშნავთ **ნელსონ ვალდესის** დარტყმას დაუმუშავებლად, **ფერნანდო მუსლერა** ოდნავ მიწვდა ბურთს, რომელიც შემდეგ ხარიხას მოხვდა. ურუგვაის ნაკრები აშკარა გოლს გადაურჩა. საბოლოო წერტილი მატჩში 2010 წლის მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელმა ფორლანმა დასვა, რომელმაც ძელის დახმარებით ამ მატჩში დუბლი შეასრულა - 3:0. ეს მისთვის ისტორიული გოლია, ფორლანმა ნაკრების მაისურით 31 გოლი გაიტანა, დიეგო ნაკრების ისტორიაში პირველი თანამეგოლეა. ურუგვაის ნაკრები 16-წლიანი პაუზის შემდეგ კოპა ამერიკას გამარჯვებულია!

კოპა ამერიკას საუკეთესო ფეხბურთელი ლუის სუარესი გახდა, საუკეთესო ბომბარდირი **პაოლო გერერო** (პერუ). საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი **სებასტიან კოატესია** (ურუგვაი), საუკეთესო მეკარე - ხუსტო ვილარი.

| მატჩის სტატისტიკა | | |
|---|---|---|
| ურუგვაი | – | პარაგვაი |
| 125 | ზუსტი პასი | 360 |
| 45 | უზუსტო პასი | 31 |
| 5 | ზუსტი ჩაწოდება | 2 |
| 9 | უზუსტო ჩაწოდება | 17 |
| 18 | ზუსტი გრძელი პასი | 20 |
| 32 | უზუსტო გრძელი პასი | 17 |
| 5 | წარმატებული დრიბლინგი | 7 |
| 6 | წარუმატებელი დრიბლინგი | 2 |
| 20 | მოგებული ორთაბრძოლა | 16 |
| 1U | წაგებული ორთაბრძოლა | 4 |
| 7 | ზუსტი დარტყმა | 2 |
| 7 | უზუსტო დარტყმა | 8 |
| 9 | ჯარიმა | 15 |
| 26 | მოგებული ბურთი | 20 |
| 1 | თამაშგარე | 2 |
| 11 | კუთხური | 3 |
| 37% | ბურთის ფლობა | 63% |

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მატჩი მესამე ადგილისათვის. ლა პლატა

## ჭკვიანი პერუ და უსამართლო წითელი

| პერუ | 4 : 1 | ვენესუელა |
|---|---|---|

**პერუ:** ფერნანდესი, რევორედო, რამოსი, როდრიგესი, იოტუნი, კორსო, კრუსადო (78. კასტრილონი), ლობატონი (60. გევარა), ბალბინი, გერერო, ჩიროკე.

**ვენესუელა:** ვეგა, რეი, ვისკარონდო, როსალესი, კიჩერო, სეიხასი (46. ლუსენა), გონსალესი (67. არანგო), რინკონი, ოროსკო, მალდონადო, მიკუ (61. რონდონი).

**გოლები:** 1:0 ჩიროკე (41), 2:0 გერერო (63), 2:1 არანგო (77), 3:1 გერერო (89), 4:1 გერერო (90)

**გაძევება:** რინკონი (ვენესუელა 58)

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:**
**პაოლო გერერო (პერუ)**



პერუს ნაკრების მწვრთნელმა, ურუგვაელმა **სერხიო მარკარიანმა** მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ვენესუელას წინააღმდეგ მისმა გუნდმა ყველაზე ჭკვიანური ფეხბურთი ითამაშა, რისი წარმოდგენაც კი შეიძლებოდა.

*„მინდა ჩემს ფეხბურთელებს დიდი მადლობა გადავუხადო იმისათვის, რაც მათ მოედანზე გააკეთეს, როგორც იქცეოდნენ და თამაშობდნენ. მინდა, აგრეთვე, დიდი მადლობა გადავუხადო პერუელ გულშემატკივარს, რომელიც მთელი შეჯიბრების განმავლობაში ერთგულად სდევდა ნაკრებს თან და ამხნევებდა".*

საინტერესოა, რომ ასეთი კმაყოფილების მიუხედავად მარკარიანმა თქვა, რომ „კოპა ამერიკაზე" მესამე ადგილის მოპოვება წარმატება არ არის. პერუს ნაკრებს არაფერი მოუგია და ახლა, გუნდმა მთელი ყურადღება მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაზე უნდა მოიკრიბოს.

გამოცდილმა სპეციალისტმა ერთი საგულისხმო დასკვნაც გააკეთა. მისი აზრით, ახლა უკვე დასრულებულ შეჯიბრებაში გუნდები დაცვაში იკეტებოდნენ, თითქოს შეტევის მოსაფიქრებლად და მოსამზადებლად დრო არ ჰქონდათო. შემდეგ კი მარკარიანმა პერუს ნაკრებისა და გერმანული „ჰამბურგის" 27 წლის თავდამსხმელი, მესამე ადგილისთვის მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი **პაოლო გერერო** შეაქო. მწვრთნელმა თქვა:

*„მან დიდი საქმე გააკეთა. გერეროს გარეშე ჩვენი გუნდის შეტევა ასეთი ძლიერი ვერ იქნებოდა. ღვთის მადლით, ამიერიდან ის იგრძნობს, რას ვითხოვ მისგან ნაკრებში და შესაბამისადაც ითამაშებს".*

აღსანიშნავია, რომ გერერო „კოპა ამერიკას" მიმდინარე ჩემპიონატში მეორედ დაასახელეს მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად. ამჯერად მან შეჯიბრების ოფიციალური საიტის მომხმარებელთა 37,8 პროცენტის სიმპათია დაიმსახურა. ის დაასახელეს საუკეთესოდ ჟურნალისტებმაც - მოკლედ, გერეროსთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელი იყო.

მატჩის ოქმიდან დაინახავდით, რომ ვენესუელამ მეორე ტაიმის ბოლო 32 წუთი და კიდევ მსაჯის წამატებული დრო ათი კაცით ითამაშა თერთმეტის წინააღმდეგ — კოლუმბიელმა მსაჯმა **ვილმარ როლდანმა** მოედნიდან **ტომას რინკონი** გააძევა. სხვათა შორის, ეს ის რინკონია, რომელმაც ნახევარფინალში ვერ ითამაშა, რადგან მეოთხედფინალში ჩილესთან შეხვედრის დროსაც გააგდეს. თუმცა, ჩილესთან გაგდება ძველი ამბავია, მესამე ადგილისთვის შეხვედრაში კი ის, საყოველთაო აზრით, გასაგდები არ იყო — პერუელმა **კარლოს ლობატონმა** რინკონთან ორთაბრძოლის ეპიზოდი მეტისმეტად გააფორმა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, რინკონი დიდიდიდი ყვითელ ბარათს იმსახურებდა, წითელს კი არა.

შეხვედრის დასაწყისში პერუ უკეთ თამაშობდა, მაგრამ პირველ 20 წუთში ორი ნახევარმომენტის მეტი ვერაფერი შექმნა. ვენესუელას კართან კიდევ ერთი სახიფათო მომენტი 37-ე წუთზე შეიქმნა, როდესაც **რინალდო კრუსადომ ვილიამ ჩიროკეს** ეგრეთწოდებული კედელი გაუთამაშა და ხელსაყრელ პოზიციაზე გავიდა, თუმცა ჩიროკეს დარტყმული მეკარეს ფეხებში მოხვდა.




ვენესუელას შესახებ უნდა ითქვას, რომ გუნდი თანდათან შედიოდა ეშხში და უკეთაც თამაშობდა. რაც უფრო ხურდებოდა თამაში, მით უფრო თამამ მომენტებს ქმნიდნენ ღვინისფერები პერუელთა კართან, მაგრამ შესვენებამდე ცოტა ხნით ადრე ანგარიში მაინც პერუელებმა გახსნეს. ამას რინკონის უსამართლო გაძევება მოჰყვა, რამაც ვენესუელას ნაკრების მდგომარეობა დაამძიმა. შემდეგ პერუმ, კერძოდ კი გერერომ კიდევ გაიტანა, ასე რომ, ღვინისფერთა ერთი საპასუხო გოლი დიდ ყოჩაღობად უნდა ჩაითვალოს. შეხვედრის მიწურულს გერერომ კიდევ ორი შეაგდო.

*„ერთი წელი გავიდა მას მერე, რაც ფეხბურთელების ამ ჯგუფმა საკუთარი შესაძლებლობებისა ირწმუნა — თქვა მატჩის შემდეგ პერუს ნაკრების მეკარე* **რაულ ფერნანდესმა,** *რითაც სერხიო მარკარიანის დამსახურებას გაუსვა ხაზი - შინ გახარებულები ვბრუნდებით. პერუელი ხალხისთვის ეს შედეგი ბევრს ნიშნავს".*

| მატჩის სტატისტიკა | | |
|---|---|---|
| პერუ | – | ვენესუელა |
| 147 | ზუსტი პასი | 265 |
| 35 | უზუსტო პასი | 57 |
| 5 | ზუსტი ჩაწოდება | 1 |
| 8 | უზუსტო ჩაწოდება | 9 |
| 18 | ზუსტი გრძელი პასი | 21 |
| 42 | უზუსტო გრძელი პასი | 40 |
| 7 | წარმატებული დრიბლინგი | 10 |
| 2 | წარუმატებელი დრიბლინგი | 1 |
| 18 | მოგებული ორთაბრძოლა | 12 |
| 2 | წაგებული ორთაბრძოლა | 2 |
| 7 | კარში დარტყმა | 5 |
| 5 | კარისკენ დარტყმა | 13 |
| 17 | ჯარიმა | 17 |
| 39 | მოგებული ბურთი | 21 |
| 2 | თამაშგარე | 7 |
| 4 | კუთხური | 3 |
| 44% | ბურთის ფლობა | 56% |

**ილია ბაბუნაშვილი**

ტრაბზონი 2011

# კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ტრაბზონში!

## ევროპის ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი



კახა ბერიძე
ტრაბზონიდან
სპეციალურად ლელოსთვის

საქართველოს დელეგაციამ რიგით მე-11 ევროპის ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძელ ქალაქ ტრაბზონისკენ გეზი 22 სპორტსმენის, მწვრთნელების და ადმინისტრაციის წევრთა შემადგენლობით შაბათ დილით აიღო და იმავე საღამოს უკვე დანიშნულების ადგილზე ვიყავით. მგზავრობა არცთუ ისე დამღლელი გამოდგა და დიდი დრო არც სარფში საზღვრის გადალახვის პროცედურას წაუღია. გუნდში ხალისიანი განწყობაა, სპორტსმენებში შემართებაც იგრძნობა, მწვრთნელები დროდადრო არც მათ შეგულიანებას ივიწყებენ. ამ მხრივ უპირველესად ძიუდოისტთა მთავარი მწვრთნელი **გიორგი ვაზაგაშვილი** გამოირჩევა. *„ბიჭებს ავუხსენი, რომ ეს ტურნირი ყველა სხვა შეჯიბრებებისაგან განსხვავებულია თავისი მნიშვნელობით და პრესტიჟით. ვუთხარი, რომ ყველას არ აქვს პატივი ასეთი დონის თამაშებში წარადგინოს თავისი ქვეყანა, რომ აქ გამარჯვება ადვილად არ მიიღწევა, თუმცა სამუდამოდ დარჩება მათ მეხსიერებასა და ქართული სპორტის ისტორიაში. კარგად მესმის, რომ მთავარი დატვირთვა ძიუდოზე მოდის და ჩვენც ორმაგ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ. ბიჭები კარგ ფორმაში არიან, ერთადერთი ზურაბიანის ტრავმამ დამწყვიტა გული, რომელიც მან ტრაბზონში გამომგზავრებამდე მიიღო, მაგრამ არც მისი შემცვლელია ურიგო სპორტსმენი. ამას წინათ კონტინენტის პირველობაზე კარგი შედეგი ვაჩვენეთ, თუმცა არ დაგიმალავთ, რომ იგივეს გამეორება ფესტივალზე ურთულესი იქნება, მაგრამ არა უტოპიური. ცდას არ დავაკლებთ, ბიჭები ყველა ორთაბრძოლაში სულსა და გულს ჩადებენ. იმედია, ცოტათი ფორტუნაც გაგვიღიმებს“,* - მეუბნება სიდნეის ოლიმპიადის პრიზიორი გიორგი ვაზაგაშვილი. სხვათა შორის, ვაზაგაშვილი წინა ანალოგიურ ფესტივალზე საბერძნეთის ნაკრებს ედგა სათავეში და მაშინ ელადელებმა ერთი ბრინჯაო მოიპოვეს.




**ვიქტორ ბაკშს** საჩოგბურთო სამყაროში წარდგენა არ სჭირდება. იგი ამჟამად საქართველოს ვაჟთა ნაკრებს უდგას სათავეში. ისე მოხდა, რომ ტრაბზონის თამაშებზე ბედს მისი ვაჟი **ალექსანდრე** სცდის, რომელიც 14 წლისაა და სავარაუდოდ, ჩოგბურთში მოასპარეზეთა შორის ასაკით ყველაზე უმცროსი იქნება. „ჩვენი ქვეყანა საჩოგბურთო ტრადიციებით ყოველთვის გამოირჩეოდა, ამიტომაც გულდასაწყვეტია, ნიჭიერ თაობათა ზრდის პროცესში რამდენიმეწლიანი წყვეტა რომ არის. აი, ხომ ხედავთ, ამ თამაშებზე გოგონათა გუნდი არ გვყავს, რაც საკმაოდ დამაფიქრებელია. ტრაბზონში მედალს ვგეგმავთ-მეთქი, ვერ გეტყვით. მთავარია, ბავშვებმა გამოცდილება შეიძინონ, თუმცა ვინ იცის... “- მითხრა ვიქტორ ბაკშმა.

ამასობაში ოლიმპიური ფესტივალის დედაქალაქსაც ვუახლოვდებით. ქალაქში შესვლამდე რამდენიმე კილომეტრში „ტრაბზონი 2011“-ის მოზრდილი აბრა გვჭრის თვალს, თუმცა თვითონ ტრაბზონში რეკლამები არ შეინიშნება. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ტრაბზონში“ - ამ სიტყვებით შემოგვეგება ქართულ დელეგაციაზე მომაგრებული მასპინძელი და ოლიმპიური სოფლისკენ წაგვიძღვა. სიმართლე ითქვას, სპორტსმენთა საცხოვრებელს არაფერი დაეწუნება. მისი მშენებლობა 70 მილიონი თურქული ლირა დაჯდა და ფესტივალის დასრულების შემდეგ სტუდენტური ქალაქი გახდება. ოლიმპიურ სოფელში მისვლისთანავე გამოჩნდა, რომ მასპინძლებს ორგანიზაციული თვალსაზრისით საქმე მთლად კარგად ვერ აქვთ. თუმცა, ნუ ვიჩქარებთ, ორგანიზაციული მხარე სჯობს მოგვიანებით შევაფასოთ...

საქართველოს დელეგაცია საკმაოდ კომფორტულ კორპუსში დაბინავდა, სადაც ჩვენ გარდა ირლანდიის, სლოვაკეთისა და ჩეხეთის გუნდები ცხოვრობენ. ოთახებიც მოსახერხებელია და ხედიც მშვენიერი – ფანჯრები შავ ზღვას გადაჰყურებს.

„დღეს ევროპა ტრაბზონში ერთიანდება“, „დღეს დიდი დღეა, დიდი“,- ასეთი სათაურებითაა აჭრელებული თურქული პრესა. ბუნებრივია, განწყობა ამაღლებულია და ორგანიზატორებიც დაუვიწყარ თამაშებს გვპირდებიან. ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალების მთავარი კოორდინატორი **ჟოზეფ ლიბაც**, რომელიც ამას წინათ თბილისშიც იმყოფებოდა, იმედოვნებს, რომ თურქები ამ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრების მასპინძლობას თავს ღირსეულად გაართმევენ, ხოლო EYOF-ის ხელმძღვანელმა **გვიდო დებონტდმა** ათლეტებს სამართლიანი თამაშების პრინციპების დაცვისკენ მოუწოდა.

■ ■ ■

ამ დღეებში ნორვეგიაში მომხდარ ტერორისტულ აქტს, რომელსაც ათეულობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, აქაც დიდი რეზონანსი მოჰყვა. გუშინ ნაშუადღევს ოლიმპიურ სოფელში „ტრაბზონი 2011“-ის მთავარმა კოორდინატორმა **ნიჰატ დოკერმა** ნორვეგიის ოლიმპიური გუნდი მოინახულა და მიუსამძიმრა. დაირხა ხმები, თითქოს ნორვეგიის დელეგაცია ფესტივალის დატოვებას აპირებდა, მაგრამ მათი გუნდის მისიის ხელმძღვანელმა **ანა გუროლენდმა** ეს უარყო. *„მომხდარით შეძრულები ვართ. ეს ეროვნული ტრაგედიაა, თუმცა ახლა მთავარია, სიმშვიდე შევინარჩუნოთ. ოლიმპიური ფესტივალის მიტოვებას არ ვგეგმავთ და ამის შესახებ საელჩოსაც ვაცნობეთ. ჩვენი დელეგაცია გახსნაზე შავი სამკლავურებით გავა“,* - აღნიშნა მან.

გუშინ ადგილობრივი დროით 21 საათზე ავნი აკერის სახელობის სტადიონზე ფესტივალი საზეიმოდ გაიხსნა. ალლუმზე საქართველოს დელეგაცია „ლოტოს“ სპორტული ეკიპირებით წარსდგა, რომელიც ოლიმპიურ სოფელშიც დიდი მოწონებით სარგებლობს. აქვე დავძენთ, რომ ტრაბზონში საქართველოდან დამკვირვებელთა ჯგუფიც იმყოფება, რაც „თბილისი 2015“-ის მზადების პროცესს სასიკეთოდ წაადგება.

სპორტული ასპარეზობები დღეიდან იწყება. ქართველ სპორტსმენთაგან პირველები შეჯიბრებაში ჩოგბურთელები და მძლეოსნები ჩაერთვებიან.

ძიუდო. რეიტინგები



# უჭიდაობლობა ზოგან დაგვეტყო

## თუმცა შანსი თითქმის ყველგან გვრჩება

მასშემდეგ, რაც საქართველოს ნაკრების ფაქტობრივმა მთავარმა მწვრთნელმა **პეტერ ზაიზენბახერმა** უცნაური ტაქტიკა აირჩია - მსოფლიოს პირველობისთვის მოსამზადებლად უცხოური ტურნირების გამოტოვება და ფონს გასვლა ერთობლივ ვარჯიშებში მონაწილეობით გადაწყვიტა, საერთაშორისო ასპარეზზე რამდენიმე სალიცენზიო შეჯიბრება გაიმართა. ამგვარ ტურნირებში ჩვენებს ივნისის პირველივე კვირაში ჩატარებული რუმინეთის მსოფლიოს თასის მერე არ უჭიდავიათ, ამასობაში კი სალიცენზიო ასპარეზობები ტალინში, რიო დე ჟანეიროში, სან პაულუსა და მაიამიში გაიმართა. საბედნიეროდ, ზოგიერთ წონაში იმდენად მყარი პოზიცია გვქონდა, ამდენი შეჯიბრების გამოტოვებამაც ვერაფერი დაგვაკლო, მაგრამ არის წონები, სადაც ცოტათი უკან დავიხიეთ.

იმ წონებში, სადაც კვლავაც ვინარჩუნებთ მოწინავე ადგილებს, უპირველესად, უნდა დავასახელოთ 60 და 90 კილოგრამები. 60-ში 756-ქულიანმა **ამირან პაპინაშვილმა** ცოტათი დაიწია უკან - მსოფლიოს რეიტინგში მერვეა, მაგრამ მის წინ მდგომთაგან ერთი ქვეყნის რამდენიმე წარმომადგენელია. ამდენად, ოლიმპიურ რეიტინგში მეექვსეა, ანუ ერთი ადგილით გადაინაცვლა უკან, თუმცა მისი რეიტინგი იმდენად მყარია, წარმოუდგენელია, სალიცენზიო 22 კაციდან გავარდეს. ამავე წონაში ცოტათი უკან დაიწია ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **ბეთქილ შუკვანმა**, რომელიც 360 ქულით მსოფლიოს ჩამონათვალში ზუსტად 22-ეა, მაგრამ ოლიმპიურში - მე-18. არადა, სალიცენზიო რეიტინგში ორი კაცის მოხვედრა იმიტომაა საშური, ის ერთი რომ დაგიშავდეს, მისი შეცვლის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაქვს, სარეზერვოც თუ 22 კაცშია შესული. ფედერაცია 22-ის გარეთ მყოფს საგზურს ვერ გადასცემს, ანუ კარგავს ლიცენზიას. იმედია, ასეთ ვითარებაში არ აღმოვჩნდებით.

ამ წონაში ლიდერთა სამეული კვლავაც უცვლელია - უზბეკი მსოფლიოს ჩემპიონი **დიშოდ სობიროვი** ისევ პირველია 2130 ქულით, უკრაინელთა ქართველი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი **გიორგი ზანთარაია** მეორეა 1224-ით, იაპონელი მსოფლიოს პრიზიორი **ჰიროაკი ჰიროაკა** - მესამე 1090-ით.

90-ში ვალერი ლიპარტელიანი საკრალური ციფრით - 666 ქულით მეათეა, მაგრამ ოლიმპიურ რეიტინგში - მერვე. აქ დანარჩენ ჩვენებურთაგან საუკეთესო **ზვიად გოგოჭურია** - 146 ქულა და 49-ე ადგილი, ოღონდ მას ადრე არც ეძლეოდა შანსი, ახლა კი ბუქარესტში წაიყვანეს და ჩემპიონიც გახდა. იმედია, ისიც დააგროვებს ქულებს და რეიტინგშიც აიწევს. აქ ლიდერთა სამეული ასე გამოიყურება: ჩვენს გაბერძნებულ და ყველა ტიტულის მფლობელ თანამემამულე **ილიას ილიადისს** 1396 ქულა მოეპოვება და 30-ით უსწრებს იაპონელ მსოფლიოს პრიზიორ **ტაკაში ონოს**, მესამეზე კი რუსთა მსოფლიოსა და ევროპის ექსჩემპიონი **კირილ დენისოვია** 1098-ით.

სადღეისო მდგომარეობით, სალიცენზიო რეიტინგში ადგილს ვინარჩუნებთ 100-შიც, ოღონდ აქ **ლომერ ჟორჟოლიანმა** ცოტათი უკან გადაიწია - 480-ით მე-20 ადგილზეა. ერთი ქვეყნის გაორებულ წარმომადგენლებს თუ გამოვაკლებთ, ოლიმპიურში მე-16-ე გამოდის. მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** 34-ეა 286-ით. ამ წონას იაპონელი მსოფლიოს ჩემპიონი **ტაკამასა ანაი** ლიდერობს 1716-ით, მეორეზე ჰოლანდიელი მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორი **ჰენკ ხროლია** 1224-ით, მესამეზე - 114-იანი ყაზახი მსოფლიოს ექსჩემპიონი **მაქსიმ რაკოვი**.

სალიცენზიო შეჯიბრებებში გამოუსვლელობა დაგვეტყო 81-სა და +120-ში, სადაც მსოფლიოს რეიტინგით გავვარდით სასაგზურე ზონიდან, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ლონდონში მოხვედრის შანსი დავკარგეთ. 81-ში **ლევან ნიკლაური** 316 ქულით მსოფლიოს რეიტინგში 31-ეა, ოლიმპიურში - ზუსტად 22-ე. რუმინეთში გამარჯვებამ **ავთანდილ ჭრიკიშვილის** მარაგი 284-მდე გაზარდა, მსოფლიოს რეიტინგში კი 37-ეა. იმედია, ბუქარესტში მან საბოლოოდ დასძლია კრიზისი და უახლოეს ტურნირებში კვლავაც მოიპოვებს წარმატებებს. აქ რეიტინგის ლიდერია კორეელი **კიმ ჯაე-ბუმი** - 1760, მეორეზე ბრაზილიელი ორგზის ოლიმპიური პრიზიორი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ლეანდრო გილეიროა** - 1520, მესამე - აზერბაიჯანელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **ელნურ მამადლი** ჩემპიონი 934-ით.

120-ში ამჯერად ჩვენგან საუკეთესო **ზვიად ხანჯალიაშვილია** - 324 ქულა და 28-ე ადგილი მსოფლიოს რეიტინგში, ოლიმპიურში - მე-20. 224-იანი **ადამ ოქრუაშვილი** ადრე მე-18-ზე იყო, ამჯერად კი 36-ეა. **ლაშა გუჯეჯიანის** ანგარიშზე, რომელიც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ დაბრუნდა, 178 ქულაა, რაც მსოფლიოს რეიტინგში 43-ე შედეგია. რა თქმა უნდა, ამ წონაში ფრანგი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი **ტედი რინერი** ლიდერობს - 2030. მეორეა ეგვიპტელი მსოფლიოს პრიზიორი **ისლამ ელ შეჰაბი** - 1520., მესამე - გერმანელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ანდრეას ტოლცერი** - 1186.

73 კილოგრამში 22-კაციან ზონაში არც ადრე ვიყავით, მაგრამ ახლა კიდევ უფრო დავშორდით მას. ჩვენგან საუკეთესო **ნუგზარ ტატალაშვილია** - 230 ქულა და 32-ე ადგილი მსოფლიოს რეიტინგში, ოლიმპიურში კი ის 23-ეა. აქ, ცოტა არ იყოს და, ძნელად დასათვლელი რეგიონალური კვოტებიც გასათვალისწინებელია და ამით ტატალაშვილი, სავარაუდოდ, მაინც მოხვდება სალიცენზიო ზონაში, მაგრამ ცუდი ისაა, რომ რეიტინგში ახალი ზელანდია და ჩრდილო კორეაც გვისწრებენ! 176-ქულიანი **ამბაკო ავალიანი** 45-ეა, წონას კი სამხრეთკორეელი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი **კი-ჩუნ ვანი** ლიდერობს 1524 ქულით. მეორეზე იაპონელი **რიკი ნაკაიაა**, რომელმაც რიო დე ჟანეიროს „დიდი მუზარადი“ მოიგო და ამით გაასწრო თანაგუნდელ მსოფლიოს ჩემპიონ **ჰიროიუკი აკიმოტოს**. ამდენად, ოლიმპიურ რეიტინგში მესამეზე არა აკიმოტო, არამედ ჰოლანდიელი ევროპისა და მსოფიოს ვიცე-ჩემპიონი **დექს ელმონტია**.

66 კილოგრამი იმთავითვე ის წონა იყო, სადაც თავიდანვე გვიჭირდა და ახლა რა დაგვალხენდა! აქ ჩვენგან საუკეთესო **შალვა ქარდავა** 42-ეა 184 ქულით და ლიცენზია მირაჟივით გვიჩანს.

**ირაკლი თავაძე**

**ხელმოწერის მსურველთა საყურადღებოდ!**

„ლელოზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

*დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74* **ელვა.ჯი.**

ინტერვიუ ბექა პეტრიაშვილთან



# საგარეჯო 74-ში დომინანტია

**სამი წელია ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონატზე თავისუფალი სტილით ჭიდაობაში 74 კგ-ში საგარეჯოელი ფალავნები დომინირებენ. ზედიზედ ორ სეზონში დავით ხუციშვილმა არავის დაუთმო პირველობა, რასაც მერე ევროპული ტრიუმფიც მიაყოლა. წლეულს უფროსებში გადასული ხუციშვილი მისმა თანაქალაქელმა ბექა პეტრიაშვილმა შეცვალა წარმატებით. მან ქვეყნის ჩემპიონობას ცოტა ხნის წინ ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული ვერცხლის მედალი მიუმატა. ამჟამად ის ვარიანში ემზადება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის, რომელიც ივლისის ბოლოს ბუქარესტში უნდა ჩატარდეს.**

**- ბექა, 74 კგ საგარეჯოელებისთვის ყველაზე წარმატებული წონაა თავისუფალ ჭიდაობაში.**

- ჯერ ხუციშვილმა ახალგაზრდებში ყველაფერი მოიგო ამ წონაში, ახლა მე ვცდილობ იგივეს. აღსანიშნავია, რომ საგარეჯოში ორივეს **რამაზ ასაბაშვილი** გვავარჯიშებდა. დავითი ცოტა ადრე, მე კი შარშან გადმოვედი თბილისში და ამჟამად ოლიმპიური მომზადების ცენტრში ალექსანდრე კახნიაშვილი მამეცადინებს. წლეულს დავით ხუციშვილის ასაკით დიდებში გადასვლის მერე კონკურენცია ამ წონაში თითქმის თანაბარი იყო, მაგრამ თებერვალში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე ძალიან მოვინდომე და მე გავიმარჯვე. ფინალში მაშინ თბილისელ **რევაზ ივანიშვილს** ვძლიე. სხვათა შორის ცოტა დააკლდა სამეულში შემოსვლამდე კიდევ ერთ საგარეჯოელ ფალავანს **ზურაბ ერბოწონაშვილს**, რომელიც, მართალია, კვარცხლბეკზე ვერ ავიდა, მაგრამ ნაკრების თავკაცებმა მასში დაინახეს იმის პოტენციალი, რომ ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე ჩემთან ერთად ეჭიდავებინათ. ბაქოში ორივე ბრინჯაოს პრიზიორები გავხდით.

**- როგორც ვიცი, საერთაშორისო არენაზე შენთვის ეს წელიწადი სადებიუტო იყო...**

- ერთხანს მენისკი მაწუხებდა და ოპერაციის გამო სეზონის გამოტოვებამ მომიწია. საქართველოს ჩემპიონატზე გამარჯვებამ კარი გამიხსნა ნაკრებში, იქიდან კი საერთაშორისო არენაზე. მწვრთნელთა ვარაუდით, საჭირო იყო ამ მხრივ გარკვეული ადაპტაციის ეტაპის გავლა, რის გამოც პირველი შეჯიბრება რიგაში ჩამივარდა კიდეც, თუმცა აგერ, ახლახან, ევროპის ჩემპიონატზე უკვე შევძელი შესაძლებლობათა გამოვლენა.

**- ორიოდ სიტყვით კონტინენტის ჩემპიონატზე შენი ასპარეზობაც გაიხსენე, სადაც პირველად პოსტსაბჭოელთათვის კარგად ნაცნობი სახელმწიფო მოღვაწეთა გვარის წარმომადგენლებთანაც მოგიწია ჭიდაობამ.**

- დიახ, ჯერ ჟუკოვი (უკრაინა) დავამარცხე 3:0, 4:2 შემდეგ კი კიროვი (ბულგარეთი) 1:0, 3:1. მომდევნო მეტოქე ბალინტ მოლნართან შეხვედრა საკმაოდ შედეგიანი გამოდგა, თუმცა მასაც ორ პერიოდში მოვუთავე საქმე 6:0, 5:4. აი, ფინალში კი თურქ აბდულკადირ ოზმენთან დაძაბულ პაექრობაში 2:4, 3:3 დავმარცხდი.

**- სერბეთის არენაზე შენ მიერ გამოვლენილი შესაძლებლობების ადეკვატურად მიგაჩნია მოპოვებული მეორე ადგილი?**

- ზოგადად, ვერცხლის მედალი ურიგო შედეგად ითვლება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ნაკრების მწვრთნელის მიერ ფინალური შეხვედრის დასრულების მერე მიკერძოებული მსაჯობის გამო გამოხატულ პროტესტს, ალბად ჩემპიონობაც არ იყო არარეალური. თანაც სადებიუტო ასპარეზობაზე ჩემმა ასეთმა გამოსვლამ მომავლის იმედები გამიორმაგა.

**- მოახლოებულ მსოფლიოს ჩემპიონატზეც გვითხარი...**

- ახალგაზრდული ნაკრების წევრები ამჟამად ვარიანში **ნუგზარ სხირელის** ხელმძღვანელობით საკმაოდ ნაყოფიერ მეორე შეკრებას გავდივართ. მწვრთნელის დამსახურებით ჩემი ჭიდაობის სტილი კიდევ უფრო დავხვეწე, გამოცდილებაც შედარებით მეტი მაქვს და ვნახოთ, დიდი იმედია, რომ რუმინეთიდან ხელცარიელი არ დავბრუნდები.

**ფალავნის შეფასება ნაკრების თავკაცსაც ვთხოვეთ.**

*„პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ საგარეჯოელი მწვრთნელი რამაზ ასაბაშვილი ასეთ კარგ ფალავნებს ზრდის. ხუციშვილმა უკვე დაამტკიცა, რომ ძალიან ძლიერია. იმედია, ბექაც ბევრს შეძლებს. პეტრიაშვილი, მოგეხსენებათ, კახეთიდანაა და თავიდანვეც აშკარად ჩანდა, რომ ქართული ჭიდაობის გავლენით სარმაზე ცოტა ზედმეტადაა ორიენტირებული. თავისუფალი ჭიდაობის ნიუანსების სრულყოფაზე, რაც შეკრებაზე იყო შესაძლებელი, ვამუშავეთ. საერთოდ, ნაკრების მწვრთნელი შეკრებაზე ფალავანს ახალს ძნელად თუ რამეს ასწავლის. ჩვენ მხოლოდ იმის დახვეწას ვახერხებთ, რა ფანდიც მან უკვე იცის. ამასთან მიგვაჩნია, რომ სპორტსმენს კლასიკური ფანდის მისებრი იმპროვიზაციის საშუალება უნდა მისცეს მწვრთნელმა და არც თვითმყოფადობა უნდა დააკარგვინოს. არ არის სასურველი, როდესაც ერთ დარბაზში ყველა ფალავანი ურთიერთის მსგავს სტილში ცდილობს ოსტატობის დახვეწას. ბექას ევროპის ჩემპიონატის ფინალი არ უნდა წაეგო. მისი მარცხი მსაჯების ნამუსზეა. ისე, მაშინ გამოუცდელიც იყო. ცხადია, წინასწარ დაბეჯითებით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ, იმედია, იგი ბუქარესტშიც ღირსეულად გაირჯება და მერე ხუციშვილის დარად კიდევ ერთ ძლიერ ფალავანს მიიღებს ქვეყნის პირველი ნაკრები“*, - გვითხრა ნუგზარ სხირელმა.

**ვასილ ბალახაძე**
**დავით ასპანიძის ფოტო**

ჭადრაკი

# სევანის ტბაზე ვაჟები ფრთხილობენ

სომხეთში მოჭადრაკე ვაჟთა საერთაშორისო წრიულ ტურნირზე („სევანის ტბა-2011“) სამ ტურში 15 პარტია გათამაშდა და ამათგან მხოლოდ ოთხი დამთავრდა შედეგიანად, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ასპარეზობის მონაწილენი ფრთხილობენ და ჯერჯერობით პაექრობის გამწვავებას ერიდებიან. სამწუხაროა, რომ ტურნირის რეიტინგფავორიტი **ბაადურ ჯობავა** (2713) გუშინ მე-3 ტურში შავი ფიგურებით მასპინძელ არმან პაშიკიანთან (2616) დამარცხდა. ამ უკანასკნელმა კი მეორე ტურში თანამემამულე ჰრანტ მელქუმიანთან (2600) დათმო პარტია.

აქვე გაუწყებთ მეორე და მესამე ტურების დანარჩენი ორთაბრძოლების შედეგებს:

**II ტური.** ზავენ ანდრიასიანი (სომხეთი, 2616)-სამველ ტერ-საჰაკიანი (სომხეთი, 2558) 0,5:0,5, ტიგრან პეტროსიანი (სომხეთი, 2636)-ჩჟოუ ძიანჩაო (ჩინეთი, 2636), ბაადურ ჯობავა-ილდარ ხაირულინი (რუსეთი, 2649) 0,5:0,5, ავეტიკ გრიგორიანი (სომხეთი, 2608)-სერგეი ჟიგალკო (ბელარუსი, 2689) 0,5:0,5.

**III ტური.** ჟიგალკო-ადრიასიანი 0,5:0,5, ხაირულინი-გრიგორიანი 0,5:0,5, ძიანჩაო-მელქუმიანი 1:0, ტერ-საჰაკიანი-პეტროსიანი 0,5:0,5.

სამი ტურის შემდეგ: პეტროსიანი-2, გრიგორიანი, ჟიგალკო, ხაირულინი, პაშიკიანი, ძიანჩაო, ტერ-საჰაკიანი, მელქუმიანი, ანდრიასიანი-1,5-1,5, ჯობავა-1 ქულა.

დღეს მე-4 ტურში ითამაშებენ: ანდრიასიანი-პეტროსიანი, მელქუმიანი-ტერ-საჰაკიანი, ჯობავა-ძიანჩაო, გრიგორიანი-პაშიკიანი, ჟიგალკო-ხაირულინი.

# კარი გაიჯახუნა

ობიექტური მიზეზების გამო **ნანა ძაგნიძემ** ჩინეთში მოჭადრაკე ქალთა სუპერტურნირში ჩვეული შემართებით ვერ ითამაშა. ბოლო ტურის წინ მას სულ 3 ქულა ჰქონდა. ფინიშთან ორგზის ევროპის ჩემპიონ ტატიანა კოსინცევას (რუსეთი) სძლია და საბოლოოდ 4 ქულით მე-8 ადგილი დაიკავა.



ცხრა შესაძლებლიდან 6,5 ქულით ტურნირი მოიგო ჩინელმა იუ ვენძიუნმა (ბოლო ტურში იგი მსოფლიოს ექსჩემპიონ ჟუ ჩენს (ყატარი) დაუზავდა), რომელმაც მთავარი პრიზი - 5 ათასი დოლარიც დაიმსახურა. მე-9 ტურში მშვიდობიანად დაასრულა ორთაბრძოლა ინდოელმა ჰარიკა დრონავალიმ ანა ზატონსკიხთან (აშშ), თუმცა ეს შედეგიც საკმარისი აღმოჩნდა მეორე პრიზის (4000 დოლარი) მოსაპოვებლად. მესამე-მეოთხე ადგილები ნადეჟდა კოსინცევამ (რუსეთი) და ჟაო სიუმ (ჩინეთი) გაინაწილეს. მომდევნო ადგილებზე მოდიან: ჰოუ იფანი (ჩინეთი), მარი სებაგი (საფრანგეთი), ჟუ ჩენი-4,5-4,5, ძაგნიძე-4, ტ. კოსინცევა-3, ზატონსკიხი-2,5 ქულა.

■ ■ ■

ხანჩჯოუში ქალთა ტურნირი თუ დამთავრდა, ნინბოში ვაჟთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატი ჯერ კიდევ გრძელდება. 7 ტურის შემდეგ სატურნირო მდგომარეობა ასეთია: სომხეთი- 12 (ქულათა საერთო რაოდენობა - 18,5), ჩინეთი - 9 (17), უკრაინა -9 (15), რუსეთი - 8 (15,5), უნგრეთი - 8 (15), აშშ - 8 (14,5), აზერბაიჯანი- 6 (14,5), ინდოეთი - 5 (12), ისრაელი - 5 (11,5), ეგვიპტე - 0 (6,5) ქულა. შეჯიბრების დამთავრებამდე 2 ტური დარჩა.

# ზედახორა პალეოხორაში

ბერძნულ პალეოხორაში, რომელიც მოჭადრაკეთა მე-4 საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობს, ხუთი ტური მიილია. 248 მონაწილეს შორის ორი ქართველია - **სოფიკო გურამიშვილი** და **ბესარიონ ხეცურიანი**, რომლებმაც 3,5-3,5 ქულა მოაგროვეს. სოფიკომ ზედიზედ სძლია ალექსანდროს აგნანტისსა და ნიკოლაოს სავოლლუს (ორივე-საბერძნეთი). მესამე ტურში უკრაინელ იური კრივორუჩკოს (2652) გადაეყარა, რომელიც ჩვენებურს რეიტინგში 323 პუნქტით უსწრებს და გამოცდილება-ოსტატობითაც სჯობნის. ალბათ, ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ შავი ფიგურებით უკრაინელმა იმარჯვა. გურამიშვილმა მომდევნო ორ ტურში კი მონაგარს 1,5 ქულა შესძინა: მეოთხეში ჰოლანდიელ იან დე ბოკელს მოუგო, მეხუთეში კონსტანტინოს მეგალიოსს (საბერძნეთი) დაუზავდა. ხეცურიანი ხუთივე ტურში მასპინძლებს დაუპირისპირდა: დაამარცხა დესპინა სერეფიდუ და კონსტანტინოს ლაპასი, ხოლო გეორგიოს ცოლასს, კონსტანტინოს მეგალოსსა და დიმიტრიოს კარაულანისს ყაიმზე შეუთანხმდა.

უნდა შევნიშნოთ, რომ გურამიშვილი ქალთა შორის დიდოსტატია, ხეცურიანი - ვაჟთა საერთაშორისო ოსტატი, ამიტომ უტიტულო და რეიტინგში 250-300 პუნქტით დაბლა მდგომ მეტოქეებს ჩვენებურები უფრო იოლად უნდა უმკლავდებოდნენ.

რაც შეეხებათ ლიდერებს, იქ ნამდვილი ზედახორაა - 5 ტურის შემდეგ 9 დიდოსტატს 4,5-4,5 ქულა აქვს. ესენი არიან: იური კრივორუჩკო, ანდრეი რიჩაგოვი, ალექსანდრ ხარიტონოვი (ორივე-რუსეთი), იაროსლავ ზინჩენკო, ალექსანდრ ზუბარევი (ორივე-უკრაინა), ხრისტოს ბანიკასი (საბერძნეთი), მისა პაპი (სერბეთი), ალბერტო დავიდი (ლუქსემბურგი) და უმრე კენი (თურქეთი).

**ვაჟა დანელია**

სუმო. ნაგოიას ბაშო. 10-24 ივლისი

# გასრულდა ესე ამბავი

## სექტემბრიდან ისევ 3 ქართველი ელიტაში!

ნაგოიას ბაშო მაინც კარგად დასრულდა ჩვენთვის, რაც ქართული პროფესიული სუმოს პიონერის, **ლევან ცაგურიას (კოკაი)** დამსახურებაა. რანგით მე-2 დივიზიონში მოასპარეზე „შავმა ზღვამ“ სუპერტურნირი 9-6 შედეგით დაასრულა და ელიტაში დაბრუნება გაინაღდა. კოკაი 7 წლის განმავლობაში ინარჩუნებდა ელიტის რიკიშის სტატუსს (რაც ერთეულთა ხვედრია), მაგრამ წლეულს ძურიოში გავარდა, ეს მის კარიერაში ერთადერთი დაქვეითება იყო. საბედნიეროდ, „შავ ზღვას“ უკან დასაბრუნებლად 2 ბაშო ეყო.

ასე რომ, სექტემბრის ბაშოზე უმაღლეს დივიზიონში ისევ 3 სუმოისტი გვეყოლება - 3 რიგითი მაეგაშირა, რადგან **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** კომუსუბის ტიტული დაკარგა, ბაშო 6-9 ბალანსით დაასრულა. **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯუღელი)** კიდევ უფრო ცუდი შედეგი აჩვენა - 5-10, მაგრამ მან ძალიან კარგი საქმე გააკეთა ასპარეზობის ბოლო დღეს, როცა **კიმურაიამა** დაამარცხა და უმაღლესში კიდევ ერთი საგზური გამოათავისუფლა, რის გამოც კოკაის დაწინაურება ეჭქვეშ აღარაა.

ნაგოიას ბაშო კი ორი რამით გამოირჩა - დასრულდა დიდი ჩემპიონის თარეში, **ჰაკუჰომ** ბაშო 12-3 ბალანსით დაასრულა და 2 მოგებით ჩამორჩა მონღოლ ოძეკი **ჰარუმაფუჯის**. ჰარუმაფუჯიმ კარიერაში მეორედ აღმართა იმპერატორის თასი, პირველად მას ჯერ კიდევ **ამა** ეწოდებოდა. მეორე, რითაც ეს ბაშო გამორჩეულია - წინა თაობის უკანასკნელი მოჰიკანის, **კაიოს** სპორტიდან წასვლაა.

**XIV ტური:** ჰარუმაფუჯი-ჰაკუჰო (იორიკირი), კოტოოშუ-ბარუტო (სუკუინაგე), კისენოსატო-ოკინოუმი (უვატენაგე), კაკურიუ-ტაკეკაძე (ოშიდაში), ვაკანოსატო-კოტოშოგიკუ (სუკუინაგე), **ტოჩინოშინი**-ამინიშიკი (იორიკირი), გოეიდო-ტამავაში (სოტოგაკე), იოშიკაძე-ვაკაკოიუ (აბისეტაოში), ტოიონოშიმა-კაისეი (იორიკირი), კიოკუტენჰო-**გაგამარუ** (იორიტაოში), არანი-ტაკაიასუ (ოშიდაში), ტოკიტენკუ-კიმურაიამა (კეკაეში), მიაბიამა-ტოიოჰიბიკი (ცუკიოტოში), ტოჩიოძანი-ტაკამისაკარი (იორიკირი), საგაცუკასა-ასასეკირიუ (კირიკაეში), ჰომაშო-ფუჯიაზუმა (უვატენაგე), შოტენრო-ტაკარაფუჯი (ოშიდაში), კიტატაიკი-დაიდო (ოშიტაოში), ტოჩინოვაკა-ტამანოშიმა (იორიკირი), ტოჩინონადა-მაცუტანი (იორიკირი). ძურიო: **კოკაი**-სოტაირიუ (ჰატაკიკომი).

**ბოლო დღე:** ბარუტო-ჰაკუჰო (უვატენაგე), კისენოსატო-ჰარუმაფუჯი (ცუკიოტოში), ოკინოუმი-კოტოოშუ (იორიკირი), კოტოშოგიკუ-ჰომაშო (იორიკირი), კაკურიუ-არანი (იორიკირი), გოეიდო-ამინიშიკი (უვატენაგე), **ტოჩინოშინი**-კაისეი (იორიკირი), იოშიკაძე-ტოიოჰიბიკი (ჰიკიოტოში), ასასეკირიუ-კიოკუტენჰო (იორიკირი), ტოიონოშიმა-მიაბიამა (ოშიდაში), ვაკაკოიუ-ტაკარაფუჯი (ჰატაკიკომი), ტაკეკაძე-ტოჩინოვაკა (ოშიდაში), ვაკანოსატო-საგაცუკასა (იორიკირი), ტამავაში-შოტენრო (ოშიდაში), ტოკიტენკუ-ტოჩინონადა (იორიკირი), **გაგამარუ**-კიმურაიამა (ოშიდაში), ტოჩიოძანი-კიტატაიკი (ოშიდაში), ტაკაიასუ-ტაკამისაკარი (ჰატაკიკომი), დაიდო-ტამაასუკა (ოშიდაში), ფუჯიაზუმა-მასუნოიამა (იორიტაოში). ძურიო: **კოკაი**-ტაკანოიამა (იორიკირი).

### საბოლოო მდგომარეობა

#### კაჩი კოში

**14-1**: ჰარუმაფუჯი (ოძეკი).
**12-3**: ჰაკუჰო (იოკოძუნა).
**11-4**: ბარუტო (ოძეკი), კოტოშოგიკუ (სეკივაკე), ჰომაშო (მაეგაშირა 9).
**10-5**: კისენოსატო (სეკივაკე), კაკურიუ (სეკივაკე), არანი (მ 6), ტოჩიოძანი (მ 8), ფუჯიაზუმა (მ 15).
**9-6**: კოტოოშუ (ოძეკი), ტოიონოშიმა (მ 2), ვაკანოსატო (მ 5), ტაკაიასუ (მ 11).
**8-7**: ოკინოუმი (მ 4), ტაკეკაძე (მ 4), ტოკიტენკუ (მ 7), მიაბიამა (მ 8), ტოჩინოვაკა (მ 11), ტოიოჰიბიკი (მ 12), საგაცუკასა (მ 13).

#### მაკე კოში

**7-8**: იოშიკაძე (მ 1), კიტატაიკი (მ 10), შოტენრო (მ 13), კიმურაიამა (მ 15).
**6-9**: **ტოჩინოშინი** (კომუსუბი), კაისეი (მ 5), ასასეკირიუ (მ 9), დაიდო (მ 12), ტოჩინონადა (მ 14).
**5-10**: გოეიდო (კომუსუბი), ვაკაკოიუ (მ 3), ტამავაში (მ 6), **გაგამარუ** (მ 7).
4-11: ტაკარაფუჯი (მ 10).
3-12: კაიო (ოძეკი), ტაკამისაკარი (მ 14).
2-13: კიოკუტენჰო (მ 2), ამინიშიკი (მ 3).
0-15: ტოსაიუტაკა (მ 1).

#### პრიზები

**იმპერატორის თასი:** ჰარუმაფუჯი (მე-2)
**ბრწყინვალე ასპარეზობა:** კოტოშოგიკუ (მე-2)
**მებრძოლი სული:** ჰომაშო (მე-5)
**ტექნიკური რიკიში:** არავის
**ძურიოს ჩემპიონი:** მიოგირიუ (1-ელი)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

B დივიზიონი. სარაევო, ბოსნია

## ნახევარფინალი

**23 ივლისი**

**საქართველო–ჩეხეთი 74:72**

23:18, 14:20, 19:17, 18:17

**საქართველო:** ბაქრაძე (33 წთ, 9ქ, 2მ, 2ვ), ჩიკვილაძე (22 წთ, 7ქ, 3მ, 2ჩ), შენგელია (39 წთ, 33ქ, 12მ, 4ვ, 1ჩ, 1დ), ბოქოლიშვილი (12 წთ, 2ქ, 1ჩ), თენიეშვილი (23 წთ, 3ქ, 1მ), ლეჟავა (3 წთ, 2ჩ), სანაძე (28 წთ, 6ქ, 3მ, 2ვ, 1ჩ, 1დ), რევაზაშვილი (3 წთ, 1მ), დვალიშვილი (38 წთ, 14ქ, 7მ, 1ჩ).

**ჩეხეთი:** ვიორალი (36 წთ, 20ქ, 6მ, 4ვ), ჰონომიჩი (4ქ, 3ვ), სოტნარი (6ქ, 4ვ), პეტერკა (20ქ, 6მ), მარესი (2ქ), კოჰოუტი (6ქ, 14მ), პეჩკა (4ქ), ბალვინი (10ქ, 11მ).

**მსაჯები:** დ. კრალი (ბოსნია), გ. კოჰენი (ისრაელი), მ. ტომოვი (ბულგარეთი).

**ესტონეთი–ბელგია 64:61**

**საქართველო–ჩეხეთი**

**ქრონოლოგია**

**I პერიოდი**

| | |
|---|---|
| 08:54 | ვიორალი 2ქ (0:2) |
| 08:07 | ვიორალი 3ქ (0:5) |
| 07:49 | შენგელია 1+1 (2:5) |
| 07:37 | პეტერკა 2ქ (2:7) |
| 06:48 | შენგელია 2ქ (4:7) |
| 06:05 | ბალვინი 2ქ (4:9) |
| 05:51 | ბაქრაძე 2ქ (6:9) |
| 05:22 | პეჩკა 2ქ (6:11) |
| 05:01 | შენგელია 3ქ (9:11) |
| 04:31 | სანაძე 2ქ (11:11) |
| 04:12 | სანაძე 2ქ (13:11) |
| 03:24 | შენგელია 2ქ (15:11) |
| 02:46 | დვალიშვილი 1+1 (17:11) |
| 02:24 | შენგელია 2ქ (19:11) |
| 02:11 | ვიორალი 1+1 (19:13) |
| 02:01 | დვალიშვილი 2ქ (21:13) |
| 01:40 | სანაძე 2ქ (23:13) |
| 01:33 | ვიორალი 1ქ (23:14) |
| 00:23 | ბალვინი 2ქ (23:16) |
| 00:03 | ვიორალი 2ქ (23:18) |

**II პერიოდი**

| | |
|---|---|
| 08:51 | მარესი 2ქ (23:20) |
| 08:55 | ბოქოლიშვილი 2ქ (25:20) |
| 08:13 | კოჰუტი 2ქ (25:22) |
| 08:02 | შენგელია 2ქ (27:22) |
| 07:20 | ბაქრაძე 3ქ (30:22) |
| 05:34 | ჩიკვილაძე 2ქ (32:22) |
| 05:02 | ჩიკვილაძე 2ქ (34:22) |
| 04:50 | პეტერკა 2ქ (34:24) |
| 04:08 | პეტერკა 3ქ (34:27) |
| 03:39 | ბალვინი 2ქ (34:29) |
| 03:28 | პეტერკა 1ქ (34:30) |
| 02:34 | პეტერკა 2ქ (34:32) |
| 02:19 | პეტერკა 2ქ (34:34) |
| 01:30 | ბალვინი 2ქ (34:36) |
| 01:09 | შენგელია 2ქ (36:36) |
| 00:46 | პეტერკა 2ქ (36:38) |
| 00:28 | შენგელია 1ქ (37:38) |

**III პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:27 | ვიორალი 1ქ (37:39) |
| 07:46 | თენიეშვილი 2+1ქ (40:39) |
| 07:00 | დვალიშვილი 2ქ (42:39) |
| 06:41 | სოტნარი 3ქ (42:42) |
| 06:27 | ბაქრაძე 1+1 (44:42) |
| 05:39 | პეჩკა 2ქ (44:44) |
| 05:31 | შენგელია 1+1 (46:44) |
| 04:47 | შენგელია 1ქ (47:44) |
| 04:27 | დვალიშვილი 2ქ (49:44) |
| 03:36 | შენგელია 2ქ (51:44) |
| 03:20 | ბალვინი 1ქ (51:45) |
| 03:01 | ბაქრაძე 2ქ (53:45) |
| 02:36 | კოჰუტი 3ქ (53:48) |
| 02:27 | დვალიშვილი 2ქ (55:48) |
| 02:00 | ჰონომიჩლი 1+1 (55:50) |
| 01:33 | ჰონომიჩლი 1+1 (55:52) |
| 00:37 | პეტერკა 1+1 (55:54) |
| 00:24 | შენგელია 1ქ (56:54) |
| 00:07 | ვიორალი 1ქ (56:55) |

**IV პერიოდი**

| | |
|---|---|
| 09:07 | ვიორალი 1+1 (56:57) |
| 09:01 | ჩიკვილაძე 3ქ (59:57) |
| 08:04 | დვალიშვილი 2ქ (61:57) |
| 07:28 | ბალვინი 1ქ (61:58) |
| 07:15 | სოტნარი 3ქ (61:61) |
| 06:47 | შენგელია 1ქ (62:61) |
| 06:27 | ვიორალი 3ქ (62:64) |
| 06:17 | შენგელია 1+1 (64:64) |
| 04:57 | კოჰუტი 1ქ (64:65) |
| 04:06 | ვიორალი 3ქ (64:68) |
| 03:21 | პეტერკა 2ქ (64:70) |
| 03:21 | წუთშესვენება (საქ.) |
| 02:37 | დვალიშვილი 1+1 (65:70) |
| 01:37 | შენგელია 1ქ (67:70) |
| 01:18 | შენგელია 1+1 (69:70) |
| 01:05 | პეჩკა: შეცდომა |
| 00:46 | შენგელია 2ქ (71:70) |
| 00:35 | პეტერკა 2ქ (71:72) |
| 00:29 | წუთშესვენება (საქ.) |
| 00:15 | შენგელია 2ქ (73:72) |
| 00:05 | შენგელია 1ქ (74:72) |



# გამარჯვების სიმბოლო: თორნიკე

## ახალგაზრდა ქართველები ევრო-2012-ზე

B დივიზიონის ნახევარფინალში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ჩეხეთი 74:72 დაამარცხა და ევროპის 2012 წლის ახალგზარდული ჩემპიონატის საგზური მოიპოვა. ეს დასაწერად იოლია, თუმცა ასეთი შედეგის მიღწევისთვის დიდი შრომა, ენერგია და ემოცია დაიხარჯა. ბევრი კარგი გუნდი დარჩა ხელმოცარული, რადგან ევროპის ჩემპიონატის A დივიზიონის საგზურს მხოლოდ B ლიგის ფინალისტები ეუფლებიან.

ჩეხეთთან ნახევარფინალური მატჩის მსვლელობისას კიდევ ერთხელ ამომიტივტივდა თავში ქართული გვარი - სანიკიძე: **თორნიკე შენგელიას** გარჯისა და სტატისტიკის შემყურეს, **ვიქტორ სანიკიძის** მიერ 2006 წელს 20-წლამდელთა ნაკრების მიერ ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვება გამახსენდა.

ყველამ იცოდა, რომ სანიკიძის (2006-ში) და შენგელიას (2011-ში) შეჩერებით საქართველოს ნაკრების ძლევა შეიძლებოდა, მაგრამ ეს ვერავინ შეძლო. უფროსი კოლეგის მსგავსად შენგელიაც ბოლო წუთებზე ფეთქდებოდა და... ასე იმსხვერპლა ჩეხეთიც ნახევარფინალში. არადა, საფინალო სირენამდე 3:21 წუთით ადრე **ვიორალის** სამქულიანებს **პეჩკამ** ორიანი მიაყოლა და 12:3 გაქცევის წყალობით ჩეხეთი 70:64 დაწინაურდა.

გამოცდილმა მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** წუთშესვენებისას შეგირდები დაამშვიდა - 3 წუთში 6-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა ჩვეულებრივი ამბავიაო და ქართველი 20-წლამდელებიც საქმეს შეუდგნენ: ჯერ **დვალიშვილმა** ჩააგდო ორქულიანი, შემდეგ ყველა შეტევას შენგელია აგვირგვინებდა და გადამწყვეტ მომენტში სიზუსტეც არ ღალატობდა. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ თორნიკეს 39 წუთი მოუწია მოედანზე ყოფნამ, თუმცა ბოლო წუთებისთვის ენერგია საკმარისად შერჩა. დასკვნითი წუთის მოახლოვებასთან ერთად ემოციურმა მუხტმაც იმატა, თუმცა ქართველები ზედმეტად არ აღელვებულან, მიუხედავად იმისა, რომ საფინალო სირენამდე 20 წამით ადრე 71:72-ს აგებდნენ, დარჩენილ დროში ერთი შეტევა ზუსტი ტყორცნით დააგვირგვინეს (შენგელია) და ორიდან ერთი საჯარიმოც გამოიყენეს. რაც მთავარია, დაცვაში მტკიცედ დადგნენ და მეტოქე საკუთარ კალათს არ გააკარეს.

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ტურნირის მსვლელობისას მეორედ დაარღვია საკალათბურთო კანონზომიერება: ვინც იგებს ფარს, ის იგებს მატჩს. დანიასთან დაპირისპირების მსგავსად, ქართველებმა ჩეხეთთანაც დიდი სხვაობით დათმეს მოხსნებში - 30:45... გგონიათ სამქულიანებით მოიგეს? არც ამ კომპონენტში უჯობნიათ მეტოქისთვის - 3:7. გადამწყვეტი აღმოჩნდა ორქულიანები და საჯარიმოები. ქართველებმა და ჩეხებმა 40-40 ორიანი ისროლეს, ჩვენებმა 21 ჩააგდეს, მოწინააღმდეგეებმა - 17. დავით უსტიაშვილის შეგირდებმა 32-დან 23 საჯარიმო გამოიყენეს, ხოლო ჩეხებმა - 24-დან 17.

● ინტერვიუ დავით უსტიაშვილთან

# შენგელია ტურნირის საუკეთესოდ უნდა დასახელდეს

2006 წლის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყველაზე მნიშვნელოვან გამარჯვებას გუნდის მთავარი მწვრთნელი **დავით უსტიაშვილი** ბოსნიიდან ეხმაურება. კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ საიტზე მისი მცირე ინტერვიუ გამოქვეყნდა...

- მიზნად თავიდანვე მაქსიმუმი დავისახეთ - ყველას გვსურდა ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოპოვება. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ჩვენს ბიჭებს. ისინი გმირები არიან. ძალიან ძლიერი მეტოქე დავამარცხეთ, რომელიც A დივიზიონში გადასვლას იმსახურებდა.

**- თქვენმა გუნდმა 6-ქულიანი ჩამორჩენა ბოლო 3 წუთში გააბათილა და საბოლოოდ გამარჯვებაც მოიპოვა. რას ფიქრობდით ბოლო წუთებში და რა უთხარით ბიჭებს?**

- როცა ჩეხეთი 70:64 დაწინაურდა, ცხადია, წუთშესვენება ავიღე და ბიჭებს ვუთხარი: 3 წუთი ძალიან დიდი დროა. კალათბურთში ამ დროში ბევრის მოსწრება შეიძლება, მით უმეტეს, 6-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა. გუნდის წევრებს ვთხოვე, არ იჩქაროთ, დრო საკმარისია და გააკეთეთ ის, რაც გევალებათ-მეთქი. ერთადერთი მკაცრი დირექტივა, რაც მივეცი, ის იყო, რომ ჯარიმა არ აეღოთ, რამეთუ 4 გუნდური ფოლი გვქონდა და მეტოქე ყოველ პერსონალურს საჯარიმოდან ესროდა.

**- გადამწყვეტ მომენტში თორნიკე შენგელიამ ლიდერის ფუნქცია გაამართლა...**

- ჩეხეთი მთელ ტურნირზე ყველაზე ტანმაღალი გუნდი იყო. ბოლო მეოთხედში მათმა ცენტრმა, 215-სანტიმეტრიანმა ანდრეი ბალვინმა მეხუთე პერსონალური მიიღო. ამ ფაქტმა საქმე შეგვიმსუბუქა, შენგელია უფრო თამამად შედიოდა სამწამიანში და მისი შემჩერებელი არავინ იყო. საბედნიეროდ, თორნიკემ ძალიან საჭირო ბურთები ჩააგდო, მისი წყალობით ბოლო წუთებში უპირატესობა მოვიპოვეთ. შენგელია არის ნამდვილი პროფესიონალი და, ჩემი აზრით, ამ ტურნირის საუკეთესო მოთამაშე უნდა გახდეს. არ მიყვარს ვინმეს გამორჩევა, რადგან მიმაჩნია, რომ კალათბურთი გუნდური თამაშია. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ თორნიკე შენგელიამ ჩვენს წარმატებაში უდიდესი წვლილი შეიტანა. მას კარგად აუბეს მხარი გუნდის დანარჩენმა წევრებმა.

**- სხვათა შორის, ბოლო 5 წელიწადში საქართველოს ასაკობრივმა ნაკრებებმა მეორედ მოიპოვეს A დივიზიონის საგზური და ორივეჯერ მთავარი მწვრთნელი თქვენ იყავით...**

- ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ხელმძღვანელობით ნაკრებმა ელიტის საგზური მოიპოვა. 2006 წელს, როცა ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატის საგზური მოვიპოვეთ, ნაკრებში ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე და ძლიერი კალათბურთელები თამაშობდნენ. როგორც ხედავთ, ახლაც კარგი თაობა გვყავს...

# პირველები

**ფინალი**

**24 ივლისი**

**საქართველო–ესტონეთი 79:70**

20:17, 20:22, 23:16, 16:15

**საქართველო:** ბაქრაძე (38 წთ, 5ქ, 3მ, 3ვ), ჩიკვილაძე (13 წთ, 7ქ, 4მ), შენგელია (34 წთ, 26ქ, 10მ, 4ვ, 4დ, 2ჩ), თავართქილაძე (10 წთ), ბოქოლიშვილი (22 წთ, 1ქ), თენიეშვილი (24 წთ, 4ქ, 7მ, 2ვ), ლეჟავა (2 წთ), სანაძე (27 წთ, 16ქ, 5მ), დვალიშვილი (33 წთ, 20ქ, 10მ, 3ჩ).

**ესტონეთი:** დორბეკი (11ქ, 10მ), რააპი (6ქ), ვეიდემანი (12ქ, 4ვ), პუიდეტი (8ქ, 9მ), სოო (16ქ), კალდრე (5ქ, 5მ), ვააბი (3ქ), ვაინო (2ქ), ლიივრანდო, ვოოლაიდი (7ქ), კალე.

B დივიზიონის ფინალისტებს ევროპის ჩემპიონატის საგზური მოპოვებული ჰქონდათ და ფინალსაც მშვიდად შეხვდნენ. თუმცაღა, ესტონეთს საქართველოსთან საკუთარი ანგარიში მაინც ჰქონდა - ჯგუფურ ეტაპზე 87:88 დამარცხდა და უნდა დაემტკიცებინა, რომ ეს შემთხვევითობა იყო. თავის მხრივ, ქართველებს ფინალში უნდა ეპასუხათ: ამ ტურნირზე არათუ ესტონელებს, ყველას სჯობიან.

მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** ფინალში კვლავ საბრძოლო შემადგენლობა გამოიყვანა და თანაბრად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენმა გუნდმა მოპოვებული უპირატესობა ანგარიშშიც ასახა და მეოთხე პერიოდის წინ 63:55 დაწინაურდა. ბოლო რაუნდში ჩვენს გუნდს მეტოქისთვის 5-ზე მეტით მიახლოების უფლება არ მიუცია და დივიზიონის ჩემპიონიც გახდა.

ქართველებმა სტატისტიკურადაც დაამტკიცეს საკუთარი უპირატესობა: ესტონეთს მოხსნებში 49:44 აჯობეს, რეალიზებულ სამქულიანებში - 8:6, ორქულიანებში - 24:21...

...ჯერი 1992 წელს დაბადებულებზეა, რომლებსაც 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე მოუწევთ საქართველოს ღირსების დაცვა.



● U-18

# A დივიზიონი გადაიდო

**ბულგარეთი–საქართველო 67:55**

22:13, 13:16, 14:15, 18:11

**ბულგარეთი:** მინკოვი (7ქ), სტოიანოვი (4ქ), კარამფილოვი (5ქ), ივანოვი (15ქ), ტენჩევი (14ქ), სიმეონოვი (10ქ), კარაილიევი (2ქ), გალაბოვი (2ქ), დიმიტროვი (8ქ).

**საქართველო:** ჩოჩია (14ქ, 5მ), ნადირაძე, რამიშვილი, ბურჯანაძე (13ქ, 9მ), კვანტალიანი, ლოლიშვილი (4ქ, 5მ), მიქელაძე (11ქ), ცირეკიძე (9ქ, 10მ), როგავა (4ქ), გრძელიძე, ჯინჭარაძე.

უნგრეთთან წაგების შემდეგ ჩვენს 18-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საგზურისთვის ბრძოლის გასაგრძელებლად ერთი გზაღა დარჩა - უნდა დაემარცხებინა მასპინძელი ბულგარეთი, რაც მეტად რთული ამოცანა იყო. ამის მიუხედავად, ქართველებმა ბულგარელებს ფიცხელი ბრძოლა გაუჩაღეს და გამარჯვების შანსს ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდნენ, მაგრამ...

მეოთხე პერიოდი მასპინძლებმა 18:11 მოიგეს და საბოლოოდ 12-ქულიან უპირატესობასაც მიაღწიეს - 67:55.

დღეს 15:45 საათზე ქართველები ლუქსემბურგს დაუპირისპირდებიან.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ერი




# ვოლაბებმა ბოკე გადათელეს, ღირსება აღდგენილია

**ავსტრალია-სამ. აფრიკა 39:20**

ავსტრალია (15-9) ბეილი (ქოუანი 72), ოკონორი, ეშლი-კუპერი (ე.ფაინგაა 64), მაკკები, იოანი, კუპერი, გენია (ფილიპსი 65). (1-8) კეპუ, მური (ს.ფაინგაა 60), ალექსანდერი, საიმონსი, ჰორვილი, ელსომი (ჰიგინბოთამი 57), პოქოკი (ჰოჯსონი 67), მაქკალმენი.

5ლ: ალექსანდერი, იოანი, ოკონორი, მური, ეშლი-კუპერი. 4გ,2ს: ოკონორი.

სამ.აფრიკა (15-9) ეპლონი, ბესონი, დე იონგი, ულიფიე (იაკობსი 63), მვოვო, სტეინი (ლამბიე 57), პინარი. (1-8) გრეილინგი (რელეპელე 57), სმითი, კრუხერი (ფან დერ ლინდე 67), ფან დერ მერვე (კანკოვსკი 34), ჰარგრეივსი, სტიგმანი, როსუ, ჯონსონი (დეისელი 59).

2ლ: რელეპელე, სმიტი. 2გ: ლამბიე. 2ს: მ.სტეინი

მსაჯი: კრის პოლოკი (ახალი ზელანდია)

ავსტრალიის ნაკრებმა სამი ერის წლევანდელი გათამაშება გამარჯვებით დაიწყო. „ვოლაბებმა“ სიდნეიში მსოფლიოს თასის ამჟამინდელ მფლობელს, სამხრეთ აფრიკის ეროვნულ გუნდს მოუგეს 39:20.

მასპინძლებმა მეტოქე ყველაფერში დაჯაბნეს. ეს გასაკვირი არცაა, რადგან „ბოკეს“ სხვადასხვა მიზეზის გამო ოცამდე მორაგბე აკლდა. თანაც ავსტრალიელებს აბსოლუტურად ყველაფერი გამოსდიოდათ. რასაც კი ისინი ხელს შეახებდნენ, ყველაფერი ოქროდ იქცეოდა.

„ვოლაბებმა“ ანგარიში მატჩის დასაწყისშივე გახსნეს. მე-5 წუთზე ლელო შერკინების პირველხაზელმა **ბენ ალექსანდერმა,** ხუთ წუთში კი თავი გარემარბმა **დიგბი იოანმა** გამოიჩინა. **ჯეიმზ ოკონრმა** ორი ლელოდან ერთი გარდასახა და მატჩის დაწყებიდან 10 წუთში ავსტრალიის ნაკრები უკვე 12:0-ს იგებდა.

სამხრეთაფრიკელები ძალზედ უფერულად გამოიყურებოდნენ და თითქმის არაფერი გამოსდიოდათ. პირველი ტაიმის დარჩენილ დროში გუნდებმა თითო საჯარიმო გაცვალეს. 29-ე წუთზე ჯერ „ბოკეს“ მგეზავმა **მორნი სტეინმა** გაიტანა, ოკონორმა ექვს წუთში საპასუხო საჯარიმო მიითვალა.

შესვენების შემდეგ საწყის 15 წუთში ისევ ავსტრალიელებმა გაიბრწყინეს. შესანიშნავად ირჯებოდა მათი მგეზავი **ქუადე კუპერი,** რომელმაც მატჩის წინ გრიპი მოიხადა, მიუხედავად ამისა, მან ბრწყინვალედ წარმოაჩინა თავისი პოტენციალი და გუნდის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო. კუპერს მხარი აუბეს ჯეიმზ ოკონორმა, ადამ ეშლი-კუპერმა, ქართლი ბეილიმ, რომლებმაც ხელდახელ თამაშის ულამაზესი ნიმუშები გვიჩვენეს.

„ვოლაბებმა“ ტაიმის დასაწყისში მორნი სტეინის საჯარიმოს ხუთ-ხუთ-წუთიანი ინტერვალით სამი ლელო გაუტანეს, ამჯერად ისინი **ჯეიმზ ოკონორის, სტივენ მურისა** და **ადამ ეშლი-კუპერის** ანგარიშზეა. ოკონორმა სამივე გარდასახა და 54-ე წუთზე ავსტრალიის ნაკრები უკვე 39:6 იგებდა.

საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ მასპინძლები მოწინააღმდეგის განადგურებას შეძლებდნენ, მაგრამ, მას შემდეგ, რაც „ბოკეს“ თავკაცმა **პიტერ დე ფილიერსმა** მგეზავი მორნი სტეინის ნაცვლად მოედანზე **პატრიკ ლამბიე,** ხოლო პირველხაზელი **დინ გრეილინგის** ნაცვლად **ჩილიბოი რელეპელე** შეუშვა, სამხრეთაფრიკელთა თამაში უფრო ეფექტური გახდა.

59-ე წუთზე სამხრეთაფრიკელთა ერთ-ერთი იშვიათი შეტევა სწორედ რელეპელეს მიერ გატანილი ლელოთი დასრულდა. ლამბიემ გარდასახა - 13:39.

„ბოკე“ ბევრს ეცადა, დარჩენილ დროში ვითარება როგორმე გამოესწორებინა, მაგრამ მაქსიმუმი რაც შეძლო, 75- წუთზე **ჯონ სმიტის** ლელოა, რომელიც ისევ ლამბიემ გარდასახა - 20:39.

შდეგად, „ნელსონ მანდელას სახელობის თასი“, რომელიც ამ გუნდებს შორის თამაშდება „ვოლაბებს“ გადაეცათ, რადგან მათ ბოლო ხუთ ტესტში სამხრეთ აფრიკის ნაკრებს ოთხი მოუგეს.

თამაშმა ნათლად გვიჩვენა, რომ „ბოკეს“, რომელიც შარშანდლამდე მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იყო, სერიოზული პრობლემები აქვს. ერთი ხანობა მთავარი მწვრთნელის, პიტერ დე ფილიერსის გადაყენების საკითხიც იდგა დღის წესრიგში, მაგრამ მან თანამდებობა მაინც შეინარჩუნა. როგორც ჩანს, სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირმა სერიოზული შეცდომა დაუშვა, რაც ამ ქვეყნის ნაკრებს, სავარაუდოდ, ძვირად დაუჯდება.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ავსტრალია - 5 ქულა, 2. ახალი ზელანდია - 0, 3. სამ.აფრიკა - 0

**30 ივლისი**

ახალი ზელანდია-სამ.აფრიკა

**6 აგვისტო**

ახალი ზელანდია-ავსტრალია

**13 აგვისტო**

სამ.აფრიკა-ავსტრალია

**20 აგვისტო**

სამ-აფრიკა-ახალი ზელანდია

**27 აგვისტო**

ავსტრალია-ახალი ზელანდია

მსოფლიოს თასი

# არწივები ტესტებისთვის ემზადებიან

ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ირლანდიელმა **ედი ოსალივანმა** გუნდის გაფართოებული შემადგენლობა ორმოცდახუთი კაციდან ოცდათექვსმეტამდე დაიყვანა. ამერიკელები აგვისტოში სამ ტესტ მატჩს გამართავენ. ისინი ორჯერ, შინ და გარეთ, ჯერ კანადელებს დაუპირისპირდებიან, მერე კი ტოკიოში იაპონიის ნაკრებს ეთამაშებიან.

ოსალივანს მსოფლიოს თასზე წამსვლელთა ვინაობის დასახელება ახლავე სურდა, თუმცა, რადგან მომავალ ტესტმატჩებში ადვილი შესაძლებელია, ვინმე დამავდეს, თავის დაზღვევის მიზნით გუნდში ექვსი ზედმეტი მორაგბე დატოვა.

„არწივები“ ამჟამად კოლორადოს შტატის ქალაქ გლენდეილში იმყოფებიან, სადაც ორი წლის წინათ საქართველოს ნაკრებმა „ჩერჩილის თასის“ გათამაშებაში იასპარეზა.

ამერიკელებს მსოფლიოს თასზე დააკლდებათ **სამუ მანოა**, რომელსაც, კლუბთან გაფორმებული პროფესიული კონტრაქტის მიხედვით, უფლება არ აქვს, გუნდი დატოვოს და ნაკრებში სათამაშოდ წავიდეს.

*„სამუ მანოა პროფესიონალი მორაგბეა და მისი გადასაწყვეტია, ნაკრებში ითამაშებს თუ არა. ცხადია, მისი არყოფნა დიდი დანაკლისია, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ.*

*აგვისტოში სამი ტესტ მატჩი უნდა გავმართოთ. სადაც კიდევ ერთხელ დავაკვირდებით ცალკეულ მოთამაშეებს. გამორიცხული არ არის, ვინმე დაშავდეს კიდეც. ამიტომ ნაკრების ყველა კანდიდატი სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს“,* - თქვა ედი ოსალივანმა.

**აშშ-ის ნაკრები**

შერკინება: ინაკი ბასაური, კრის ბილერი, ტოდ კლევერი, პეტ დენაჰაი, კამერონ დოლანი, ერიკ ფრი, ჯი ჯი გაგიანო, ნიც ჯონსონი, ვილ ჯონსონი, სკოტ ლავალა, მაიკ მაკდონალდი, ბრაიან მაკლენჰანი, მატე მოეკიოლა, შოუ პიტმანი, ჰეიდენ სმიტი, ლუის სტანფილი, ფილ თიელი, ჯონ ფან დერ გისენი.

უკანა ხაზი: პაულ ემერიკი, ტაი ენოსა, ტროი ჰალი, კოლინ ჰოული, ნესე მალიფა, ტაკუ ნგვენია, მიკ პალეფაუ, ჯეიმზ პატერსონი, მაიკ პეტრი, ბლეინ სკული, რობ შოუ, ჯუნიორ სიფა, ენდრიუ სუნიულა, როლანდ სუნუილა, კევინ სვირინი, ზაკ ტესტი, ტიმ უსასზი, კრის ვოლესი.



მეტოქეები

# პომებს პრობლემები არ აშინებთ

ინგლისურ რაგბიში წარმოქმნილი კრიზისი, შესაძლოა, პირდაპირ აისახოს ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მდგომარეობაზე. **მარტინ ჯონსონი** და მისი სამწყსო მსოფლიოს თასისთვის „თვიქნემზე“ ემზადება. ინგლისის ნაკრების თავკაცი ამტკიცებს, რომ აქაურ რაგბის თემში მიმდინარე მოვლენები მოთამაშეებზე გავლენას არ ახდენს.

*„ეს პრობლემები ჩვენგან შორსაა, მორაგბეები მხოლოდ წვრთნით არიან დაკავებულნი, მათ ერთი მიზანი აქვთ, გააუმჯობესონ თამაშის ხარისხი. ჩემი საზრუნავი კი ვარჯიშის შინაარსი და კვების რაციონია. აი სულ ეს არის, რაც ჩვენ გვაღელვებს“,* - თქვა მარტინ ჯონსონმა.

შეგახსენებთ, რომ ინგლისის რაგბის კავშირის პრეზიდენტ **მარტინ ტომასს** ერთი თვის წინათ უნდობლობა გამოუცხადეს და თანამდებობიდან გადააყენეს. მისი შემცვლელი **ჯონ სტილი** ინაუგურაციიდან რამდენიმე კვირაში მოხსნეს. ახლა ინგლისის რაგბის კავშირს დროებით **პოლ მერფი** უხელმძღვანელებს მანამ, სანამ ორ თვეში ახალ პრეზიდენტს არ აირჩევენ.



**ინგლისის ნაკრები**

შერკინება: მორის ბოთა, ჯორჯ ჩატერი, დენ კოლი, ალექს კორბისერო, ტომ კროფტი, ლუის დეკონი, პაულ დორან ჯოუნზი, ნიკ ისტერი, ჰენრი ფური, დილან ჰარტლი, ჯეიმზ ჰესკელი, კორტნი ლოუ, ლი მირსი, ლუის მუდი, ტომ პელმერი, ტიმ რაიანი, კრის რობშოუ, საიმონ შოუ, ანდრიუ შერიდანი, მეთ სტივენსი, სტივ თომსონი, თომ ვალდრომი, დევიდ ვილსონი, ტომ ვუდი, ჯო ვორსლი.

უკანა ხაზი: დელონ ერმითიჯი, კრის ეშტონი, მეთ ბანაჰანი, დენ კერი, მარკ კუეტო, ტობი ფლუდი, რიკუ ფლატი, ბენ ფოდენი, შონთაი ჰეპი, ჩარლი ჰოჯსონი, უგო მუნი, ჩარლი შარპი, ჯო სიმპსონი, ჯეიმზ სიმპსონდენიელი, დევიდ დტრიტლი, მაიკ თინდოლი, მანუ ტულიგაი, რიჩარდ ვიგლსვორსი, ჯონი ვილკინსონი, ბენ იანგზი.

კონტრაქტი

# სონი ბილ ვილიამსი ერთი წლით რჩება

ახალი ზელანდიის ნაკრების შუამარბი **სონი ბილ ვილიამსი** „ოლ ბლექსში“ კიდევ ერთი წელიწადი ითამაშებს. ახალზელანდიური რაგბის იმედმა, ამ ქვეყნის რაგბის კავშირთან კონტრაქტი ახლახან ერთი წლით გაახანგრძლივა.

ამას წინ დიდი მითქმა-მოთქმა და ჭორები უძღოდა. ცნობილია, რომ სონი ბილი პროფესიული კრივითაა გატაცებული, მან რინგზე ოთხი ბრძოლა გამართა და ოთხივე მოიგო. ამასთან, ბევრი ლაპარაკობდა მის საფრანგეთში გადაბარგებაზე, რასაც ავტომატურად მოჰყვებოდა ნაკრებიდან წასვლა.

ორი დღეა, რაც ყველაფერს წერტილი დაესვა. სონი ბილ ვილიამსის მენეჯერმა **ხოდერ ნასერმა** ოფიციალურად განაცხადა, რომ მისი კლიენტი ახალი ზელანდიის ნაკრებში კიდევ ერთი წელიწადი ითამაშებს.

*„ჩვენ ვესაუბრეთ ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის ხელმძღვანელებს. დავამშვიდეთ, ვაცნობეთ, რომ სონი ბილი ახალი ზელანდიის ნაკრებში თამაშს კიდევ მინიმუმ ერთი წელიწადი აპირებს. მერე კი ვნახოთ. ყველაფერი, ალბათ, მაინც იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ იასპარეზებს წლეულს მსოფლიოს თასზე „ოლ ბლექსი“.*

*ამასთან, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ის არ აპირებს, პარალელურად სპორტის სხვა სახეობებში ასპარეზობა შეწყვიტოს. სონი ბილს სხვაგვარად არ შეუძლია. ამის თაობაზე ახალი ზელანდიის რაგბის მესვეურებთან შეთანხმება უკვე მიღწეულია“,* - თქვა სონი ბილ ვილიამსის მენეჯერმა ხოდერ ნასერმა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ველოსპორტი



ტურის ახალი მეფე

# ავსტრალია ზეიმობს!

ბოლოსწინა ეტაპზე 42-კილომეტრიან განცალკევებით რბოლას უნდა გაერკვია 2011 წლის ტურ დე ფრანსის გამარჯვებული. მთავარ ფავორიტებს შორის სხვაობა 57 წამი იყო, რაც გენერალურ კლასიფიკაციაში მეორე ადგილზე მყოფ **კეიდელ ევანსს** ბრძოლის საშუალებას აძლევდა, რადგან ლიდერი **ანდი შლეკი** ინდივიდუალურ რბოლაში ძლიერი არასოდეს ყოფილა და ავსტრალიელს მისთვის ასეთი სახის რბოლებში წუთზე მეტი ბევრჯერ მოუგია. ექსპერტები იხსენებდნენ 1989 წელს, როცა ამერიკელი **გრეგ ლემონდი** 50 წამს აგებდა მასპინძელ **ლორან ფინიონთან**, მაგრამ განცალკევებით რბოლის შემდეგ რვაწამიანი უპირატესობით მოიგო ტური. ერთი წლის შემდეგ ლემონდმა ისევ ინდივიდუალურ ეტაპზე ჩამოიტოვა უკან **კლაუდიო კიაპუჩი** და ტურის ორგზის გამარჯვებული გახდა.

კეიდელ ევანსს ასეთი ხერხით ორჯერ შეეძლო ტურის მოგება, მაგრამ არ გამოუვიდა. 2007 წელს **ალბერტო კონტადორთან** წუთნახევრიანი ჩამორჩენა 23 წამზე დაიყვანა, 2008-ში კი უფრო იოლი ამოცანა ჰქონდა - 53-კილომეტრიან დისტანციაზე ლიდერ **კარლოს სასტრესთან** ისევ წუთნახევრიანი ჩამორჩენა ჰქონდა. სასტრე ინდივიდუალური რბოლის სპეციალისტი არასოდეს ყოფილა, მაგრამ ეტაპზე ბოლომდე დაიხარჯა და ევანსს ნახევარ წუთზე მეტი არ მისცა. ამიტომაც, წინასწარ ავსტრალიელს გამარჯვებას არავინ ანიჭებდა და შესაბამისად, პროგნოზის გაკეთება რთული იყო.

პირველი ორიენტირი ცნობილმა შვეიცარიელმა **ფაბიან კანჩელარამ** დააფიქსირა, რომელიც ამ სახეობაში ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონია, თუმცა მას სველ ტრასაზე მოუნია სტარტის ალებამ, შემდეგ კი ასფალტი გაშრა და ამის წყალობით კანჩელარას დროის გაუმჯობესება ავსტრალიელმა **რიჩი პორტმა** მოუხერხა. თუმცა ლიდერი სულ მალე ისევ შეიცვალა - პორტს ზუსტად წუთ-ნახევარი მოუგო **ტონი მარტინმა**, რომელიც ეტაპზე გამარჯვების მთავარი პრეტენდენტი გახდა.

გენერალური კლასიფიკაციის ლიდერებიდან პირველები ბრძოლაში **პიერ როლანი** და **რეინ ტაარმიაე** ჩაებნენ. ეს დუეტი საუკეთესო ახალგაზრდა ველომრბოლისთვის განკუთვნილი თეთრი მაისურისთვის იბრძოდა. ესტონელი აშკარად უფრო სწრაფი იყო, მაგრამ არა იმდენად, რომ საერთო ჩათვლაში გაესწრო ფრანგისთვის. შესაბამისად, როლანი ტურის საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლელი გახდა.

ამასობაში კი დაიწყო მთავარი დუელი - ევანსი შლეკების წინააღმდეგ. ძმებმა იცოდნენ ევანსის შედეგი, მაგრამ ეს დიდი ვერაფერი ნუგეში იყო მათთვის. დისტანციის პირველი ნაწილი ავსტრალიელმა ძალიან ძლიერად გაიარა და მეორე შედეგი აჩვენა საშუალედო ლიდერ კონტადორის შემდეგ. ანდი შლეკი გრძნობდა, რომ მისი უპირატესობა ძალიან სწრაფად მცირდებოდა. პირველ ორ ალმართზე ანდი ინარჩუნებდა ყვითელ მაისურას და სხვაობაც ისე სწრაფად აღარ იკლებდა, მაგრამ შემდეგ დაიწყო დაშვება და სწორი მონაკვეთი და ევანსმა დამატებითი რეზერვი აამუშავა.

ავსტრალიელმა იმდენად მოუმატა, რომ არა მარტო ტურის, არამედ ეტაპის მოგების შანსიც მიიღო, მაგრამ საბოლოოდ შვიდი წამი წააგო ტონი მარტინთან. მაგრამ ეს არ იყო მთავარი. შლეკებმა განცალკევებითი რბოლა სადღაც ოცეულის ბოლოში დაასრულეს. მათ ბრწყინვალედ წარმართეს ორკვირიანი მარათონი, მაგრამ ინდივიდუალურ რბოლაში ევანსის წინააღმდეგ შანსი არ ჰქონდათ.

ორშაბათი ავსტრალიაში დასვენების დღედ გამოცხადდა. ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფური რბოლის მოგების შემდეგ, ევანსი ტურის ისტორიაში პირველი ავსტრალიელი გამარჯვებული გახდა.

■ ■ ■

კვირას კი ტური ლოგიკურად დასრულდა. ბრწყინვალე ბრიტანელმა **მარკ კევენდიშმა** მორიგი სპრინტერული ეტაპი მოიგო და ტურზე ქულათა კლასიფიკაციისთვის განკუთვნილი მწვანე მაისურა არავის დაუთმო. **სამუელ სანჩესი** გახდა წლევანდელი ტურ დე ფრანსის „მთის მეფე", საუკეთესო ახალგაზრდა ველომრბოლის თეთრი მაისურა პიერ როლანს ერგო. გუნდურ კლასიფიკაციაში პირველობა მოიპოვა „გარმინ-ჩერველომ", ხოლო ტურის ყველაზე აგრესიული მრბოლელი გახდა ფრანგი **ჟერემი რუა**.

### XX ეტაპი

1. **ტონი მარტინი** (გერ, THR) - 55,33; 2. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - +0,07; 3. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +1,06; 4. **ტომას დე გენდტი** (ბელ, VCD) - +1,29; 5. **რიჩი პორტი** (ავსტრა, SBS) - +1,30; 6. **ჟან-კრისტოფ პერო** (საფ, ALM) - +1,33; 7. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +1,37... 13. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - +2,14; 17. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - +2,38... 20. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - +2,41... 31. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - +3,38... 34. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +3,47...

### XXI ეტაპი

1. **მარკ კევენდიში** (ბრიტ, THR) - 2.27,02; 2. **ედვალდ ბოასონ ჰაგენი** (ნორ, SKY) - იგივე დრო; 3. **ანდრე გრაიპელი** (გერ, OLO ) - იგივე დრო; 4. **ტაილერ ფარარი** (აშშ, GRM) - იგივე დრო; 5. **ფაბიან კანჩელარა** (შვეიც, LEO) - იგივე დრო; 6. **დანიელ ოსი** (იტა, LIQ) - იგივე დრო...

### საერთო ჩათვლა

1. **კეიდელ ევანსი** (ავსტრა, BMC) - 86.12,22; 2. **ანდი შლეკი** (ლუქ, LEO) - +1,34; 3. **ფრანკ შლეკი** (ლუქ, LEO) - +2,30; 4. **ტომას ვიოკლერი** (საფ, EUC) - +3,20; 5. **ალბერტო კონტადორი** (ესპ, SBS) - +3,57; 6. **სამუელ სანჩესი** (ესპ, EUS) - +4,55; 7. **დამიანო კუნეგო** (იტა, LAM) - +6:05; 8. **ივან ბასო** (იტა, LIQ) - +7,23...

კრივი

# დარტყმა მუცლის ქვემოთ

ბრიტანელმა **ამირ ხანმა** შეინარჩუნა პირველ ნახევრადსაშუალო წონაში WBA-ის ტიტული და თან IBF-ის საჩემპიონო ქამარი ჩამოართვა ამერიკელ **ზაბ ჯუდას**. ხანმა მეტოქე მეხუთე რაუნდში საეჭვო ნოკაუტით დაამარცხა.

ლას ვეგასში გამართული ბრძოლის წინ ბევრი უპირატესობას სწორედ ბრიტანელს ანიჭებდა - ექსპერტები ითვალისწინებდნენ ხანის ახალგაზრდა ასაკსა და მოტივაციას. ამერიკელთან ბრძოლამდე მან ოთხჯერ დაიცვა ტიტული, რომელიც ორი წლის წინ უკრაინელ **ანდრეი კოტელნიკს** ჩამოართვა. ჯუდას სასარგებლოდ მრავალწლიანი გამოცდილება ლაპარაკობდა, თანაც მოტივაციის მხრივ არც ამერიკელს ჰქონდა პრობლემა. თავის ბოლო ბრძოლაში (ამა წლის მარტი) ჯუდა IBF-ის ვერსიით გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, როცა ტექნიკური ნოკაუტით აჯობა სამხრეთაფრიკელ **კაიზერ მაბუზას**.

მაგრამ, როგორც ბრძოლის მსვლელობამ აჩვენა, ხანმა თავიდანვე ძალიან იოლად მოიპოვა უპირატესობა. ბრიტანელი უფრო სწრაფად მოქმედებდა და ხშირად მისი დარტყმები მიზანს აღწევდა, ჯუდა კი სათანადოდ ვერ პასუხობდა მოწინააღმდეგის იერიშებს.

ამიტომაც, მეორე რაუნდიდან მოყოლებული ამირ ხანის რამდენიმე ჯების შემდეგ ამერიკელის სახე მთლიანად სისხლიანი იყო. თუმცა მესამე რაუნდის შემდეგ ჯუდამ უფრო ფრთხილად დაიწყო მოქმედება, დაცვაზე გადავიდა და ცდილობდა კონტრშეტევებზე აეგო ტაქტიკა. ამით ჯუდამ უფრო მოუმატა, მაგრამ არა ისე, რომ ინიციატივის ხელში ჩაგდება მოეხერხებინა.

ასეთ სიტუაციაში ლოგიკური იყო ბრძოლის ნაადრევად დასრულება და ასეც მოხდა. მეხუთე რაუნდის გონგამდე ნახევარი წუთით ადრე ხანს თირკმლის არეში დარტყმა გამოუვიდა. თუმცა ბრიტანელის მოქმედება მაინც საეჭვო იყო, რადგან გამეორებამ აჩვენა, რომ ხანის დარტყმა ამერიკელს საზარდულში მოხვდა, რაც წესებით აკრძალულია. მიუხედავად ამისა, მსაჯს ამ სავარაუდო დარღვევაზე რეაქცია არ ჰქონია - მან ათამდე დაითვალა და როცა ჯუდამ წამოდგომა ვერ მოახერხა, გამარჯვებულად ამირ ხანი გამოაცხადა.

რა თქმა უნდა, ბრძოლის შემდეგ ჯუდამ გააპროტესტა მეტოქის გამარჯვება: *„ყველამ, ვინც ბრძოლა იხილა, შეამჩნევდა, რომ ეს იყო მუცლის ქვემოთ დარტყმა. ვფიქრობ, რეფერის დრო უნდა მოეცა ჩემთვის ასადგომად და არ უნდა შეეწყვიტა ბრძოლა"*.

■ ■ ■

გასულ უქმეებზე ერთ საინტერესო ბრძოლას მასპინძლობდა ლეგენდარული სტადიონი „უემბლი". აქ ორი ბრიტანელი სუპერმძიმეწონოსნის - **დერეკ ჩისორასა** და **ტაისონ ფიურის** ჩხუბი იმართებოდა, გამარჯვებული კი, სავარაუდოდ, უკრაინელ ჩემპიონთან **ვლადიმერ კლიჩკოსთან** შეხვედრის უფლებას მიიღებდა.

მეტოქეებმა შეხვედრა თანაბრად აქტიურად დაიწყეს, თუმცა პირველ რაუნდში ფიური მეტი აგრესიისა და სისწრაფის წყალობით უპირატესობას ფლობდა. მეორე რაუნდში კი ჩისორა გადავიდა შეტევაზე და ბევრი ზუსტი და ძლიერი დარტყმა განახორციელა. ფიურიმ გაუძლო შტურმს და თავად გადავიდა კონტრშეტევაზე.

მეხუთე რაუნდის შემდეგ ცხადი გახდა, რომ დერეკ ჩისორა დაიღალა, ფიური კი აგრძელებდა ეფექტურ კომბინაციებს, რასაც მოწინააღმდეგე სულ უფრო იშვიათად პასუხობდა.

მერვე და მეცხრე რაუნდებში დომინირების შემდეგ ფიურიმ დროებით დაკარგა კონტროლი სიტუაციაზე და ჩისორამ ოდნავ გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ ბოლო ორ რაუნდში ტაისონმა ისევ მიიმწყვდია ბაგირებთან ჩისორა, რამდენიმე ზუსტი დარტყმა შეასრულა და მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით მოიგო - 117:112, 117:112 და 118:111.

■ ■ ■

პირველ მძიმე წონაში WBC-ის ჩემპიონი, პოლონელი **კშიშტოფ ვლოდარჩიკი** სიკვდილს გადაურჩა. ის ვარშავას ერთ-ერთ კლინიკაში მძიმე ტოქსიკოლოგიური მოწამვლით მიიყვანეს - მოკრივემ ანტიდეპრესანტების ზედმეტი დოზა მიიღო. ექიმები იძულებულნი გახდნენ, ვლოდარჩიკი ხელოვნურ კომაში შეეყვანათ.

*„კშიშტოფის სიცოცხლე საფრთხეში იყო, მაგრამ ახლა ყველაფერი კარგადაა,* - ამბობს მსოფლიოს ჩემპიონის პრომოუტერი **ანჯეი ვასილევსკი**. - *უკვე რამდენიმე წელია ის ვერ ახერხებს ოჯახურ პრობლემებთან გამკლავებას. ბოლო დღეებში უმძიმეს დეპრესიაში იყო"*.



ფიური ჩისორას წინააღმდეგ

როგორც პოლონურმა პრესამ გაარკვია, ვლოდარჩიკს კარგა ხანია პრობლემა ჰქონდა მეუღლესთან ურთიერთობაში, რომელიც ამ ინციდენტის დროს ვაჟთან ერთად ესპანეთში დასასვენებლად იმყოფებოდა.

ახლა, ვლოდარჩიკი საკმაო ხანი ვერ შეძლებს ვარჯიშს. შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ წარმატებით დასრულდა პოლონელის გუნდის მოლაპარაკებები WBO-ის ჩემპიონთან, გერმანელ **მარკო ჰუკთან**. ბრძოლა შემოდგომაზე იყო დაგეგმილი.

ცურვა. მსოფლიოს ჩემპიონატი



პირველი პრიზიორები

# ამერიკამ ოქროს გარეშე დაიწყო

სანყალოსნო სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე საინტერესო ნაწილი დაიწყო - პირველი ოთხი მედალი გაითამაშეს მოცურავეებმა.

პირველი ჩემპიონი გახდა კორეელი **ტაი ხმან პარკი**, რომელმაც წამზე მეტი მოუგო კონკურენტებს 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. მეორე ადგილზე გავიდა ჩინელი **სუნ იანი**, მესამეზე - აწ უკვე ყოფილი ჩემპიონი, გერმანელი **პაულ ბიდერმანი**.

ამავე დისციპლინაში ქალებს შორის ფავორიტის სტატუსი დაამტკიცა **ფედერიკა პელეგრინიმ**. მან მთელი 2 წამით აჯობა სახელოვან ბრიტანელს, ოლიმპიურ ჩემპიონს **რებეკა ედლინგტონს**, რომელსაც დისტანციის განმავლობაში სულ მცირე ხნით მოუწია ლიდერობამ. კიდევ ერთი ფავორიტი **კამილ მუფა** ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა.

სიუპრიზები არც ესტაფეტებში მომხდარა. მართალია, ამერიკის ქალთა ნაკრები დიდი ხანი ლიდერობდა 4x100 მეტრზე თავისუფალი სტილით გაცურვას, მაგრამ ბოლო ეტაპზე ჰოლანდიელმა **ფემკე ჰეესრეკმა** ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. სწორედ ჰოლანდიელები ითვლებოდნენ გამარჯვების მთავარ პრეტენდენტებად. ამერიკელებს სულ მცირედი დააკლდათ პირველ ადგილამდე.

საინტერესო ესტაფეტა გამოვიდა მამაკაცებს შორის. გამარჯვება ავსტრალიის ნაკრებს ერგო, მაგრამ ფრანგებმა მას უდიდესი კონკურენცია გაუწია. **ფაბიენ გილიოს** 0,14 წამი არ ეყო **ეიმონ სალივენის** დასაწევად. ბოლო მომენტში ისე ჩანდა, რომ გამარჯვება ფრანგებმა მოიპოვეს, მაგრამ ფოტოფინიშმა ავსტრალიის უპირატესობა დააფიქსირა. ამერიკის ნაკრები კი, რომელშიც ლეგენდარული **მაიკლ ფელპსი** ცურავდა, მხოლოდ ბრინჯაოთი დაკმაყოფილდა. შეიძლება უცნაურიც იყოს, რომ ამერიკის ნაკრები პირველ დღეს ოქროს გარეშე დარჩა.

### ცურვა

#### კაცები

**400 მ. თავისუფალი სტილი.** 1. ტაი ხმან პარკი (კორ) - 3.42,04; 2. სუნ იანი (ჩინ) - 3.43,24; 3. პაულ ბიდერმანი (გერ) - 3.44,14...

**4x100 მ. თავისუფალი სტილი.** 1. ავსტრალია - 3.11,00; 2. საფრანგეთი - 3.11,14; 3. აშშ - 3.11,96...

#### ქალები

**400 მ. თავისუფალი სტილი.** 1. ფედერიკა პელეგრინი (იტა) - 4.01,97; 2. რებეკა ედლინგტონი (ბრიტ) - 4.04,01; 3. კამილ მუფატი (საფ) - 4.04,06...

**4x100 მ. თავისუფალი სტილი.** 1. ჰოლანდია - 3.33,96; 2. აშშ - 3.34,47; 3. გერმანია - 3.36,05...

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## მძლეოსნობა



თითქმის სარეკორდო გარბენი

# ბოლტი ისევ დაღოღავს

ახლოვდება მსოფლიოს ჩემპიონატი მძლეოსნობაში და სპორტსმენები თანდათან შედიან ოპტიმალურ სპორტულ ფორმაში. ამის დამადასტურებელი გახდა „ბრილიანტის ლიგის" მე-11 ეტაპი, რომელიც მონაკოში გაიმართა.

ტურნირის ბოლო დისციპლინა იყო 3-კილომეტრიანი სტიპლჩეზი მამაკაცებს შორის. თავიდან ისე ჩანდა, რომ ეს იქნებოდა **კიპროკ კიპროტოსა** და **ეიზეკილ კემბოის** მორიგი რიგითი დაპირისპირება, მაგრამ ორგანიზატორებმა ისინი მსოფლიოს რეკორდის გრაფიკით ატარეს. ფინიშთან ახლოს კიპროტომ ბრწყინვალე სპურტი განახორციელა და კემბოის დაშორდა, ხოლო ფინიშის ხაზის გადაკვეთის შემდეგ გაირკვია, რომ თურმე **საიფ საიდ შაჰინის** მსოფლიო რეკორდის გრაფიკით მირბოდა და მის გასაუმჯობესებლად მხოლოდ ერთი მეასედი წამი დააკლდა. ორი წამის შემდეგ დაასრულა დისტანცია ოლიმპიურმა ჩემპიონმა კემბოიმ, რომელმაც ასევე პირადი რეკორდი გააუმჯობესა.

*„გარბენი ყველასთვის ძალიან სწრაფი იყო. არც კი ვიცოდი, თუ მსოფლიოს რეკორდის გრაფიკით მივყავდით. როცა საბოლოო დრო დავინახე, ძალიან კმაყოფილი დავრჩი. მსოფლიოს ჩემპიონატზე შევეცდები რეკორდის გაუმჯობესებას"*, - განაცხადა კიპროტომ.

კიდევ ერთი შესანიშნავი შედეგი დაფიქსირდა ორ წრეზე (800 მეტრი) სირბილში. **დავიდ რუდიშამ** სეზონის ახალი რეკორდი დაამყარა - 1.42,61. მის შემდეგ ფინიშთან მისულმა **ასბელ კიპროპმა** კი პირადი რეკორდი გააუმჯობესა.

სპრინტში მთავარი მოქმედი პირი იყო **უსაინ ბოლტი**. იამაიკელს წელს მაინც და მაინც არ გამოსდის მაღალი შედეგები და ჯერჯერობით რამდენიმე ოპონენტს ჩამორჩება. მონაკოში უსაინს არაერთი ძლიერი მეტოქე ჰყავდა - **კრისტოფ ლემეტრი, ნესტა კარტერი, მაიკლ როჯერსი, მაიკლ ფრატერი** და სხვები. ბოლტმა სტარტი წააგო, სამაგიეროდ, ბრწყინვალე დასაწყისი გამოუვიდა მეშვიდე ბილიკზე მორბენალ კარტერს. მხოლოდ ბოლო მეტრებზე გამოსტაცა მან გამარჯვება თანამემამულეს და სეზონში თავისი საუკეთესო შედეგი აჩვენა - 9,88. კარტერი მას ორი მეასედით ჩამორჩა. ასე რომ, უსაინი ჯერჯერობით ვერ ბრწყინავს.

400 მეტრზე თარჯრბენში **ანჯელო ტეილორმა** აჯობა **ბერშონ ჯექსონსა** და **ვან ზილს**, რომელიც სეზონის ლიდერი გახლავთ. ამ დისციპლინაში ჯერჯერობით რთულია მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტის დასახელება. 5000 მეტრზე **მო ფარაჰმა** მხოლოდ ფინიშზე გაასწრო **ბერნარდ ლაგატს**. 200 მეტრზე ქალებს შორის **კარმელიტა ჯეტერმა ელისონ ფელიქსი** დაამარცხა, 400 მეტრზე კი **ამანტლ მონტშომ** სეზონში საუკეთესო დრო აჩვენა - ამ დისტანციაზეც ფელიქსია მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტი, ასე რომ, ამერიკელს კონკურენტები ძალიან ავიწროებენ. ელისონი ისევ ეცდება 200 და 400 მეტრზე გამარჯვებას, მაგრამ საკითხავია, რამდენად გამოუვა ეს. 1500 მეტრზე, როგორც იქნა, გამარჯვება მოიპოვა **მარიამ იუსუფ-ჯამალმა**. ბარიერულ სპრინტში „ბრილიანტის ლიგის" ჩათვლაში ლიდერობა მოიპოვა ავსტრალიელმა **სალი პირსონმა**.

ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში ვერავინ შეძლო შვიდ მეტრამდე გადახტომა. პირველი ადგილი დაიკავა **ბრიტნი რიზმა** 6 მეტრითა და 82 სანტიმეტრით - მან სამი სანტიმეტრით აჯობა რუს ლამაზმან **დარია კლიშინას**. ასევე დაბალი შედეგი იქნა ნაჩვენები სიმაღლეზე ხტომაში. ხორვატმა **ბლანკმა ვალსიჩმა** დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, ოღონდ მხოლოდ მეტრითა და 97 სანტიმეტრით.

შუბის ტყორცნაში ფურორი მოახდინა **ბარბორა შპოტაკოვამ**. მან მხოლოდ ბოლო სროლისას გაინაღდა გამარჯვება და სწორედ ამ ცდაზე აჩვენა 69,45 მეტრი, რაც მეტრ-ნახევარით უკეთესია სეზონის წინა ორიენტირზე, რომელიც **კრისტინა ობერგფოლს** ეკუთვნოდა. თუმცა ეს უკანასკნელი კვლავაც პირველია „ბრილიანტის ლიგის" ჩათვლაში.

ბირთვის კვრის სექტორში მხოლოდ ხუთი კაცი შეიკრიბა. ყველას აჯობა **რიზ ჰოფმა**, ვინც ორი სანტიმეტრით ჩამოიტოვა უკან **კრისტიან კანტველი**. სამხტომში **ფილიპს აიდოვუმ** დიდი გაქირვებით აჯობა კუბელებს - **კოპელოსა და ჯირატს**. საინტერესო ბრძოლა გაიმართა ჭოკით ხტომის სექტორში. **მალტიე მორმა** და **რენო ლავილიემ** სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენეს - 5,75, მაგრამ ფრანგი ამაზე არ შეჩერდა და დიდოსტატური მაჩვენებლით - 5,90 მეტრით გაიმარჯვა. ამ სეზონში პირველად გამოჩნდა სტარტზე ოლიმპიური ჩემპიონი **სტივენ ჰუკერი**, მაგრამ ავსტრალიელმა დებიუტი ბოლოსწინა ადგილზე დაასრულა.

„ბრილიანტის ლიგის" შემდეგი ეტაპი ერთი კვირის შემდეგ სტოკჰოლმში გაიმართება.

### ბრილიანტის ლიგა
### XI ეტაპი. მონაკო
#### კაცები

**100 მ.** 1. უსაინ ბოლტი (იამ) - 9,88; 2. ნესტა კარტერი (იამ) - 9,90; 3. მაიკლ როჯერსი (აშშ) - 9,96. **800 მ.** 1. დავიდ რუდიშა (კენ) - 1.42,61; 2. ასბელ კიპროპი (კენ) - 1.43,15; 3. ნიკ სიმონდსი (აშშ) - 1.43,83. **3000 მ. სტიპლჩეზი.** 1. ბრიმინ კიპროპი კიპრუტო (კენ) - 7.53,64; 2. ეზეკილ კემბოი (კენ) - 7.55,76; 3. პოლ კიპსელე კოეჩი (კენ) - 7.57,32. **5000 მ.** 1. მო ფარაჰი (ბრიტ) - 12.53,11; 2. ბერნარდ ლაგატი (აშშ) - 12.53,60; 3. ისაია კოეჩი (კენ) - 12.54,18. **ჭოკით ხტომა.** 1. რენო ლავილიე (საფ) - 5,90; 2. მალტე მორი (გერ) - 5,75; 3. კონსტანტინოს ფილიპიდისი (საბ) - 5,60.

#### ქალები

**400 მ.** 1. ამანტლ მონტშო (ბოტ) - 49,71; 2. ფრანჩესკა მაკრორი (აშშ) - 50,29; 3. ნოვლენ უილიამს-მილსი (იამ) - 50,61. **100 მ/თარჯრბენი.** 1. სალი პერსონი (ავსტრა) - 12,51; 2. კელი უელსი (აშშ) - 12,58; 3. ტიფანი ოფილი-პორტერი (ბრიტ) - 12,60. **სიგრძეზე ხტომა.** 1. ბრიტნი რიზი (აშშ) - 6,82; 2. დარია კლიშინა (რუს) - 6,79; 3. ელოზი ლესიური (საფ) - 6,74; **შუბის ტყორცნა.** 1. ბარბორა შპოტაკოვა (ჩეხ) - 69,45; 2. კრისტინა ობერგფოლი (გერ) - 64,86; 3. მადარა პალამეიკა (ლატ) - 62,06.

# ჩხუბი სარბენ ბილიკზე

„ბრილიანტის ლიგის" მონაკოს ეტაპზე ერთი სკანდალიც აღინიშნა. საშუალო დისტანციაზე ორ ფრანგ მორბენალს **მედი ბაალასა** და **მაჰიდინ მეჰისი-ბენაბადს** წლების განმავლობაში დაძაბული ურთიერთობა აქვთ და ამ კონფლიქტმა კულმინაციას მონტე კარლოში 1500 მეტრზე გარბენის შემდეგ მიაღწია. მონაკოს სტადიონზე შეკრებილი პუბლიკის თვალწინ ბაალამ თავი ჩაარტყა მეჰისი-ბენაბადს, თუმცა ვალში არც ეს უკანასკნელი დარჩენილა და რამდენიმე მუშტი უთავაზა თანაგუნდელს, ოღონდ ნოკდაუნს ვერ მიაღწია. ეს რომ ოფიციალური საკრივო შეხვედრა ყოფილიყო, გამარჯვებას, ალბათ, მეჰისი-ბენაბადს მიანიჭებდნენ. მოჩხუბრები მალე გააშველეს, რის შემდეგაც მათ უშვერი სიტყვებით დაიწყეს ერთმანეთის ლანძღვა.



მუშტი-კრივი მონაკოში

ახლა ამ მძლეოსნების ინციდენტს საფრანგეთის მძლეოსნობის ფედერაცია განიხილავს და ვერდიქტსაც მალე გამოიტანს. სავარაუდოდ, ბაალას და მეჰისი-ბენაბადს მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლას აუკრძალავენ.

## TV პროგრამა

### 25 ივლისი. ორშაბათი

#### GMG-ფეხბურთი

**10:00** კოპა ამერიკა 2011. მე-3 ადგილისთვის. პერუ-ვენესუელა. არგენტინა.
**12:00** კოპა ამერიკა 2011. ფინალი. ურუგვაი-პარაგვაი. არგენტინა.
**15:00** ამხანაგური მატჩი. ტოტენჰემი-ორლანდო პაირეტსი.
**17:00** ამხანაგური მატჩი. ტაილანდი XI-ჩელსი.
**19:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-ატლეტიკო გოიანენშე.
**21:00** ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-პალმეირასი.
**23:00** კოპა ამერიკა 2011. ფინალი. ურუგვაი-პარაგვაი. არგენტინა.
**01:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.

#### GMG-სპორტი

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-ატლეტიკო გოიანენშე.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ბოსტონი-ფინიქსი.
**14:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-უელსი.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ნიკოლას ალმაგრო-ჟილ სიმონი. ჰამბურგი. გერმანია
**18:00** ჩოგბურთი ATP-ის ტური. მიმოხილვა. ჰამბურგი. გერმანია.
**19:00** ფეხბურთი. სეზონის შეჯამები. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი.
**20:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**21:00** ცურვა. ხმელთაშუა ზღვის სერია (Mare Nostrum). III ეტაპი. მონაკო.

## ცხელ[illegible]

### [illegible]
### მს. ჩემპიონატი
#### კაცები

| | |
|---|---|
| ესპანეთი-ავსტრალია | 9:8 |
| აშშ-კანადა | 17:4 |

### ჩოგბურთი
#### ATP. ატლანტა

| | |
|---|---|
| ფიში-ისნერი | 3:6, 7:6, 6:2 |

#### ATP. ჰამბურგი

| | |
|---|---|
| სიმონი-ალმაგრო | 6:4, 4:6, 6:4 |

#### WTA. ბაკუ

| | |
|---|---|
| ზვონარევა-პერვაკი | 6:1, 6:4 |

**23:10** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. ბოსტონი-ფინიქსი.

#### HTB-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)

**19:10** რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-კრილია (LIVE).

#### SPORT+

**19:10** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ცსკა-კრილია (LIVE).

#### EUROSPORT

**14:00** საწყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. ფინალები. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**05:00** საწყლოსნო სახეობები. მსოფლიოს ჩემპიონატი. ცურვა. წინასწარი გაცურვები. შანხაი. ჩინეთი (LIVE).

## კალათბურთი



ლუის სკოლა

# 80 პროცენტი წამსვლელია

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რამდენიმე წამყვანმა აგენტმა განაცხადა, რომ მსოფლიოს უძლიერესი ლიგის მოთამაშეთა 80 პროცენტი უცხოეთში კარიერის გაგრძელების შესაძლებლობას განიხილავს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებას დიდი ხნის განმავლობაში არ მოეწერება ხელი. ამ ინფორმაციას ESPN-ის ანალიტიკოსი **კრის ბრუსარდი** ავრცელებს.

NBA-ის ერთ-ერთი ვარსკვლავის აგენტი ESPN-ს მოუყვა, რომ რამდენიმე მოთამაშის წარმომადგენელი შეგნებულად მალავს ევროპისა და ჩინეთის კლუბებთან მოლაპარაკებების ფაქტს.

■ ■ ■

„მაიამი ჰიტის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ კლუბის ახალი გენერალური მენეჯერი **ნიკ არისონი** გახდა. 2008 წლის სექტემბრიდან მოყოლებული კლუბის მფლობელის **მიკი არისონის** 30 წლის ვაჟი „ჰიტში" საკალათბურთო ოპერაციების ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე მუშაობდა.

ნიკ არისონი აგრეთვე დიუკის უნივერსიტეტის შტატში ირიცხებოდა, აგრეთვე 2004 და 2008 წლების ოლიმპიადებზე აშშ-ის ნაკრების ადმინისტრაციის წევრი იყო.

■ ■ ■

არგენტინელმა **ლუის სკოლამ** განაცხადა, რომ წინააღმდეგი არ იქნება, თუ კარიერას ჩინეთში გააგრძელებს. „ჰიუსტონის" ლეგიონერი იმ კლუბში გადასვლას გეგმავს, რომლის მფლობელიცაა მისი მეგობარი **იაო მინი**, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად გამოაცხადა კარიერის დასრულების შესახებ.

*„ჩინეთი - უფრო ღია ბაზარია. იქ საკმაოდ მაღალი პოტენციალია და ქვეყანაც მაწყობს. საკუთარ თავს „შანხაი შარქსში" ვხედავ, რადგან მისი მფლობელი იაო მინია"*, - განაცხადა არგენტინელმა ფორვარდმა.

■ ■ ■

ლოკაუტისგან დაზარალებული კიდევ ერთი კლუბი გახდა - „ლოს ანჯელეს ლეიკერსი", რომელმაც 20 თანამშრომელი დაითხოვა სამსახურიდან.

სხვათა შორის, უმუშევართა რიგებში აღმოჩნდა კალიფორნიული კლუბის გენერალური მენეჯერის ასისტენტი **რონი ლესტერი**.

■ ■ ■

NBA-ის რამდენიმე ვარსკვლავი ამჟამად ფილიპინებში იმყოფება და მათგან შექმნილმა სახელდახელო შემადგენლობამ საჩვენებელი მატჩი გამართა ფილიპინის ჩემპიონატის ვარსკვლავთა ნაკრებთან. ბუნებრივია: გამარჯვება ამერიკელებს დარჩათ- 131:105.

**NBA-ის ვარსკვლავები:** მაკგი (25), დურანტი (22), დ. უილიამსი (19), ევანსი (17), ჰარდენი (16), ბრაიანტი (12), პოლი (11), როუზი (9).

■ ■ ■

„მინესოტა ტიმბერვულვზის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მორიგი, რიგით მეოთხე კანდიდატი გახდა ვეტერანი სპეციალისტი **რიკ ადელმანი**. „ჰიუსტონის" ყოფილი დამრიგებელი დღეს შეხვდება „მგლების" მფლობელ **გლენ ტეილორსა** და გენერალურ მენეჯერ **დევიდ კანს**.

ვარაუდობენ, რომ ადელმანის დანიშვნა ხელს შეუწყობს კლუბის ერთ-ერთი ლიდერის **კევინ ლავის** შენარჩუნებას.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ფორმულა 1. გერმანიის გრანპრი

# ჰემილტონის დაუგეგმავი ტრიუმფი

შაბათს ნიურბურგრინგზე პოული **მარკ უებერმა** („რედ ბული“) მოიპოვა, მაგრამ არავინ ჩქარობდა ავსტრალიელის ფავორიტად გამოცხადებას. მიუხედავად იმისა, რომ მარკისთვის ეს მეორე პოული იყო სეზონში, სტატისტიკოსებმა მეტად საინტერესო და საგულისხმო ინფორმაცია შემოგვთავაზეს - უებერს მიმდინარე ჩემპიონატში ერთი წრეც არ გაუტარებია რბოლის ლიდერის რანგში! ავსტრალიელმა ვერც გერმანული ეტაპის სტარტზე შეძლო ამის გაკეთება - პირველ მოსახვევში **ლუის ჰემილტონი** („მაკლარენი“) დამაჯერებლად გაიჭრა წინ და უებერი მეორე ადგილზე დატოვა.

კარგი სტარტი არც „რედ ბულის“ მეორე პილოტსა და ჩემპიონატის ლიდერს **სებასტიან ფეტელს** გამოუვიდა. ის პირველი წრის მიმდინარეობისას **ფერნანდო ალონსოს** („ფერარი“) უკან აღმოჩნდა, მაგრამ შემდეგ ესპანელმა თავად გაუწია სამსახური სებას, როცა შეცდომა დაუშვა და გერმანელი მესამე ადგილზე დააბრუნა. ამასობაში, **ფელიპე მასა** („ფერარი“) მეექვსე პოზიციაზე აღმოჩნდა **ნიკო როსბერგის** („მერსედესი“) უკან, **ჯენსონ ბატონი** („მაკლარენი“) კი მეათე ადგილამდე დაქვეითდა - ბრიტანელს ერთბაშად სამმა პილოტმა გაუსწრო: **ადრიან სუტილმა** („ფორს ინდია“), **მიხაელ შუმახერმა** („მერსედესი“) და **ვიტალი პეტროვმა** („ლოტუს-რენო“). ამ უკანასკნელის თანაგუნდელი **ნიკ ჰაიდფელდი პოლ დი რესტას** („ფორს ინდია“) შეეჯახა და ორივენი ბოლო ადგილებზე აღმოჩდნენ.

პირველ წრეებზე ჰემილტონი იოლად დაშორდა „რედ ბულის“ წყვილს, უებერისა და ფეტელის დუეტმა კი ვერ შეძლო ალონსოს დიდი მანძილით ჩამოცილება. საბოლოოდ, ფერნანდომ კიდევ ერთხელ გაუსწრო ფეტელს, რის შემდეგაც მოქმედმა ჩემპიონმა შეცდომაც დაუშვა - ტრასიდან გადავარდა და ამის გამო 10 წამი დაკარგა. ასე რომ, წინ ლიდერთა სამეული შეიკრა, ფეტელს კი მასას შეყოვნება მოუწია. ბრაზილიელმა ხანგრძლივი და დაძაბული ბრძოლის შემდეგ მაინც მოახერხა როსბერგის გასწრება.

ლიდერ ჰემილტონს ერთი ხანობა უპირატესობა ჰქონდა სიჩქარეში, მაგრამ შემდეგ ახლოს მიუშვა უებერი და ალონსო, რამაც მაყურებელს პირველი პოზიციისთვის ბრწყინვალე ორთაბრძოლა აჩუქა. მე-13 წრეზე, ბოლო მოსახვევიდან გამოსვლისას, უებერმა გვერდი აუარა ჰემილტონს, მაგრამ „რედ ბული“ ოდნავ მოცურდა და სასტარტო სწორ მონაკვეთზე ლუისმა წარმატებული კონტრშეტევა განახორციელა. ამის შემდეგ უებერმა ბრძოლის გაგრძელებას ბოქსებში შესვლა ამჯობინა.

რაც შეეხებას „ლოტუს-რენოს“ პილოტებს, ვიტალი პეტროვი წარმატებით იგერიებდა ჯენსონ ბატონის შეტევებს, ნიკ ჰაიდფელდისთვის კი ბრძოლა ძალიან მალე დასრულდა: ყველა აუთსაიდერის გასწრების შემდეგ ნიკი სებასტიან ბუემის გვერდით აღმოჩნდა და „ტორო როსომ“ უბრალოდ გადააგდო ტრასიდან „ლოტუს-რენო“. გერმანელმა ლამაზად იფრინა და რბოლაც იქვე დაასრულა. თუმცა ნიკი, სავარაუდოდ, მაინც ვერ მოახერხებდა ქულებისთვის ბრძოლას, რადგან მას ჯარიმა ელოდა სტარტზე პოლ დი რესტასთან შეჯახების გამო. სხვათა შორის, რბოლის შემდეგ სტიუარდებმა ეს ინციდენტი განიხილეს და ბუემის დასჯის გადაწყვეტილება მიიღეს: შვეიცარიელს მომდევნო გრანპრის სტარტზე ხუთი პოზიციით უკან დაახევინებენ.



ამასობაში, პირველი პიტ-სტოპის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო უებერმა -ავსტრალიელი ჰემილტონისა და ალონსოს წყვილის წინ იყო, მაგრამ ავსტრალიელმა შორს წასვლა ვერ შეძლო - ტრიო კვლავაც მჭიდროდ მიდიოდა და ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა სიტუაცია შეცვლილიყო. ფეტელი პირველი გაჩერების შემდეგ მასას უკან აღმოჩნდა, სცადა ბრაზილიელის გასწრება, მაგრამ შემდეგ სამი წამით ჩამორჩა მას.

განსხვავებული ტაქტიკა აირჩიეს ბატონმა და პეტროვმა, რომლებმაც პირველი პიტ-სტოპი სადღაც 23-24-ე წრეზე შეასრულეს. თუმცა ამისგან რაიმე სარგებელი არ მიუღიათ. ჯენსონმა მაინც მოახერხა რუსის გასწრება და მერვე ადგილზე იყო, პეტროვი კი საერთოდ მე-13 ადგილამდე დაქვეითდა.

ოდნავ წინ მისთვის ბრწყინვალე მეშვიდე პოზიციაზე მიდიოდა ადრიან სუტილი, რომელიც ჩამორჩა როსბერგს, მაგრამ წინ არ უშვებდა ბატონს. ასე გრძელდებოდა 32-ე წრემდე, როცა გასწრება მაინც შედგა. რამდენიმე წრის შემდეგ ჯენსონმა პირველ მოსახვევში შეცდომა დააშვებინა როსბერგს და მეექვსე პოზიციაზე გადავიდა. რაც შეეხება მიხაელ შუმახერს, რალაც მომენტში ის ძალიან მიუახლოვდა თანაგუნდელს, მაგრამ ფეტელის სტილში შეცდომა დაუშვა, ათი წამი და მასთან ერთად რამდენიმე პოზიცია დაკარგა.

პიტ-სტოპების მეორე ტალღამ მთლიანად არია სიტუაცია ლიდერთა ჯგუფში. უებერი ისევ პირველი წავიდა ბოქსებში, მაგრამ ამჯერად ამ ტაქტიკამ ავსტრალიელი მესამე ადგილზე გადააგდო. წინ კი ჰემილტონი გავიდა: თავიდან მან მოიგერია „რედ ბულის“ პილოტის შეტევა, შემდეგ კი უებერს აჩვენა, როგორ უნდა გარე რადიუსით იმ პილოტის გასწრება, რომელმაც ესესაა ბოქსები დატოვა.

მეორე „მაკლარენს“ ნაკლებად გაუმართლა: მეექვსე ადგილზე გასვლის შემდეგ ბატონს ბოქსებში შესვლა მოუწია და საბოლოოდ რბოლას გამოეთიშა: რადიოთი ჯენსონს შეატყობინეს, რომ მის ბოლიდს ჰიდრავლიკასთან დაკავშირებული მოუგვარებელი პრობლემა ჰქონდა.

წინ კი თანდათან იკლებდა ბრძოლა: ჰემილტონმა შეძლო სამი წამით ალონსოს ჩამოტოვება, თავის მხრივ, ფერნანდო ხუთი წამს უგებდა უებერს. მეოთხე პოზიციაზე მყოფი მასა ფეტელს აყოვნებდა და ლიდერთან ძალიან ბევრს - 44 წამს აგებდა. როსბერგი და სუტილი დამაჯერებლად მიიწევდნენ წინ, მეცხრე ადგილისთვის ბრძოლაში კი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ძველი ნაცნობები - პეტროვი და შუმახერი. ამჯერად მათ თავიდან აიცილეს შეჯახება, თუმცა ახლოს იყვნენ კონტაქტთან: მიხაელი ახალი საბურავებით უფრო სწრაფი იყო და დიდი ხანი არ უფიქრია, თამამად აუარა გვერდი შიდა რადიუსით რუსს. პეტროვმა არ გარისკა და გაატარა გერმანელი.

ამასობაში, პილოტები „მედიუმის“ საბურავებზე გადავიდნენ, თუმცა ეს ყოველგვარი ექსცესების გარეშე მოხდა - მხოლოდ უებერს მიეცა რამდენიმე წრით ლიდერობის საშუალება, თუმცა ამას ჰემლტონის გამარჯვებისთვის ხელი არ შეუშლია. მეოთხე ადგილისთვის ბრძოლის ბედი კი ბოქსებში გადაწყდა. მასა და ფეტელი მექანიკოსებისკენ ბოლოსწინა წრეზე გაემართნენ და სანამ „ფერარის“ ემსახურებოდნენ, გერმანელი წინ გაიჭრა. გაიხარა გერმანიის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა: სუტილმა მხოლოდ ორი პიტ-სტოპი შეასრულა, ორივე „მერსედესს“ გაუსწრო და მეექვსე ადგილზე გავიდა.

## რბოლის შემდეგ

პირველად ამ სეზონში სებასტიან ფეტელი ვერ ავიდა პოდიუმზე და შესაბამისად, ვერც ოფიციალურ პრესკონფერენციაზე მოხვდა. რბოლის შესახებ კომენტარი „რედ ბულის“ შეფმა **კრისტიან ჰორნერმა** გააკეთა: *„რა თქმა უნდა, ფეტელს უნდოდა საკუთარი გულშემატკივრის წინაშე გამარჯვება, მაგრამ ეს უქმეები მისთვის არც თუ ისე წარმატებულად განვითარდა.*

*ამჯერად სებასტიანი ბოლომდე კმაყოფილი არ იყო მანქანით. შესაძლოა, ეს ამინდის ბრალია, მაგრამ თავის მართლებას არ ვცდილობთ. შემდეგ გრანპრიმდე ერთი კვირა დარჩა და იქამდე სიტუაცია უნდა გამოვასწოროთ“.*

ჩემპიონატში ბოლო ორი რბოლა ფერნანდო ალონსომ და ლუის ჰემილტონმა მოიგეს. საინტერესოა, რას ფიქრობს ზედიზედ ორ წაგებულ რბოლაზე ჰორნერი: *„საინტერესო სიტუაციაა, რადგან მაშინ წარმატებას „ფერარიმ“ მიაღწია, ახლა - „მაკლარენმა“. მაგრამ „რედ ბული“ სტაბილურია (ამ გუნდის ორივე პილოტმა აქამდე ჩატარებული ათივე რბოლა ქულათა ზონაში დაასრულა) და არ გვიჭირს ლიდერობის შენარჩუნება“.*

ეტაპის ტრიუმფატორმა ლუის ჰემილტონმა სეზონში მეორე რბოლა მოიგო, თუმცა თავად აღიარებს, რომ არ ელოდა საკუთარი მანქანისგან ასეთ სისწრაფეს: *„არ გვეგონა, თუ ამ უქმეებზე ასეთი სწრაფები ვიქნებოდით, რადგან წინა რბოლისას ძალიან სერიოზული პრობლემები შეგვექმნა. მაგრამ გუნდმა ბაზაზე კარგად იმუშავა და შედეგიც მივიღეთ. ვფიქრობ, ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო რბოლა ჩემს კარიერაში!“*

*„დღევანდელი შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. უქმეებმა რთულად ჩაიარა: პარასკევს პრობლემები შეგვექმნა და ამიტომაც კვალიფიკაციაში მხოლოდ მეოთხე ადგილი დავიკავე, თანაც პოულის მფლობელთან მთელი ნახევარი წამი წავაგე. ასე რომ, რბოლაში მეორე ადგილი - შესანიშნავი შედეგია. ბოლო სამ რბოლაში მეორე ადგილზე ქვემოთ არ ჩამოვდივარ - სამ განსხვავებულ ტრასაზე კონკურენტუნარიანები ვიყავით და სეზონის მეორე ნახევრისთვის ეს ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს.*

*ვფიქრობ, მომავალ კვირას უნგრეთში ძალიან საინტერესო უქმეები გველოდება. „მაკლარენმა“ წინ გადადგა ნაბიჯი, „რედ ბულის“ პილოტები ტრადიციულად სწრაფები იქნებიან - დიდი ბრძოლა გველის“,* - ასეთი იყო რბოლის შემდეგ ფერნანდო ალონსოს კომენტარი.

**გია თვალაბეიშვილი**

### გერმანიის გრან-პრი. X ეტაპი

#### ნიურბურგრინგი (60 წრე, 308.863 კმ)

| | |
|---|---|
| 1(2). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 1:37.30,324 |
| 2(4). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | +3,980 |
| 3(1). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | +9,788 |
| 4(3). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | +47,921 |
| 5(5). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +52,252 |
| 6(8). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | +1.26,208 |
| 7(6). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | 1 წრე |
| 8(10). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | 1 წრე |
| 9(18). კამუი კობაიაში (ზაუბერი, იაპონია) | 1 წრე |
| 10(9). ვიტალი პეტროვი (ლოტუს-რენო, რუსეთი) | 1 წრე |
| 11(15). სერხიო პერესი (ზაუბერი, მექსიკა) | 1 წრე |
| 12(17). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | 1 წრე |
| 13(12). პოლ დი რესტა (ფორს ინდია, ბრიტანეთი) | 1 წრე |
| 14(13). პასტორ მალდონადო (უილიამსი, ვენესუელა) | 1 წრე |
| 15(16). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 1 წრე |
| 16(19). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 2 წრე |
| 17(20). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 3 წრე |
| 18(22). ჟერომ დ'ამბროზიო (ვირჯინი, ბელგია) | 3 წრე |
| 19(23). დანიელ რიკარდო (HRT F1, ავსტრა) | 3 წრე |
| 20(21). კარუნ ჩანდჰოკი (ლოტუსი, ინდოეთი) | 4 წრე |
| 21(24). ვიტანტონიო ლიუცი (HRT F1, იტალია) | 23 წრე |
| 22(7). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | 24 წრე |
| 23(14). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | 44 წრე |
| 24(11). ნიკ ჰაიდფელდი (ლოტუს-რენო, გერმანია) | 49 წრე |

#### კონსტრუქტორთა თასი

1. რედ ბული - 355 ქულა; 2. მაკლარენი - 243; 3. ფერარი - 192; 4. მერსედესი - 78; 5. ლოტუს-რენო - 66; 6. ზაუბერი - 35; 7. ფორს ინდია - 20; 8. ტორო როსო - 17; 9. უილიამსი - 4.

| | ავს | მალ | ჩინ | თურ | ესპ | მონ | კან | ევრ | ბრიტ | გერ | უნგ 31.07 | ბელ 28.08 | იტა 11.09 | სინ 25.09 | იაპ 09.19 | ს. კორ 16.10 | ინდ 30.10 | დუბი 13.11 | ბრა 27.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ფეტელი** (რედ ბული) | 25 | 25 | 18 | 25 | 25 | 25 | 18 | 25 | 18 | 12 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 216 |
| **უებერი** (რედ ბული) | 10 | 12 | 15 | 18 | 12 | 12 | 15 | 15 | 15 | 15 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 139 |
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 18 | 4 | 25 | 12 | 18 | 8 | -- | 12 | 12 | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 134 |
| **ალონსო** (ფერარი) | 12 | 8 | 6 | 15 | 10 | 18 | -- | 18 | 25 | 18 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 130 |
| **ბატონი** (მაკლარენი) | 8 | 18 | 12 | 8 | 15 | 15 | 25 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 109 |
| **მასა** (ფერარი) | 6 | 10 | 8 | -- | -- | -- | 8 | 10 | 10 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 62 |
| **როსბერგი** (მერსედესი) | -- | -- | 10 | 10 | 6 | -- | -- | 6 | 8 | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 46 |
| **ჰაიდფელდი** (ლოტუს-რენო) | -- | 15 | -- | 6 | 4 | 4 | -- | 1 | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 34 |
| **მ. შუმახერი** (მერსედესი) | -- | 2 | 4 | -- | 8 | -- | 12 | -- | 2 | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 32 |
| **პეტროვი** (რენო) | 15 | -- | 2 | 4 | -- | -- | 10 | -- | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 32 |
| **კობაიასი** (ზაუბერი) | -- | 6 | 1 | 1 | 1 | 10 | 6 | -- | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 27 |
| **სუტილი** (ფორს ინდია) | 2 | -- | -- | -- | -- | 6 | -- | 2 | -- | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 18 |
| **ალგერსუარი** (ტორო როსო) | -- | -- | -- | -- | -- | -- | 4 | 4 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 9 |
| **ბუემი** (ტორო როსო) | 4 | -- | -- | 2 | -- | 1 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 8 |
| **პერესი** (ზაუბერი) | -- | -- | -- | -- | 2 | -- | -- | -- | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 8 |
| **ბარიკელო** (უილიამსი) | -- | -- | -- | -- | -- | 2 | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 4 |
| **დი რესტა** (ფორს ინდია) | 1 | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 |